ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა- კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა
მიმართულება: პალიატიური და ტკივილის მედიცინა

დოქტორანტი (ხარისხის მაძიებელი) - თამარ ლეკაშვილი

სადოქტორო ნაშრომის სათაური - ონკოინკურაბელურ პაციენტთა საჭიროებების, პალიატიური მზრუნველობის სტატუსის განსაზღვრის კრიტერიუმებისა და მიწოდებული სამედიცინო მომსახურების ანალიზი საქართველოში

(პალიატიური მზრუნველობის ეროვნული მოდელის
გაუმჯობესებისათვის)

თემის სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ რუხაძე- მედიცინის დოქტორი; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

თბილისი, 2019 წ.

სარჩევი

I

1. შესავალი ……..……..…… 1

2. აქტუალობა……..……..……..…… 1

3. კვლევის მიზანი და ამოცანები……..…… 14

4. დასაცავად გამოსატანი დებულებები …… 15

5. მეცნიერული სიახლე …… 16

6. პრაქტიკული რეკომენდაციები …… 17

7. აპრობაცია……..…… 18

8. დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომები……..… 19

II

ლიტერატურის მიმოხილვა ……..……...… 20

1. პალიატიური პაციენტების სამედიცინო პაჭიროებების განსაზღვრისა და სამედიცინო სერვისების, მათი განხორციელების და სამეცნიერო კვლევების შესახებ აღნიშნული საკითხის ირგვლივ .....…… 20

2. პალიატიური მზრუნველობა საქართველოში, სერვისები და მათი ხელმისაწვდომიბა ....…… 49

3. ინკურაბელურ პაციენტთა ქრონიკული ტკივილის მართვა და მასთან დაკავშირებული სირთულეები საქართველოში ...……..…… 52

4. ინკურაბელურ პაციენტთა (ონკო-ინკურაბელურ პაციენტთა) სტატუსის განსაზღვრა საქართველოში .....……..…… 61

5. ინკურაბელურ პაციენტთთა პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო სერვისი საქართველოში …….....……...…… 71

6. ინკურაბელურ პაციენტთა სამედიცინო საჭიროებებისა და სერვისების მნიშვნელობის თაობაზე პალიატიური მზრუნველობის პროგრამების გაუმჯობესებისათვის ……..…… 78

III

1. მასალა და მეთოდები ……..…… 90

IV

1. კვლევის შედეგები და განსჯა …… 97

V

1. დასკვნები ……..…… 129

VI

Analysis of needs, palliative care status and medical service delivery of chronic incurable patients in Georgia (For improving the national model of palliative care) ……..…… 135

VII

1. ლიტერატურა …….. 158

შესავალი

<u>აქტუალობა</u>

სამედიცინო პრაქტიკაში პალიატიური მზრუნველობა წარმოდგენილია, როგორც აქტიური მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მხარდაჭერა სიცოცხლის ბოლომდე, რათა ისინი დარჩნენ საზოგადოების სრულყოფილ და სრულფასოვან წევრებად. პალიატიური მზრუნველობა ვრცელდება იმ ქრონიკული სენით შეპყრობილ ავადმყოფებზე და მათ მზრუნველ პირებზე, რომელთა დაავადება აქტიურ და სპეციფიურ მკურნალობას აღარ ექვემდებარება; მსოფლიო გამოცდილებისა და ჯანმრთელობის მსოფილო ორგანიზაციის რეკომენდაციების მიხედვით პალიატიური მზრუნველოა ეთრადერთი გზაა ასეთი ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევისათვის (http://www.who.int/cancer/palliative/definition/en/). აღნიშნულს იზიარებს მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, სამედიცინო თუ ფართო საზოგადოება.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ტერმირი „პალიატიური“ წარმოიშვა ლათინური სიტყვისგან „Pallium“, რაც ნიშნავს „ნიღაბს“, „საფარველს“. პალიატიური მზრუნველობის არსია – შენიღბოს, დაფაროს ანუ შეამსუბუქოს განუკურნებელი დაავადებები (http://www.mywhatever.com/cifwriter/content/22/4472.html).

ამგვარად, პალიატიური მზრუნველობა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და ადამიანის ღირსებისა და ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილი. მისი მიზანია, ტანჯვის პრევენციის, შემსუბუქებისა და ადეკვატური მართვის მეშვეობით, სიცოცხლის შემზღუდველი დაავადების მქონე პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება. პალიატიური მზრუნველობა ასევე მოიცავს ფსიქოლოგიურ, ფსიქო-სოციალურ, სამართლებრივ და სულიერ ასპექტებს, რომლებიც კავშირშია ზემოაღნიშნულ ქრონიკულ დაავადებებთან.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ერთ-ერთი განმარტებით: პალიატიური მზრუნველობა არის მიდგომა, რომელიც ტკივილის და სხვა ფიზიკური, ფსიქო-სოციალური და სულიერი პრობლემების ადრეული გამოვლენის, სწორი შეფასებისა და მკურნალობის შედეგად, ტანჯვის პრევენციისა და შემსუბუქების გზით, აუმჯობესებს იმ პაციენტებისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხს, რომლებსაც აქვთ სიცოცხლისთვის სახიფათო დაავადებასთან დაკავშირებული პრობლემები.

პალიატიური მზრუნველობა მოიცავს და ითვალისწინებს შემდეგ ასპექტებს:

- ✓ უზრუნველყოფს ტკივილისა და ტანჯვის სხვა სიმპტომების შემსუბუქებას;
- ✓ განამტკიცებს სიცოცხლის შეგრძნებას და მიიჩნევს გარდაცვალებას ბუნებრივ პროცესად;
- ✓ არ ისახავს მიზნად გარდაცვალების დაჩქარებას ან გადავადებას;
- ✓ ითვალისწინებს პაციენტის მოვლის ფსიქოლოგიური და სულიერი ასპექტების ინტეგრაციას;
- ✓ უზრუნველყოფს მხარდაჭერის სისტემას, რომელიც ეხმარება პაციენტს გარდაცვალებამდე აქტიური ცხოვრებით იცხოვროს;
- ✓ უზრუნველყოფს მხარდაჭერის სისტემას, რომელიც ეხმარება ოჯახს პაციენტის ავადმყოფობასა და გლოვის პერიოდთან დაკავშირებული სულიერი პრობლემების გადალახვაში;
- ✓ პაციენტების და მათი ოჯახების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად იყენებს გუნდურ მიდგომას, რაც, საჭიროების შემთხვევაში, ითვალისწინებს კონსულტაციების გაცემას გლოვის პერიოდში;
- ✓ აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს და შესაძლოა ამასთანავე პოზიტიური გავლენა იქონიოს დაავადების მიმდინარეობაზე;
- ✓ გამოიყენება დაავადების ადრეულ სტადიაზე სიცოცხლის გამახანგრძლივებელ სხვა სახის მკურნალობასთან ერთად როგორიცაა ქიმიოთერაპია ან სხივური თერაპია და მოიცავს შესაბამის გამოკვლევებს ტანჯვის მომტანი კლინიკური გართულებების უკეთესი გაანალიზებისა და მართვისთვის.

ჯანმოს და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებით, ქრონიკული დაავადებების მართვისას პალიატიური მზრუნველობა რეკომენდე-ბულია დაიწყოს დაავადების დიაგნოზის დადგენის მომენტიდან და მისი წილი გაიზარდოს და გაგრძელდეს სიცოცხლის ბოლომდე. ამასთან, ფექტური პალიატიური მზრუნველობა მოითხოვს მულტიდისციპლინურ მიდგომას, რომელიც მოიცავს ოჯახის ჩართულობასაც და იყენებს საზოგადოებაში არსებულ რესურსებს; მისი წარმატებული განხორციელება შეზღუდული რესურსების პირობებშიც შესაძლებელია.

ჯანმოს თანახმად, მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით 40 მილიონი ადამიანი საჭიროებს პალიატიურ მზრუნველობას, ხოლო მათგან მხოლოდ 14%-ს მიეწოდება აღნიშნული სერვისები. პალიატიური მზრუნველობა შეიძლება განხორ-ციელდეს კლინიკაში, ამბულატორიულ სამედიცინო დაწესებულებაში, ჰოსპისში, საექთნო სახლში, თემის ჯანდაცვის ცენტრებში და ბინაზე. ეს უკანასკნელი კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს, რადგან პაციენტთა უმრავლესობა სწორედ ახლობლების გარემოცვაში ყოფნასა და გარდაცალებას ამჯობინებს.

ევროპის მინისტრთა კომიტეტის 2003 წლის რეკომენდაციების მიხედვით პალიატიური მზრუნველობის განხორციელების შესახებ, ნათქვამია, რომ პალიატიუ-რი მზრუნველობის პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ევროპის საბჭოს მიერ შემოთავაზებულ რეგულირებებს: ადამიანის, პაცინეტის უფლებებს, ადამიანის ღირსებას, დემოკრატიას, თანასწორობას, სოლიდარობას, თანასწორ გენდერულ შესაძლებლობებს, მონაწილებას და არჩევანის თავისუფლებას.

ამასთან, პალიატიური მზრუნველობის მომსახურება და პოლიტიკა პაციენტს უნდა სთავაზობდეს რესურსების ფართო სპექტრს, როგორიცაა: ბინაზე მზრუნველობა, მზრუნველობა სტაციონარის სპეციფიკურ და საერთო განყოფილებებში, დღის სტაციონარსა და ამბულატორიულ კლინიკებში, სასწრაფო დახმარების და დროებითი მოვლის განაყოფილებებში. აღნიშნული მზრუნველობა უნდა იყოს მრავალმხრივი, ჯანდაცვის სისტემის, კულტურის შესაბამისი, ყურადღება გამახვილებული უნდა იქნას პაციენტის საჭიროებებისა და სურვილების ცვალებადობაზე.

აღნიშნული რეკომენდაციების მიხედვით, პაციენტებს გარანტირებული უნდა ჰქონდეთ პალიატიური მზრუნველობა მიუხედავად მათი ფინანსური მდგომარეობისა. ფინანსური და სხვა სახის მექანიზმები ადაპტირებული უნდა იქნეს პაციენტების საჭიროებების გათვალისწინებით და იძლეოდეს პალიატიური მზრუნველობის უწყვეტობის გარანტიას. პალიატიური მზრუნველობა უნდა წარმოადგენდეს ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის განუყოფელ ნაწილს და ამდენად იგი უნდა იყოს ჯანდაცვის გეგმებისა და იმ სპეციფიკური პროგრამების ელემენტი, რომელიც ეხება მაგ. კიბოს, შიდსს ან გერიატრიას. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს ოპიოიდებისა და სხვა მედიკამენტების ხელმისაწვდომობა, სამედიცინო მიზნით მათი ფართო შემადგენლობითა და დოზირებით გამოყენებისათ-ვის. არადანიშნულებისამებრ გამოყენების შიში არ უნდა აფერხებდეს აუცილებელი და ეფექტური მედიკამენტური მკურნალობის მისაწვდომობას.

ევროსაბჭოს რეკომენდაციების მიხედვით, პალიატიური მზრუნველობა მოიცავს ყველა სახის პალიატიურ ჩარევას, რაც გულისხმობს დაავადების მართვაზე მიმართულ თერაპიებს: როგორიცაა ქირურგია, რადიოთერაპია, ქიმიოთერაპია, ჰორმონალური მანიპულაციები და ა.შ. ყველა ასეთი ჩარევის საბოლოო ამოცანას წარმოადგენს პაციენტის მაქსიმალური რეაბილიტაცია და სიცოცხლის საუკეთესო ხარისხის მიღწევა. ამდენად, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს პალიატიური მზრუნველობის პროგრამების სრულ ინტეგრირებას საავადმყოფოებსა და სათემო დაწესებულებებში არსებულ ჯანდაცვის პროგრამებში.

შესაბამისი მკურნალობის განსახორციელებლად, ინდივიდუალურად, ხშირი ინტერვალებით უნდა ჩატარდეს მზრუნველობის როგორც სიმპტომური, ასევე დაავადების მართვაზე მიმართული ღონისძიებების შედეგების შეფასება, რათა შემუშავებული იქნას მკურნალობის ოპტიმალური სქემა. ამასთან, შეკითხვა, როდის არის უმჯობესი პაციენტისათვის განხორციელდეს აქტიური პალიატიური მზრუნველობა, როგორც ჯანმოს, ასევე ევროსაბჭოს რეკომენდაციების მიხედვით, რეკომენდებულია, რომ: პალიატიური მზრუნველობა მიზნად ისახავს სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებას. ის მიზანშეწონილია დაიწყოს დიაგნოზის დასმისთანავე.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ დოილმის აზრით, პალიატიური მზრუნველობა ფოკუსირებულია სიცოცხლის იმ უკანასკნელ წლებსა თუ თვეებზე, როდესაც სიკვდილი უფრო მოსალოდნელია ვიდრე შესაძლებელი.

არსებობს ლიტერატურული წყაროები, რომლის მიხედვითაც, პალიატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია დაავადებაზე (ონკო პაციენტებს აქვთ მეტი მისაწვდომობა), და ასევე სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე. უფრო მეტიც, ზოგიერთ ქვეყანაში, ინტენსიური ტერმინალური მზრუნველობის ხელმი-საწვდომობა შემოიფარგლება მხოლოდ იმ პაციენტებით, რომელთა დაავადებასთან დაკავშირებული სასიცოცხლო პროგნოზი დაახლოებით 3 თვეს არ აღემატება. ასეთი შეზღუდვები თითქმის ყოველთვის იწვევს დიდ პრობლემებს მაშინ, როდესაც პაციენტები საწყის პროგნოზზე გაცილებით დიდხანს ცოცხლობენ და მაღალი ხარისხის პალიატიურ მზრუნველობას საჭიროებენ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ პაციენტთა მზუნველობის განმავლობაში მათი ჩვილებისა და პრობლემების ნუსხა, რაც მართვას საჭიროებს მზუნველობის განმავლობაში მკვეთრად მატულობს. ამდენად, წარმოუდგენელია მზრუნველობის ზღვარი დაწესებულ იქნას ხისტად 3 თვე და არ იქნას შეფასებული ის რისკები, რაშიც პაციენტი იმყოფება სწორედ ყველაზე მძიმე და სიცოცხლისათვის რთულ პერიოდში.

პალიატიური მზრუნველობის მიღების ერთ-ერთ ინსტიტუციას წარმოადგენს ჰოსპისი. არ არსებობს პოსპისური მზრუნველობის ერთი, ყველასათვის მისაღები განმარტება. თავდაპირველად, კონცეფცია მიმართული იყო ჯანდაცვის ზოგადი სისტემისაგან განსხვავებული მზრუნველობის ფორმაზე, სადაც სამუშაოს უდიდესი ნაწილი სრულდებოდა მოხალისეთა მიერ და აქცენტი კეთდებოდა კომფორტსა და სულიერებაზე. დღესდღეობით, მრავალ ქვეყანაში პოსპისური მზრუნველობა გაიგივებულია პალიატიური მზრუნველობისთან.

ხშირად მას ასეც განსაზღვრავენ - სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პალიატიურ და დამხმარე მომსახურებას ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სულიერი მხარდაჭერის მიზნით. მრავალი წყაროს მიხედვით, იმ

შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სერვისები მიეწოდება პაციენტს ბინაზე, აღნიშნული განიხილება როგორც შინმოვლის სერვისი.

ამერიკის ჰოსპისთა და პალიატიური მზრუნველობის ეროვნულმა ორგანიზაციამ განავითარა ჰოსპისის სტანდარტები მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს სპეციალური აკრედიაციის მიმნიჭებელი ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ჰოსპისის პროგრამების შეფასებას. მათი განმარტებით, პალიატიური მზრუნველობა ქრონიკული/ინკურაბელური დაავადების მიმდინარეობის ნებისმიერ დროს არის საჭირო. რაც შეეხება ჰოსპისურ მზრუნველობას, ამ შემთხვევაში საჭიროა ჰოსპისური მზრუნველობის დასაბუთება ექიმის მხრიდან, კერძოდ, სამედიცინო პერსონალის დასაბუთების საფუძველზე ამ სახის სერვისის ბენეფიციარის მოსალოდნელი სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ არ აღემატება 6 თვეს. თუმცა, ასეთი დასაბუთება მკაცრად არ ნიშნავს, რომ ჰოსპისური მზრუნველობა უნდა შეწყდეს, თუ პაციენტი იცოცხლებს 6 თვეზე მეტ ხანს. ზემოაღნიშნულს იზიარებს ისეთი მკაცრი არბიტრი და დამფინანსებელი, როგორიცაა აშშ-ს ერთ-ერთი უდიდესი სადაზღვევო კომპანია- „მედიქეა“ და არ ზღუდავს პაციენტთა მომსახურეობას მაშინაც კი, როდესაც პაციენტთა საშუალო სიცოცხლის ხანგრძივობა აღემატება 6 თვეს (და მათ შორის 12 თვესაც).

პალიატიური მზრუნველობის დეფინიცია ასევე მოცემულია საქართველოს კანონებში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და ითვალისწინებს კანონი - პაციენტის უფლებების შესახებ. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის მე-3 მუხლის „ტ[4]" ქვეპუნქტი და პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი „ლ'' ქვეპუნქტი პალიატიური მზრუნველობის ანალოგიურ დეფინიციას ითვალისწინებს, კერძოდ: **პალიატიური მზრუნველობა** – აქტიური, მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა. იგი ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება; ასეთი მზრუნველობით შესაძლებელია ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

ზემოხსენებული განმარტების გარდა, არსებობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №157/ნ „ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ სადაც მოცემულია პალიატიური მზრუნველობი განმარტება.

ზემოხსენებულიმ ბრძანების პირველი მუხლის თანახმად, **„პალიატიური მზრუნველობა** ეწოდება “აქტიურ, მრავალპროფილურ მზრუნველობას იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება. მისი უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა და ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური და სულიერი მხარდაჭერა. პალიატიური მზრუნველობის მიზანია ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების უკეთესი ხარისხის მიღწევა” (Geneva: World Health Organization, 1990)’’.

ხოლო, საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ იცნობს ტერმინს „პალიატიური მკურნალობა’’. კანონის მე-3 მუხლის ტ ქვეპუნქტის თანახმად **პალია-ტიური მკურნალობა** არის „სამედიცინო მომსახურება, რომლითაც რადიკალურად არ უმჯობესდება პაციენტის მდგომარეობა, არ იცვლება არაკეთილსაიმედო პროგნოზი და რომლის მიზანია პაციენტის მდგომარეობის დროებით შემსუბუქება.’’

ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის 53-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის თანახმად, სამედიცინო დაწესებულების ერთი-ერთი ფუნქცია პალიატიური მზრუნველობა.

კერძოდ:

2. სამედიცინო დაწესებულებების ფუნქციაა:

ა) პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის განსაზღვრა;

ბ) დაავადებათა პროფილაქტიკა ან/და მკურნალობა ან/და პაციენტების რეაბილიტაცია ან/და **პალიატიური მზრუნველობა;**

გ) სამეანო საქმიანობა;

დ) ფარმაცევტული საქმიანობა;

ე) (ამოღებულია);

ვ) გვამის პათოლოგიურ-ანატომიური გამოკვლევა, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა;

ზ) ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების №01-9/ნ (2016 წლის 4 მარტი) სამედიცინო დაწესებულებების კლასიფიკაციის განსაზღვრის თაობაზე, მე-2 მუხლის „ე'' ქვეპუნქტის თანახმად, ჰოსპისი არის სამედიცინო დაწესებულება.

კერძოდ:

სამედიცინო სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებები იყოფა შემდეგ ჯგუფებად:

ა) ამბულატორიული დაწესებულებები;

ბ) სტაციონარული დაწესებულებები;

გ) ხანგრძლივი მოვლის დაწესებულებები;

დ) შინმოვლის დაწესებულებები/ბინაზე სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი სუბიექტები;

ე) ჰოსპისი;

ამავე ბრძანების მე-7 მუხლის თანახმად:

მუხლი 7. ჰოსპისი

1. სამედიცინო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პალიატიურ და დამხმარე მომსახურებას ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური და სულიერი მხარდაჭერის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ზემოხსენებული სერვისები მიეწოდება პაციენტს ბინაზე, აღნიშნული განიხილება როგორც შინმოვლის სერვისი.

2. ჰოსპისი იყოფა ორ ტიპად:

ა) ჰოსპისი, რესპირატორული მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესაძლებლობით;

ბ) ჰოსპისი, რესპირატორული მხარდაჭერის უზრუნველყოფის შესაძლებლობის გარეშე.

კანონმდებლობა არ იცნობს ჰოსპისური მზრუნველობის განმარტებას. ამის მიუხედავად, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების №01-9/ნ თანახმად, ჰოსპისი არის სამედიცინო დაწესებულება (მე-2 მუხლის „ე" ნაწილი), ხოლო პალიატიური მზრუნველობა არის სამედიცინო დაწესებულების ფუნქცია (ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონი, მუხლი 53.2 და 53.3). არც ერთ კანონში და არც კანონქვემდებარე აქტში არ არის განმარტებული ჰოსპისური მზრუნველობა.

ჰოსპისურ მზრუნველობა - ეს არის სპეციალური მზრუნველობა იმ პალიატი-ური პაციენტებისთვის, რომელთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა არ აღემატება 6 თვეს. ჰოსპისური მზრუნველობა მიეწოდება ჰოსპიში, საავადმყოფოში, საექთნო სახლში ან ბინაზე.

ჰოსპისური მზრუნველობა ეს არის კომფორტი, ღირსება და დარჩენილი სიცოცხლის მაღალი ხარისხი. ჰოსპისური მზრუნველობა ასევე ითვალისწინებს პაციენტის ოჯახის წევრების მხარდაჭერას და მწუხარების გაზიარებას.

მოწოდებული რეკომენდაცია ზრუნვისა და სამედიცინო სერვისების მიწოდების გამიჯვნის შესახებ ბუნებრივია არ უარყოფს პაციენტის უფლებას მიიღოს მისთვის სასურველი სამედიცინო მომსახურება და საჭირო ხანგრძლივობით.

უფრო მეტიც, ლიტერატურული წყაროების მიხედვით ასეთი პაციენტებისათვის არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის ფინანსური ან/და ადმინისტრაციული ბარიერი სამკურნალო ღონისძიებების მიღებისათვის. შესაბამისად, მოწოდებული რეკომენდაცია ითვალისწინებს, რომ ზრუნვის მიმღები ბენეფიციარებისათის პალიატიური ზრუნვის სერვისები შესაძლებელია მიწოდებულ იქნას ჰოსპისში. რაც შეეხება პაციენტებს, რომლებიც უარს აცხაებენ ზრუნვაზე და ითხოვენ სამკურნალო ღონისძიებებს, მათთვის სპეციალიზებული/სპეციფიური

მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს ჰოსპიტალის შესაბამის სამედიცინო დეპარტამენტსა თუ ერთეულში.

ზემოაღნიშნული რეკომენდაცია ვრცელდება რესპირატორული მხარდაჭერის სურვილის მქონე და მაღალი რისკის (ინფექციური) დაავადებებით დაავადებულ პაციენტებზე, რომელთათვისაც მოთხოვნილი სერვისის მიწოდება შეუძლებელია ჰოსპისში მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური რესურსების კვალიფიკაციის, უსაფრთხოების და ჰოსპისური ზრუნვის კონცეფციის პირობების შეუსაბამობიდან ან/და არარსებობიდან გამომდინარე.

ამდენად, ასეთი პაციენტების რეფერირება განხორციელდება შესაბამისი პროფილის დაწესებულებაში, სადაც მათ ექნებათ ხელმისაწვდომობა, როგორც სამკურნალო, ასევე პალიატიური ზრუნვის სერვისებზე კომბინირებულად და კომპლექსურად. უფრო მეტიც, დღეისათვის კლინიკური ინკოლოგიის პრაქტიკაში საერთაშორისოდ აღიარებულია ინტეგრირებული მზრუნველობა, რაც მოიცავს პალიატიური მზრუნველობის ადრეულ ეტაპზე ჩართვას, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ასევე სპეციფიური მკურნალობის ელემენტების გამოყენებას იქ, სადაც ეს პაციენტისათვის შედეგის მომტანია (მაგალიტად, სხივური თერაპიის გამოყენება ძლიერი ძვლოვანი ტკივილის შემთხვევაში).

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 157/ნ (2008 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი)-ის მიხედვით - ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მუხლი #2-ში პალიატიური მზრუნველობის არსისა და ამოცანების შესახებ ნათქვამია:

1. პალიატიური მზრუნველობა გამოყენებულ უნდა იქნას ნებისმიერი ქრონიკული (საბოლოო ანგარიშით) უკურნებელი დაავადების შემთხვევაში. პალიატიური მზრუნველობის მნიშვნელოვანი ამოცანაა ტკივილის მოხსნა.

2. პალიატიური მზრუნველობა:

ა) ამკვიდრებს ბოლომდე ღირსეული სიცოცხლის ფილოსოფიას, ამასთანავე ნორმალურ კანონზომიერ პროცესად მიიჩნევს სიკვდილს;

ბ) ისწრაფვის, რაც შეიძლება დიდხანს უზრუნველყოს ავადმყოფის აქტიური ცხოვრების წესი;

გ)სთავაზობს დახმარებას პაციენტის ოჯახს ავადმყოფობის მძიმე პერიოდში და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უცხადებს ახლობელი ადამიანის დაკარგვის გამო;

მიმართავს მრავალმხრივ პროფესიონალურ (ინტერდისციპლინურ) მიდგომას პაციენტისა და მისი ოჯახის ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად;

დ) ახდენს ადეკვატურ გაუტკივარებას და სხვა ფიზიკური სიმპტომების მოხსნას; აუმჯობესებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს და, ამასთანავე, გარკვეულწილად დადებითად მოქმედებს ავადმყოფობის მიმდინარეობაზე;

3. პალიატიური მზრუნველობის ორი მთავარი კომპონენტია:

ა) ავადმყოფის ტანჯვის შემსუბუქება ავადმყოფობის მთელი პერიოდის განმავლობაში (რადიკალურ მკურნალობასთან ერთად);

ბ) სამედიცინო დახმარება სიცოცხლის უკანასკნელ თვეებში, დღეებსა და საათებში.

4. ავადმყოფს პალიატიური მზრუნველობა უნდა გაეწიოს უკურნებელი დაავადების დიაგნოზის დასმისთანავე. რაც უფრო ადრე და სწორად იქნება ორგანიზებული და გაწეული ეს დახმარება, მით მეტია ალბათობა, რომ განვახორციელებთ დასახულ ამოცანას _ მივაღწევთ ავადმყოფისა და მისი ოჯახის ცხოვრების ხარისხის მაქსიმალურად შესაძლებელ გაუმჯობესებას.

5. ავადმყოფების სამ ძირითად ჯგუფს, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებათ, წარმოადგენს:

ა) მე-4 სტადიის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულნი;

ბ) ტერმინალურ სტადიაში მყოფი შიდსით დაავადებულნი;

გ) არაონკოლოგიური ქრონიკული მოპროგრესე სენით დაავადებულნი ტერმინალურ სტადიაში (გულის, ფილტვების დეკომპენსაციის, ღვიძლისა და თირკმლების უკმარისობის სტადიები, გაფანტული სკლეროზი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევების მძიმე შედეგები და სხვ.).

6. პალიატიური მზრუნველობისათვის პაციენტთა შერჩევის კრიტერიუმებია:

ა) სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა არა უმეტეს 3-6 თვისა;

ბ) შემდგომი მკურნალობის ნებისმიერი მცდელობის მიზანშეუწონლობა (სპეციალისტების მტკიცე რწმენის გათვალისწინებით, რომ დიაგნოზი სწორადაა დასმული);

გ) ავადმყოფის ისეთი ჩივილები და სიმპტომები, რომლებიც სიმპტომური თერაპიისა და მოვლისათვის სპეციალურ ცოდნასა და უნარს საჭიროებს.

7. პალიატიური მზრუნველობისათვის პაციენტთა შერჩევის კრიტერიუმებია:

ა) სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა არა უმეტეს 3-6 თვისა;

ბ) შემდგომი მკურნალობის ნებისმიერი მცდელობის მიზანშეუწონლობა (სპეციალისტების მტკიცე რწმენის გათვალისწინებით, რომ დიაგნოზი სწორადაა დასმული);

გ) ავადმყოფის ისეთი ჩივილები და სიმპტომები, რომლებიც სიმპტომური თერაპიისა და მოვლისათვის სპეციალურ ცოდნასა და უნარს საჭიროებს.

ინსტრუქციის მიხედვით ნათელია, რომ პროგრამის ბენეფიციარები არიან მე-4 სტადიის მქონე ონკოლოგიური პაციენტები და თანაც ისეთი ჩივილებით, რომლებიც სიმპტომური თერაპიის და მოვლისათვის სპეციფიურ ცოდნასა თუ უნარს საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ ონკოლოგიურ პრაქტიკაში დაავადების სტადიურობა ხდება დიაგ-ნოზის დადგენის მომენტში, რაც ყოველთვის ცხადია ვერ იქნება მე-4 სტადია, ხოლო სტადიის ცვლილება კი აღარ ხდება პაციენტის ცხოვრების მანძილზე.

ამასთან, პაცინეტთა აღნიშნულ ჩივილთა შორისაა ტკივილი. ძლიერი, ქრონიკული ტკივილის ადეკვატური მართვისათის კი პაციენტთათვის საკანონმდებ-ლო ბაზის მიხედვით აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს კლინიკური ჯგუფის

განსაზღვრა, რაც დამატებით ბიოროკრატიულ საკითხს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ოპიოიდების ხელმისაწვდომობა, რაც მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ონკო-ინკურაბელურ პაციენტთათვის ტკივილის ადეკვატურად მართვის საკითხის სწორად მართვში.

ყურადსაღებია შემდეგი ფაქტიც, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, საქართველოში მოქმედი პროგრამის ინსტრუქციის მიხედვით, ბენეფიციართა სიცოცხლის საშუალო ხანგრძივობა არაუმეტეს 3-6 თვეა, რაც სავარაუდოდ შესაძლოა მიუთითებდესარასრულფასოვან მზრუნველობაზე, ან პაციენტთა საჭიროებების არასწორად განსაზღვრავდეს.

და ბოლოს, პალიატიური მზრუნველობის ძირითადი პრინციპების გათვალისწინებას ეჭვის ქვეშ აყენებს პროგრამის ინსტრუქციით გათვალისწინებული ის მოთხოვნა, სადაც ბენეფიციარების განსაზღვრება ითვალისწინებს პაციენტთა იმ ჯგუფს, რომელთა მკურნალობის ნებისმიერი მცდელობა მიზანშეუწონილი აღარ არის. ამ შემთხვევაში რთულია იზრუნო პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მათი სრულფასოვანი ცხოვრების შენარჩუნებაზე ცხოვრების ბოლომდე.

სწორედ ყოველივე ზემოაღნიშნული განსაზღვრავს წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობას, რათა შეფასდეს არსებული პროგრამის გამართულობის და მიანშეწონილობის საკითხი, შეფასდეს მისი საჭიროება, ეფექტურობა და არის თუ არა ის პაციენტის საჭიროებებზე მორგებული, პასუხობს თუ არა პაციენტთა მოთხოვნებს და ამართლებს თუ არა დასახულ მიზნებს.

ზემოხსენებული საკითხის აქტუალობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ, ნებისმიერი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემა სრულყოფილად არ ჩაითვლება თუ მას პრევენციულ, სამკურნალო და სარეაბილიტაციო მდგენელებთან ერთად არ გააჩნია პალიატიური მზრუნველობის მდგენელიც (Kordzaia D., 2011). მეტიც, პალიატიური მზრუნველობის სისტემის განვითარების ხარისხი წარმოადგენს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ კრიტერიუმს (კორძაია დ., 2010).

მნიშვნელოვანია, რომ პალიატიური მზრუნველობა ხორციელდებოდეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრინციპებით და ისეთი მოდელით, რომელიც

ყველაზე მეტად შეესაბამება ქვეყნის ტრადიციებსა და ეთნოფსიქოლოგიას (ჩიხლაძე ნ., 2017). წინააღმდეგ შემთხვევაში, არასწორად დაგეგმილი და განხორციელებული პალიატიური მზრუნველობა ვერ უზუნველყოფს სიცოცხლის მაქსიმალურად შესაძლო ხარისხის მიღწევას (Bruera E., et al., 2002; Kordzaia D., Dalakishvili S., et al., 2011; Kordzaia D., et al., 2012).

აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ პალიატიური მზრუნველობის ოპტიმალური მოდელის შექმნისათვისა და არსებულის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია არსებული მოდელის ბენეფიციართა საჭიროებების განსაზღვრა, მათზე განხორციელებული მზრუნველობის და სამედიცინო მომსახურეობის ხარისხის და მოცულობის შეფასება და გაუბჯობესების გზების დასახვა. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში პალიატიური მზრუნველობის არსებულ მოდელს და გამოცდილებას.

<u>კვლევის მიზანი და ამოცანები</u>

<u>**კვლევის მიზანს**</u> წარმოადგენს - პალიატიური პაციენტების სამედიცინო საჭიროებებისა და მიწოდეუბლი სამედიცინო სერვისების (მოცულობის და მომსახურეობის ხანგრძლივობის) შეფასების გზით, ამასთან, ქვეყანაში არსებული და წლების განმავლობაში დამკვიდრებული ავადმყოფთა ინკურაბელობის სტატურის განსაზღვრის ანალიზის საფუძველზე პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება საქართველოში პალიატიური მზრუნველობის არსებული მოდელის გაუმჯობესე-ბისათვის.

<u>მიზნის მისაღწევად დაისახა ორი ამოცანის, როგორც კვლევის ორი ფრაგმენტის, გადაწყვეტა:</u>

1. ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილ პაციენტთა ამბულატორიული მომსხურეობის დროს მათი ჩივილების, პრობლემებისა და სამედიცინო საჭიროებების გამოკვლევა, შეფასება და ანალიზი;

2. პაციენტთა ადეკვატური სამედიცინო სერვისების, მომსახურეობის მოცულობის, ხანგრძლივობის ანალიზი და ადეკვატური მკურნალობის ხელმისაწვდომობის შეფასება მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების საფუძველზე;

<u>დასაცავად გამოსატანი დებულებები</u>

- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობა საქართველოს რეალობაში და არსებული სამედიცინო მომსახურეობა ემყარება უპირატესად სამედიცინო საჭიროებების და ხშირად უგულვებელყოფილია არასამედიცინო ასპექტები (ფსიქოლოგიური, სულიერი, სოციალური);
    - გაწეული (და დღესდღეობით დანერგილი) სამედიცინო სერვისი ძირითადად ემყარება პაციენტის მინიმალურ სამედიცინო საჭიროებებს და არ მოიცავს პალიატიური მზუნველობის საერთაშორისოდ აღიარებულ მოდელს (სადაც თავდაპირველადვე განსაზღვრულია მულტიდისციპლინური გუნდის წევრების ეფექტური მუშაობა და როლთა გადანაწილება);
    - ინკურაბელურ პაციენტთა სამედიცინო სერვისის ხელმისაწვდომობა ემყარება გეოგრაფიულ პრონციპს, სადაც დარღვეულია პაციენტთა უფლებები;
    - პაციენტთა ინკურაბელობა საქართველოში დღემდე ემყარება გაუმათლებელი კლინიკური ჯგუფების განსაზღვრის პრინციპს, რაც გაუგებატს და სადაოს ქმნის წარმოდგენას პაციენტის რეალური მდგომარეობის შესახებ;
- ინკურაბელურ პაციენტთა ოპიოიდების ხელმისაწვდომობა დამყარებულია დღესდღეობის გაუმართლებელი შეფასების კლინიკურ ჯგუფებზე, ბიუროკრატიულ აპარატზე, სამედიცინო პერსონალის შესაბამისი ცოდნის სიმწირესა და საკანონმდებლო ბაზის შეუსაბამობაზე;
- კლინიკური ჯგუფების სამედიცინო პრაქტიკაში გამოყენება პირობითია, ის წარმოადგენს ჯანმრთელობის დაცვის პოსტ საბჭოთა სისტემის

ნაწილს და ონკოლოგიურ პაციენტთა დისპანსერიზაციის ერთეულს. კლინიკური ჯგუფის არსებობა ბარიერს უქმნის პაციენტთა სრულყოფილ სერვისს, შეუძლებელს ხდის პაციენტებს სამედიცინო საჭიროებებისათვის დაენიშნოთ ოპიოიდები კიბოს საწინააღმდეგო რადიკალური მკურნლობის დროს გამოხატული ძლიერი, ქრონიკული ტკივილის შემთხვევაში;

- კლინიკური ჯგუფი თავის მხრივ სრულყოფილად არ ასახავს: პაციენტთა ზოგადი მდგომარეობას, ცხოვრების ხარისხს. ის არ გამოიყენება საერთაშორისო კლინიკური გაიდლაინების მიხედვით და შემორჩენილია მხოლოდ პოსტ საბჭოთა სივრცის ქვეყნებში;
- ონკოლოგიურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის მომსახურეობის მიღების შეფასებისათვის მიუღებელია ჩართვის კრიტერიუმად მე-4 სტადიის მოთხოვნის აუცილებლობა, რადგან ის არ წარმოადგენს სარწმუნო იარაღს ონკო ინკურაბელურ პაციენთა დაავადებიც პროგრესირებისა და მდგომარეობის შეფასებისათვის;
- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის ხანგრძლივობა გაუნმართლებელია მოიცავდეს პაციენტთა პალიატიური მზურნველობის საჭიროებების რომელიმე 3 ან 6 თვეს, რისი მოთხოვნის საფუძველზე ირღვევა პალიატიური მზურნველობის არსის ძირითადი პრინციპი - ზრუნვა პაცინეტის ცხოვრების ბოლომდე და მისი ხცოვრების ხარისხის შენარჩუნება/გაუმჯობესება.

<u>მეცნიერული სიახლე</u>

- ინკურაბელურ პაციენტთა სტატუსის შეფასება უნდა ეყრდნობოდეს პაციენტთა საჭიროებებს (სამედიცინო და არასამედიცინო), სადაც უგულვებელყოფილ უნდა იქნას პაციენტთა კლინიკური ჯგუფი და დაავადების სტადია;

- ინკურაბელური პაციენტის ოპიოიდების ხელმისაწვდომობა უნდა ემყარებოდეს მის სამედიცინო საჭიროებებს და არა კლინიკურ ჯგუფს;
- ინკურაბელობის სტატუსი საქართველოში ვერ ასახავს ონკოლოგიური პაციენტის პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო საჭიროებებს და ვერ განსაზღვრავს შესაბამისი პალიატიური სერვისის აუცილებლობას.

<u>პრაქტიკული რეკომენდაციები</u>

პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო სერვისები (მომსახურეობა) რეკომენდებულია ეფუძნებოდეს პაციენტებისა და მათზე მზრუნველი პირების საჭიროებებს, სადაც გათვალისწინებული იქნება არასამედიცინო (სოციალური, სულიერი, ემოციური) ასპექტები;

პაციენტთათვის პალიატიური მზუნველიბის სერვისის მისაღებად არ არის რეკომენდებული ჩართვის კრიტერიუმად განისაზღვროს დაავადების სტადიურობა და/ან კლინიკური ჯგუფი;

ინკურაბელობის განსაზღვრისათვის არ არის რეკომენდებული გამოყენებულ იქნას კლინიკური ჯგუფის პრინციპი, რადგან ის ვერ ასახავს პაციენტთა საჭიროებებს და რეალურ მდგომარეობას. პაციენტის ხარისხიანი სამედიცინო სერვისის მისაღებად საერთაშორისოდ აღიარებულია: დაავადების მიმდინარეობა და პროგრესირება შეფასდეს შესაბამისი გაიდლიანით; პაციენტის მდგომარეობის შეფასება მოხდეს შესაბამისი შეფასების შკალების გამოყენებით (ECOG და Karnovky), ხოლო პაციენტის ცხოვრების ხარისხის შეფასება კი განხორციელდეს ცხოვრების ხარისხის შესაფასებელი სპეცილიზირებული კითხვარების მიხედვით (QOL);

ძლიერი ტკივილის დროს ყოველთვის გამოყენებულ იქნას საერთაშორისო რეკომენდაცია: ძლიერი, ქორინიკულ ტკივილის მართვა უნდა განხორციელდეს სამედიცინო საჭიროებისდა მიხედვით;

პალიატიური მზრუნველობისათვის რეკომენდებულია ყოველთვის გათვალისწინებულ იქნას მულტიდისციპლინური მიდგომა და მზრუნველობაში სხვადასხვა სამედიცინი და არასამედიცინო სპეციალისტების ჩართვა. აღნიშნული კი

უზრუნველყოფს ხარისხიანი სერვისის მიწოდებას საჭიროებაში მყოფი პაციენტებისა და მათი მზრუნველი პირებისათვის;

პალიატიური მზრუნველობის მიმწოდებელი სამედიცინო პერსონალი უნდა ფლობდეს პალიატიური მედიცინისა და ტკივილის მართვის შესაბამის სამედიცინო განათლებას და უნარ-ჩვევებს (მზრუნველობის სამედიცინო-ბიოლოგიურ ასპექტებს, სამედიცინო ეთიკის საფუძვლებს, კომუნიკაციის ხელოვნებას, რასაც მნიშვნელოვანია ითვალისწინებდეს პალიატიური მზრუნველობის დიპლომამდელი (საუნივერსი-ტეტო) და დიპლომისშემდგომი (სუბ-სპეციალობის) პროგრამები.

<u>აპრობაცია:</u>

დისერტაციის ფრაგმენტები მოხსენებულია:

- 2018 წელს თსუ ონკოლოგიისა და პალიატიური მედიცინის კათედრის სხდომაზე;
- 2017 წელს აკად. ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრი - კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუში;
- 2015 წელს თსუ-ში ჩატარებულ პალიატიური მედიცინის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე - „პალიატიური მზრუნველობის ჯანდაცვითი და საუნივერსიტეტო მდგენელების - სამედიცინო მომსახურების, განათლებისა და კვლევის ინტეგრაციისათვის(თსუ, თბილისი, საქართველო);
- 2014 წელს თსუ-ში ივ. ჯავახიშვილის ფორუმზე (თბილისი, საქართველო);
- სტენდური მოხსენება შეტანილია ევროპის პალიატიური მზრუნველობის ასოციაციის XVI მსოფლიო კონგრესის პროგრამაში (პრაღა, ჩეხეთი).

<u>დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული ნაშრომები:</u>

- T. Lekashvili, T. Rukhadze - Clinical Groups in Oncology as Part of Former Soviet Health Care System – Georgian Experience - Translational and Clinical Medicine-Georgian Medical Journal. 2018 Sep 31;1(2):29-31

- T.Lekashvili, T.Abramidze, I. Shoshiashvili, T.Rukhadze - Medical needs of onco-incurable patients and their related challenges - Georgian Journal of Radiology (2018); ISSN 1512-0031

- P. Dzotsenidze, N. Chikhladze, I. Abesadze, T. Lekashvili, M. Jorbenadze, D. Kordzaia - Impact of ambiguous and restrictive regulations on opioid-prescribing practice in Georgia - Journal of Pain and Symptom Management 56(1) · March 2018 DOI: 10.1016/j.jpainsymman.(2018)

- T. Rukhadze, T. Lekashvili -Integration and incorporation of Palliative Care (PC) in Healthcare (HC) System-Experience of Former Soviet Countries – Conference Matherial: 8th World Research Congress of the European Association for Palliative Care · Poster presentation: A-615-0003-00354 ·(Leida, Spain), 2016
- T. Rukhadze, T. Lekashvili - Mapping and complexity of Palliative Care Services in Georgia -- Compliance and sequence of implementation of Georgian National Palliative Care Strategic Plan for 2011-2015 (GNPCSP) – Conference Matherial: 8th World Research Congress of the European Association for Palliative Care · Poster presentation: A-615-0003-00354, (Leida, Spain), 2016
- Tsirekidze T., Aladashvili T., Shanshiashvili I., Lomidze T., Menteshashvili N., Lekashvili T., Kordzaia S. - Evaluation of spiritual assessment and its challenges in Georgia - Poster presentation -13th EAPC World Congress, Prague, Czech Republic, June, 2013
- Rukhadze T., Aladashvili T., Lekashvili T., Kezeli T., Goguadze I., Pipia N., Berishvili E., Imedadze T. , Surmava-Mizilini T., Rukhadze M. - Challenges in Implementation of Palliative Care Educational Programs in Former Soviet Countries - Georgian Experience - Poster presentation -13th EAPC World Congress, Prague, Czech Republic, June, 2013

ლიტერატურის მიმოხილვა

1. პალიატიური პაციენტების სამედიცინო პაჭიროებების განსაზღვრისა და სამედიცინო სერვისების, მათი განხორციელების და სამეცნიერო კვლევების შესახებ აღნიშნული საკითხის ირგვლივ

სამედიცინო პრაქტიკაში პალიატიური მზრუნველობა წარმოდგენილია, როგორც აქტიური მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური, ფსიქოლოგიური, სულიერი მხარდაჭერა და შესაძლებლობის მიხედვით პაციენტთა მხარდაჭერა სიცოცხლის ბოლომდე, რათა ისინი დარჩნენ საზოგადოების სრულყოფილ და სრულფასოვან წევრებად.

პალიატიური მზრუნველობა არის ადამიანის ფუნდამენტური უფლება და ადამიანის ღირსებისა და ჯანმრთელობის განუყოფელი ნაწილი. პალიატიური მზრუნველობის მიზანია, ტანჯვის პრევენციისა და შემსუბუქების მეშვეობით, სიცოცხლის მალიმიტირებელი დაავადების მქონე პაციენტის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

პალიატიური მზრუნველობის სფეროში, კლინიკურ პრაქტიკაზე ზემოქ-მედებისათვის აუცილებელია „დამაჯერებელ“ მტკიცებულებებზე კლინიცისტების წვდომის უზრუნველყოფა. თუმცა, ამდაგვარი მტკიცებულების მოპოვება გარკვეულ პრობლემებს უკავშირდება და პალიატიური მზრუნველობის დისციპლინა დაუყოვნებლივ მოითხოვს მტკიცებულებათა უფრო მდიდარ ბაზას.

პალიატიურ მზრუნველობის სფეროში ჩატარებული კვლევა და შეფასება შესაძლოა მოიცავდეს იმ დემოგრაფიულ, ადმინისტრაციულ და დიაგნოსტიკურ მონაცემებს, რომელიც უზრუნველყოფს სტანდარტულ ინფორმაციას იმ პაციენტების შესახებ, რომელთაც მზრუნველობა უტარდებათ. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ უფრო რთულ საზომ ერთეულებს, რომელთა გამოყენებით ხდება ხარისხის განზომილებათა შეფასება. მისაწვდომთაგან ზოგიერთი შემუშავებული და დადასტუ-

რებული იქნა სპეციალურად პალიატიური მზრუნველობის სფეროში, მაგ. დამხმარე გუნდის შეფასების განრიგი (Support Team Assesement Schedule) ედმონტონის სიმპტომთა შეფასების სისტემა (Edmonton Symptom Assesement System) ან პალიატიური მზრუნველობის შედეგთა შკალა (Palliative Care Outcome Scale). Mag (Bruera et.al.1991; earn and Higginson 1999; Higginson and McCarthy 1993)

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ექსპერტთა აზრით, პალიატიური მზრუნველობა უნდა დაიწყოს ინკურაბელური დაავადების დიაგნოზის დადგენისთანავე (Sepúlveda C., et al., 2002; Temel JS., et al., 2010). ასევე მიჩნეულია, რომ ის უფრო ეფექტურია, რაც ადრე ჩაერთვება პაციენტის სამედიცინო დახმარების პროცესში. ეს ადრე ჩართვა კი, თავის მხრივ გულისხმობს, როგორც სიმპტომთა მართვას, ასევე ფსიქოლოგიურ და სულიერ მხარდაჭერასაც (Morrison RS., et al., 2004). ამასთანავე, პალიატიური მზრუნველობის წილი თანდათანობით მატულობს დაავადების მენეჯმენტში, ხოლო სამკურნალო ჩარევათა წილი, შესაბამისად კლებულობს (Brumley R., et al., 2007).

აონმა და ქრისტიანსონმა შეისწავლეს მსჯელობანი დამაჯერებელ მტკიცებულებათა შესახებ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ლიტერატურაში, რაც ადასტურებს, რომ პალიატიურ მზრუნველობაში ლიტერატურის კვლევისა და შეფასებისას ვაწყდებით ანალოგიურ არგუმენტებსა და პრობლემებს მტკიცებულებაზე დაფუძნებული მოქმედი მიდგომების გამოყენებასთან დაკავშირებით.

სულ ცოტა ხნის წინ, 1213 სტატიის სისტემატური განხილვის საფუძველზე, ჰუიმ და კოლეგებმა შეისწავლეს პალიატიური ლიტერატურის ხარისხი, ფორმა და მასშტაბი, რაც მოიცავდა დროის ორ პერიოდს: 6 თვეს 2004 წელს და 6 თვეს 2009 წელს. მტკიცებულებათა იერარქიიდან ყველაზე გავრცელებული კვლევის გეგმა იყო შემთხვევის ანგარიში / სერიები (51 %), გადამკვეთი მიმოხილვა (18%), ხარისხობრივი კვლევები (11%) და კოჰორტული კვლევები (9%).

რანდომიზებული კონტროლირებული კვლევები (RCT) შეადგენდა კვლევების მხოლოდ 6%, რომელთა უმეტესობა ფოკუსირებული იყო ფიზიკური სიმპტომებით გამოწვეულ ინტერვენციებზე, ამასთან საშუალო ნიმუშის ზომა იყო მხოლოდ 70 მონაწილე.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, დადასტურებულია, რომ მკურნალობასთან ინტეგრირებული პალიატიური მზრუნველობა არა მხოლოდ აუმჯობესებს პაციენტების სიცოცხლის ხარისხს, არამედ ასევე ამცირებს არასაჭირო ჰოსპიტალიზაციების რიცხვს და ჯანდაცვის სერვისების უყაირათო ხარჯვას (Temel JS., et al., 2010; Jox RJ.,et al; 2012). შესაბამისად, ჯანდაცვის ეროვნული სისტემები უნდა უზრუნველყოფდეს პალიატიური მზრუნველობის ჩართვას სამედიცინო მოვლის ყველა ეტაპზე იმ ადამიანებისთვის, რომელთაც აქვთ ქრონიკული და სიცოცხლის შემზღუდველი დაავადებები/მდგომარეობები.

აღნიშნული მიიღწევა პალიატიური მხრუნველობის პროგრამების დანერგვით ჯანდაცვის სისტემის განუყოფელ ნაწილად - პრევენციის, ადრეული გამოვლენის და მკურნალობის პროგრამებთან ერთად (Meier DE., 2011).

პალიატიური მზრუნველობის სხვა ასპექტები, კომუნიკაციების, გადაწყვეტილების მიღების/ ეთიკის, განათლების, კვლევის მეთოდოლოგიის და სულიერების ჩათვლით წარმოადგენს ყველა RCT-ს 5% ან ნაკლებს.

ავტორები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ცოდნის აღქმის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით არსებობს კრიტიკული შეხედულება, რომ RCT-ის საერთო მეთოდოლოგიური ხარისხი დაბალია.

პალიატიურ მზრუნველობაში კოჰრეინის სისტემატური მიმოხილვა ვერ „უზრუნველყოფს კლინიკური პრაქტიკისათვის დამაჯერებელი მტკიცებულების მოწოდებას, ვინაიდან, პირველადი კვლევების რაოდენობა მცირეა, მოცულობა პატარა, ხასიათდება კლინიკური არაერთგვაროვანებით, დაბალი ხარისხით და გარე ვალიდობით (1. Howard GS. 1986:208. 2. Aoun S., 2005. 3. Aoun S., 2005. 4. Hui D., 2012. 5. Hui D., 2011).

სახლში პალიატიური მზრუნველობის მომსახურების ეფექტურობის კოჰრეინისეულმა უახლესმა განხილვამ გამოავლინა სხვადასხვა მეთოდოლოგიური საკითხები. 23 კვლევის (37,561 პაციენტი და 4042 მომვლელი) განხილვის საფუძველზე არსებობდა უტყუარი მტკიცებულება იმისა, რომ ეს მომსახურება ეხმარება სულ უფრო მეტ პაციენტს, რომელიც შინ გარცადვალებას ანიჭრბს უპირატესობას და ამცირებს სიმპტომების სიმწვავის ხარისხს მომვლელის ტვირთის დამძიმების გარეშე.

მიუხედავად ამისა, მტკიცებულება არ იყო დასკვნითი დანარჩენი ცხრა პაციენტის და მომვლელის გამოსავალზე, მთელი რიგი მეთოდოლოგიური საკითხებიდან გამომდინარე.

ამიტომ, აუცილებელია მაღალი ხარისხის მტკიცებულება ყოველდღიური კლინიკური პრაქტიკის მხარსასაჭერად და საჭიროა უფრო მეტი კვლევის ჩატარება მომვლელებზე, ჯანდაცვის პროფესიონალებზე და ფსიქოსოციალურ-სულიერ საკითხებზე პალიატიურ მზრუნველობაში.

გვიანი სტადიის დაავადების გამო გარდაცვალების პერსპექტივის შემთხვევაში, ადამიანთა უმეტესობას ურჩევნია შინ სიკვდილი, თუმცა მთელ მსოფლიოში, ბევრ ქვეყანაში, მეტად სავარაუდოა, რომ რისკი, მოხდეს მათის საჭიროების შემთხვევაში რეფერალი კლინიკაში, ან ისინი გარდაიცვალნონ სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებასა თუ ჰოსპისში.

მრავალი ავტორის მიერ მოწოდებული კვლევების მიხედვით, რომელიც აფასებდა სახლში პალიატიური მზრუნველობის მომსახურებებს, მათ საჭიროებას, ხარისხსა თუ მიწოდების თავისებურებას, ან შინ მოვლაში გამოცდილი ჯანდაცვის პროფესიონალების გუნდების მუშაობას, რომელთა სპეციალიზაცია მოიცავდა ინკურაბელურ დაავადებასთან დაკავშირებული ფართო სპექტრის პრობლემების კოტროლს (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, სულიერი), თუმცა არც ერთ მათგანში არ არის მცემული მომსახურეობის ის მალიმიტირებელი საკითხები და ბარიერები, რაც მოწოდებულია ჩვენს მიერ წარმოდგენილი კვლევით.

ლიტერუტურული მონაცემების მიხედვით რიგი ავტორები ცდილობდნენ გაერკვიათ, თუ რამდენად ახდენს გავლენას ეს მომსახურება ადამიანების შინ გარდაცვალების შესაძლებლობაზე, ასევე პაციენტებისათვის სხვა მნიშვნელოვან ასპექტებზე სიკვდილამდე, როგორიცაა სიმპტომები (მაგ. ტკივილი) და ოჯახის სტრესზე.

თუმცა მსგავს კვლევებში კვლევა ფოკუსირებული არ არის სამედიცინო მომსახურეობის ხარისხობრივ მაჩვენებლებსა და სერვისის ჩართვის კრიტერიუმებზე. გარდა ამისა, რიგი კვლევები ფოკუსირებული არიან მზურველობის ხარჯების შეფასებასა და შედარებაზე (37,561 პაციენტის და 4042 ოჯახის მომვლელის 23

კვლევის საფუძველზე), რის შედეგადაც დადასტურდა, რომ როდესაც გვიანი სტადიის დაავადების მქონე ადამიანი იღებს პალიატიურ მზრუნველობას სახლში, მათი შინ გარდაცვალების ალბათობა ორჯერ და მეტჯერ მეტია.

სხვადასხვა კვლევის საფუძველზე ავთორთა ახრით, სახლში (ბინაზე) პალიატიური მზრუნველობა ასევე ხელს უწყობს სიმპტომების სიმწვავის შემცირებას, რაც შესაძლოა გამოვლინდეს გვიანი სტადიის დაავადების შედეგად, ოჯახის მომვლელის ტვირთის გაზრდის გარეშე პაციენტის გარდაცვალების შემდეგ.

ავტორთა აზრით, ამ გარემოებაში, პაციენტისთვის, რომელსაც სურს შინ გარდაცვალება, უნდა მოხდეს სახლში პალიატიური მზრუნველობის შეთავაზება. ამ თვალსაზრისით ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია პალიატიური მზრუნველობის მომსახურებები და გასაზრდელია სარგებელი პაციენტებისა და ოჯახებისათვის ხარჯების ზრდის გარეშე.

მტკიცებულებათა უმეტესობა ადასტურებს, რომ ადამიანთა 50%-ზე მეტი უპირატესობას ანიჭებს შინ მოვლასა და შინ გარდაცვალებას (Gomes 2013; Bell 2009; Higginson 2000). გვიანი სტადიის დაავადების მქონე პაციენტთა და მომვლელთა უმეტესობაც ამ მოსაზრებას ემხრობა. თუმცა, მათი არჩევანი დამოკიდებულია არსებულ პრობლემებსა და მიღებული მოვლის ხარისხზე (Choi 2005; Thomas 2004). დღეისათვის, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, შინ გარდაცვალების სურვილი აუსრულებელი რჩება.

ძალისხმევისა და პოლიტიკის მიუხედავად, რაც მიზნად ისახავს შინ გარდაცვალების ხელშეწყობას, გარდაცვალების მხოლოდ მცირე შემთხვევები აღრიცხება შინ, მაგალითად 17% ნორვეგიაში 2008 წელს, 21% ინგლისში 2010 წელს, 23% ბელგიაში 2007 წელს, 30% კანადაში 2004 წელს, 33% პორტუგალიაში 2005 წელს, 34% იტალიაში 2002 წელს და 34% ჰოლანდიაში 2003 წელს (Cohen 2010; Gomes 2012a; Houttekier 2011; WHO 2011; Wilson 2009).

ოპტიმალური პალიატიური მზრუნველობის შეთავაზების მნიშვნელობა გვიანი სტადიის დაავადების მქონე პაციენტებისათვის და მომვლელებისათვის, რომელთაც სურთ შინ დარჩენა, განსაკუთრებით აქტუალურია ასაკოვან პოპულაციაში (Khaw 1999; WHO 2011).

უფრო გრძელი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის და მხცოვან ასაკს მიღწეული "შობადობის მკვეთრი ზრდის" თაობების დიდი ჯგუფების გამო, მომავალში პროგნოზირებული სიკვდილის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის პირობებში რთულია საავადმყოფოში სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლების ატანა და პალიატიური მზრუნველობის მომსახურების მიწოდების მაშტაბის გაფართოება აუცილებელია ყველა მიმართულებით - საავადმყოფოებში, ჰოსპისებში, სამედიცინო დაწესებულებებსა და მოხუცთა თავშესაფრებში და მნიშვნელოვნად სახლში (Gomes 2008; Gomes 2011).

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, რამდენიმე ქვეყანაში, როგორიცაა გაერთიანებული სამეფო, კანადა და აშშ, უკვე შეიცვალა ინსტიტუციონალური გარდაცვალების სეკულარული ტენდენციები და სულ უფრო მეტი ადამიანი კვდება შინ (Gomes 2012a; Gao 2013; Wilson 2009; Teno 2013; Flory 2004). უფრო მეტი ადამიანისათვის მზრუნველობის შინ უზრუნველყოფის და ამგვარად, უფრო მეტი პაციენტისა და მომვლელის პრივილეგიების დაკმაყოფილების მიზნით, უნდა მოხდეს შინ პალიატიური მზრუნველობის მომსახურებების ეფექტის რაოდენობრივად გამოხატვა. ეს ხელს შეუწყობს იმ ზღვარის შეფასებას, სადამდეც უნდა განვითარდეს ან გაუმჯობესდეს არსებული მომსახურება, საჭიროების და პრეფერენციების მიხედვით. გარდა ამის, მნიშვნელოვანია განისაზღვროს, თუ რა გავლენას ახდენს ეს მომსახურებები შინ სიკვდილის გარდა სხვა გამოსავალზე, როგორიცაა სიმპტომის კონტროლი, სიცოცლის ხარისხი, მომვლელის სტრესი და მომსახურებით დაკმაყოფილება. ეს გამოსავლები ხშირად ისევე მნიშვნელოვანია ან უფრო მნიშვნელოვანია პაციენტებისათვის, ვიდრე შინ სიკვდილი (Heyland 2006; Steinhauser 2000).

სხვადასხვა კვლევის საფუძველზე, მომსახურების დაგეგმარების პერსპექტივიდან გამომდინარე, სახლში პალიატიური მზრუნველობით შესაძლებელია თანხების დაზოგვა ყველგან ჯანდაცვის სისტემაში, კერძოდ საავადმყოფოს ხარჯები, თუმცა ჯერ კიდევ კითხვად რჩება, არის თუ არა ეს მომსახურებები სტანდარტული მკურნალობის რენტაბელური დანამატი ან მისი შემცვლელი.

ავტორთა აზრით, სახლში პალიატიური მზრუნველობის მომსახურებების ეფექტურობის არსებული განხილვები (რაც მოიცავს სტაციონალურ ჰოსპისებთან ასოცირებულ სამედიცინო ბრიგადებს, საერთო პროფილის ჰოსპისების სამედიცინო სააგენტოებს, საერთო პროფილის ჰოსპიტალურ დამხმარე ბრიგადებს და სახლში ჰოსპიტალურ მომსახურებებს) ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს პალიატიური მზურნველობის მოდელების ეფექტურობის თაობაზე უფრო ფართომაშტაბიანი განხილვების ნაწილს ან ასოცირდება მხოლოდ კიბოს მქონე პაციენტების პოპულაციებთან (Smeenk 1998b). თუმცა, პალიატიური მზრუნველობა გასცდა კიბოს საზღვრებს (Addington-Hall 2001a).

მიუხედავად პაციენტის დიაგნოზისა, პალიატიური მზრუნველობის მომსახურებების სფეროში არსებობს ორი სისტემატური მიმოხილვა და მოიცავს ეკონომიურ კვლევებს (Higginson 2003; Zimmermann 2008); ასევე მოწოდებულია ერთი სრულყოფილი ეკონომიკური შეფასება, რომელიც განხორციელდა საპილოტო კვლევის ფარგლებში, იტალიაში, 1990-იან წლებში (Tramarin 1992). გარდა ამისა, გამოსავლის შესახებ მიგნებები მერყეობდა, გარდა შინ სიკვდილის მზარდი ალბათობისა, რაც გამომდინარეობდა სახლში პალიატიური მზრუნველობის ერთი მოდელიდან - ჰოსპიტალი სახლში - როგორც ეს მოცემულია კოჰრეინის მიმოხილვაში (Shepperd 2011).

სახლში პალიატიური მზრუნველობის მოდელების უფრო დეტალური შესწავლა და მიგნებების ვარიანტების კრიტიკული ექპერტიზა ხელს შეუწყობს მტკიცებულებათა ბაზის გაუმჯობესებას შინ პალიატიური მზრუნველობის მომსახურებების განვითარების, განხორციელების და შეფასების მიზნით მომავალში.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ორი დამოუკიდებელი მიმოხილვით (ორი BG/NC/BA/KS) შეფასდა მეთოდოლოგიური ხარისხის შემაფასებელი ყველა კვლევა. ავტორთა მიერ გამოვყენებულ იქნა კოჰრეინ EPOC ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული სტანდარტული კრიტერიუმები RCTs/CCTs, CBAs და ITSs-თვის. RCTs/CCTs-თვის საკონტროლო სია (ჩეკლისტი) მოიცავს შვიდ პუნქტს, რომელიც კვალიფიცირებულია, როგორც შესრულებული, გაურკვეველი და შეუსრულებელი ლოკალიზაციის გასაიდუმლოებისათვის, პროფესიონალების მეთვალყურეობისათ-

ვის, პაციენტების ან მზრუნველობის მეთვალყურეობისათვის, პირველადი გამოსავალ(ებ)ის ბრმა შეფასებისათვის, საწყისი შეფასებისათვის, სარწმუნო პირველადი გამოსავლის შეფასებისათვის და ინფიცირებისგან დაცვის მიზნით.

ავტორთა მიერ შეფასდა ყველა (და არა მხოლოდ პირველადი) გამოსავალის შენიღბვა და საიმედოობა. გარდა ამისა, მიმოხილვაში ერთ-ერთი კრიტერიუმი (პროფესიონალების მეთვალყურეობა) არ იყო რელევანტური კვლევებისათვის; დანარჩენი ექვსი კრიტერიუმი გამოყენებული იქნა.

თითოეული კრიტერიუმი შეფასდა ქულებით ნული (არ არის შესრულებული), 0,5 (გაურკვეველია ან შეფასებისას გამოსავალი არ იყო ზუსტი) და ერთი (შესრულებულია). RCTs/ CCTs საერთო ქულები მერყეობდა ნულიდან ექვსამდე; 3,5 ან მეტი ქულით შეფასებული კვლევები მიჩნეული იქნა მაღალი ხარისხის კვლევებად. მიმოხილვების ორმა დამოუკიდებელმა ავტორმა (BG/PMcC) შეაფასა ყველა ეკონომიკური შეფასების მეთოდოლოგიური ხარისხი, შეადარეს რა მთლიანი ხარჯები გამოსავალთან მიმართებაში (ე.ი. გამოსავალი, რაც რენტაბელობის შეფასების საშუალებას იძლევა). აღნიშნულ კვლევაში გამოყენებულ იქნა ავტორებისა და ეკონომიკური დოკუმენტაციის დამოუკიდებელი ექპერტებისათვის განკუთვნილი BMJ's 35-პუნქტიანი საკონტროლო ჩამონათვალი (Drummond 1996).

ქულების არსებული სისტემა გამოყენებული იქნა საკონტროლო ჩამონათვალისათვის მაღალი ხარისხის ეკონომიკური შეფასებების გარჩევის მიზნით. ასევე გამოთვლილ იქნა თანაბრად დატვირთული ყველა პუნქტის საშუალო ქულა (Gonzalez-Perez 2002). კვლევის საფუძველზეჩანს, რომ თითოეული პუნქტი შეფასდა ნულით (არა), 0,5 (არ არის გარკვეული ან შეფასებისას პასუხი მერყეობდა მოვლის რესურსი/ხარჯის ერთეული) და ერთით (დიახ); საშუალო 0,6 ან მეტი ქულის მქონე შეფასებები მიჩნეული იქნა მაღალი ხარისხის შეფასებად (Gonzalez-Perez 2002).

შეუსაბამო პუნქტები არ არის გათვალისწინებული საშუალო მნიშვნელობის გამოთვლისას. ავტორთა მიერ ასევე მოწოდებულია ხარისხის შეფასების შედეგების ინტეგრირება მონაცემთა ანალიზში და ჩატარებულია მეტა-ანალიზი მხოლოდ მაღალი ხარისხის კვლევების მომცველი მგრძნობელობის ანალიზით.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, მანტელ-ჰენცელის (M-H) მეთოდის მეთოდის გამოყენებით, რომელიც აფასებს კვლევებს-შორის ვარიაციების რაოდენობას, ადარებს რა თითოეული კვლევის შედეგს M-H ფიქსირებული ეფექტის მეტა ანალიზის შედეგთან (Higgins 2011), მთლიანი ეფექტი გამოსახება შანსების კოეფიციენტით (OR) სახლში პალიატიური მზრუნველობის სტანდარტულ მკურნალობასთან შესადარებლად. ერთზე მეტი მნიშვნელობა მიუთითებს შინ პალიატიური მზრუნველობის პირობებში შინ სიკვდილის გაზრდილ შანსებზე, ხოლო ერთზე ნაკლები მნიშვნელობა მიუთითებს შემცირებულ შანსებზე.

P-ს მნიშვნელობა 0,05 გამოყენებული იქნა ზღვრულ მნიშვნელობად სტატისტიკური მნიშვნელობის დასადგენად და მონაცემები წარმოდგენილია შეფასებული ეფექტის სახით 95% საიმედოობის ინტერვალებით (CIs).

ავტორთა სხვა ჯგუფის მიერ ჩატარებულია ანალოგიური მეტა ანალიზი საავადმყოფოში, თავშესაფარში და სტაციონალურ ჰოსპიპისებში/პალიატიური მოვლის განყოფილებებში სიკვდილისათვის. ერთი კვლევა იყო კლასტერი RCT, სადაც კლასტერების სამი წყვილი (ჯანდაცვის რეგიონები) რანდომიზებული იქნა ინტერვენციის ან კონტროლისათვის. ამ კვლევისათვის მკვლევარების მიერ დამუშავებულ იქნა მონაცემები მეტა ანალიზისათვის 0,02 ინტრა კორელაციული კოეფიციენტის გამოყენებით ამ კვლევისათვის, რომელსაც მიმართეს შეფერდის კოჰრეინის მიმოხილვაში (Shepperd 2011). ამან შეამცირა ნიმუშის ზომა მეტა ანალიზში, როგორც გვერდითი მოვლენის რაოდენობისათვის (მაგალითად, შინ სიკვდილი) და ასევე, მთლიანობაში თითოეულ ჯგუფში. გამოთვლილ იქნა რაოდენობა, რაც საჭიროა სარგებელის მისაღებად სამკურნალოდ (NNTB) პირველადი გამოსავალისათვის, რაც არის იმ ადამიანთა მოსალოდნელი რაოდენობა, რომელთაც შესაძლოა დასჭირდეთ შინ პალიატიური მზრუნველობის მიღება და არა სტანდარტული მკურნალობა, იმისათვის რომ კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალოს შინ. NNTB გამოთვლილი იყო საკვლევი პოპულაციის კონტროლის რისკისათვის და სამი სხვა კონტროლის რისკისათვის (ACR). ეს ეფუძნებოდა შინ კიბოთი გარდაცვალების კოეფიციენტებს პოპულაციაზე დაფუძნებული კვლევებიდან ექვს ევროპულ ქვეყანაში (Cohen 2010).

(Cohen 2010): 1. შინ სიკვდილის მცირე პოპულაცია უდაბლესი მაჩვენებლით 128 სიკვდილი შინ ყოველ 1000 კიბოთი სიკვდილზე (ნორვეგია); 2. შინ სიკვდილის ზომიერი პოპულაცია საშუალო კოეფიციენტით ექვს ევროპულ ქვეყანაში (278 შინ სიკვდილი ყოველ 1000 კიბოთი სიკვდილზე); 3. შინ სიკდვილის მაღალი პოპულაცია უმაღლესი კოეფიციენტით 454 შინ სიკდვილი ყოვლ 1000 კიბოთი სიკვდილზე (ჰოლანდია).

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, მკვლევართა მიერ გამოყენებულია კიბოსთან დაკავშირებული კოეფიციენტები, რადგან ანალიზში გამოყენებული კვლევები მოიცავდა კიბოს მქონე ადამიანებს. სხვა გამოსავალზე, რესურსების გამოყენებაზე და ხარჯებზე მონაცემების კომბინირება შეუძლებელი იყო შეფასებისა და შეტყობინების მეთოდებს შორის სხვაობის გამო (მაგ. გამოყენებული ინსტრუმენტები, მეთვალყურეობა და შეფასების დრო ან დროის პერიოდი, ანალიზის ტიპი და შეტყობინებული სტატისტიკური მონაცემები).

შეჯამებული მონაცემები ასევე წარმოდგენილია მომსახურეობის რენტაბელობასთან დაკავშირებით - შედეგები კვლევების მიხედვით მკურნალობის საერთო ღირებულების შეფასების საფუძველზე. მტკიცებულებები დახარისხებულია (ძლიერი, ზომიერი, ლიმიტირებული, სადავო, არადამაჯერებელი და მტკიცებულება არ არის მოწოდებული კვლევებიდან) კოჰრეინის თანამშრომლობის განხილვის ჯგუფის მიერ შემუშავებული კრიტერიუმის გამოყენებით (Van Tulder 2003). შვიდი კვლევის შემაჯამებელი მონაცემების მიხედვით (ხუთი RCTs, სამი მაღალი ხარისხის და ორი CCTs 1222 მონაწილით) აჩვენებს, რომ მათ, ვინც იღებდა სახლში პალიატიურ მზრუნველობას, გააჩნიათ შინ გარდაცვალების სტატისტიკურად მაღალი შანსი სტანდარტული მკურნალობის მიმღებ პაციენტებთან შედარებით (OR 2.21, 95% CI 1.31 -დან 3.71-მდე; Z = 2.98, P მნიშვნელობა = 0.003; Chi2 = 20.57, თავისუფლების ხარისხი (df) = 6, P მნიშვნელობა = 0.002; I2 = 71%). ზემოაღნიშნული კვლევის მიხედვით, საკვლევი პოპულაციის კონტროლის რისკი იყო 307 შინ სიკვდილი ყოველ 1000 სიკვდილზე; ACR = 0.307 საფუძველზე, NNTB იყო 5 (95% CI 3-დან 14-მდე), რაც გულისხმობს, რომ ერთი დამატებითი პაციენტის შინ გარდაცვალებისათვის კიდევ ხუთმა პაციენტმა უნდა მიიღოს შინ პალიატიური მზრუნველობა სტანდარტული

მკურნალობის საპირისპიროდ. თუმცა ზემოაღნიშნულ კვლევებში არ არის გათვალისწინებული და პაციენტთა ჰოსპიტალიზაციის სიხშირე, მიზეზები, ოჯახის წევრთა მზრუნველობაში ჩართვის ხარისხი.

რიგი ავტორთა მიერ ჩატარებული კვლევის საფუძველზე კიბოთი შინ გარდაცვლილი პოპულაციის საშუალო კოეფიციენტის გათვალისწინებით ACR = 0.278 (ე.ი. 278 შინ სიკვდილი ყოველ 1000 კიბოთი სიკვდილზე), NNTB = 6 (95% CI 3 -დან 15-მდე). ეს ნიშნავს, რომ პოპულაციაში, სადაც აღირიცხება 278 შინ სიკვდილი ყოველ 1000 კიბოთი გამოწვეულ სიკვდილზე, კიბოს მქონე ერთი დამატებითი პაციენტის შინ სიკვდილისათვის საჭიროა, რომ დამატებით კიდევ ექვსმა პაციენტმა მიიღოს პალიატიური მზრუნველობა შინ. აღნიშნულ შემთხვევაში NNTB შეფასებები მერყეობდა 9 პაციენტიდან (95% CI 5-დან 16-მდე), როდესაც გამოყენებული იყო შინ სიკვდილის დაბალი კოეფიციენტის პოპულაციაში, როგორციაა ნორვეგიაში (128 შინ სიკვდილი ყოველ 1000 კიბოთი გამოწვეულ სიკვდილზე) 5 პაციენტამდე (95% CI 3-დან 13-მდე), როდესაც გამოიყენება შინ სიკვდილის მაღალი კოეფიციენტის პოპულაციაში, როგორიცაა ჰოლანდიაში (454 შინ სიკვდილი ყოველ 1000 კიბოთი გამოწვეულ სიკვდილზე) (Cohen 2010).

ამდენად, აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლინდა გარკვეული ასიმეტრია, თუმცა კვლევების მცირე ნაწილის ფარგლებში არ ჩატარდა ტესტები, რომელიც განასხვავებდა რეალურ ასიმეტრიას. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ უდიდესი CCT (AhlnerElmqvist 2008) შესაძლოა ყოფილიყო ანომალური მნიშვნელობა. ამ CCT-ს გამოკლებით მგრძნობელობის ანალიზმა გამოიწვია OR-ის შემცირება 1,70-მდე, თუმცა შინ სიკვდილის ეფექტი რჩება სტატისტიკურად მნიშვნელოვნად (95% CI 1.27 -დან 2.28-მდე; Z = 3.59, P მნიშვნელობა = 0.0003; ჰეტეროგენურობა: Tau2 = 0.00; Chi 2 = 2.76, df = 5 (P მნიშვნელობა= 0.74); I2 = 0%). მგრძნობელობის დამატებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ორი CCT-ს გამორიცხვამ (ორივე მათგანი შვედური საავადმყოფოზე დაფუძნებული მომსახურება საერთო OR-ით 3.44, 95% CI 0.60-დან 19.57-მდე) გამოიწვია მეტი სიზუსტე და ნაკლები არაერთგვაროვნება OR-ით 1.73 (95% CI 1.28-დან 2.33-მდე; Z = 3.60, P მნიშვნელობა= 0.0003; Chi2 = 2.57, df = 4, P მნიშვნელობა= 0.63; I2 = 0%). ეს მიგნებები იყო ანალოგიური, მხოლოდ მაღალი ხარისხის RCTs

გათვალისწინებისას (OR 1.75, 95% CI 1.24-დან 2.47-მდე; Z = 3.20, P მნიშვნელობა= 0.001; Chi2 = 1.71, df = 2, P მნიშვნელობა= 0.42; I2 = 0%; ანალიზი 1.2). გავლენის მიმართულება იყო თანამიმდევრული ზემოაღნიშნულ შვიდივე კვლევაში მიუხედავად სტატისტიკური მნიშვნელობისა.

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, არსებობდა მყარი მტკიცებულება იმისა, რომ შინ პალიატიური მზრუნველობა უფრო ეფექტურია სტანდარტულ მკურნალობასთან შედარებით პაციენტებისათვის სიმპტომების შემსუბუქების თვალსაზრისით (სამი RCTs, ორი მაღალი ხარისხის, და ერთი CBA, 2107 პაციენტი).

სამი კვლევა (ერთი მათგანი იყო მაღალი ხარისხის), მიჩნეული იქნა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად დადებითი გავლენის; გარდა ამისა, ბაკიტას 2009 (მაღალი ხარისხი) მიერ შეტყობინებულია მარგინალურად საგულისხმო ეფექტი იმავე მიმართულებით. ეფექტის ზომა იყო მცირე (საშუალო ქულებს შორის სხვაობა მერყეობდა 0-დან 7-მდე შკალაზე 0,08-დან 2,1-მდე 0-დან 20-მდე შკალაზე), მაგრამ ორი RCT-ის (ერთი მათგანი იყო მაღალი ხარისხის) მიგნებები მიუთითებს ტრაექტორიის გადახრას, ინტერვენციულ ჯგუფში სიმპტომების სიმწვავის შემცირებით, მაშინ როდესაც საკონტროლო ჯგუფში შეინიშნებოდა მისი მომატება.

ყოველ კვლევაში გამოყენებული იყო შეფასების, ანალიზის და შეტყობინების სხვადასხვა მეთოდები, რაც შეჯამდა მეტა ანალიზში. Higginson 2009-დან (მაღალი ხარისხი) შეტყობინებულია სიმპტომების სიმწვავის საშუალო ქულების ერთპუნქტიანი შემცირება (გამოყენებული იყო პალიატიური მზრუნველობის გამოსავალის შკალა - MS სიმპტომების ქვეშკალა; ხუთი სიმპტომი; 0-დან 20-მდე, 20=ყველაზე ცუდი) კვლევის დაწყებიდან 12-კვირამდე 25 ინტერვენციული პაციენტისათვის (საშუალო მაჩვენებელი კვლევის დაწყებისას 3,8), მაშინ როდესაც 21 საკონტროლო სიმპტომის სიმწვავე გაიზარდა 1,1-ით (საშუალო მაჩვენებელი კვლევის დაწყებისას 2,7). ჯგუფებს შორის სხვაობა სტატისტიკურად საგულისხმო იყო მეთორმეტე კვირაზე (P მნიშვნელობა = 0,4) და უკვე შეიმჩნეოდა მეექვსე კვირიდან, თუმცა ვერ მიაღწია სტატისტიკურ მნიშვნელობას იმ დროისათვის (P მნიშვნელობა = 0,31). McCorkle 1989 შეტყობინებულია სიმპტომის დისტრესის სხვადასხვა ტრაექტორიები კვლევაში ჩართვიდან 6-დან 18-მდე კვირაში (სიმპტომის დისტრესის

შკალა, 13 სიმპტომი, 13-დან 65-მდე შკალა; 65=ყველაზე ცუდი) ინტერვენციულ ჯგუფში და ორ საკონტროლო ჯგუფში: შინ მზრუნველობა და სტანდარტული ამბულატორიული მკურნალობა (P მნიშვნელობა = 0.03).

საწყის ქულებზე მორგებული განმეორებითი შეფასებითი ანალიზებით ავტორებმა აღმოაჩინეს, რომ მაშინ როდესაც სიმპტომის დისტრესი მეექვე კვირიდან მეთორმეტე კვირამდე 1,87 პუნქტით შემცირდა ინტერვენციული პაციენტებისათვის (დაკორექტირებული საშუალო მნიშვნელობა 26,10 ექვს კვირაზე) და 0,17 პუნქტით კიბოთი დაავადებული პაციენტებისათვის, რომლებიც იღებენ მკურნალობას შინ (დაკორექტირებული საშუალო მნიშვნელობა 24,88 ექვს კვირაზე), ის 2,47 პუნქტით გაიზარდა პაციენტებისათვის, რომლებიც იღებენ სტანდარტულ ამბულატორიულ მკურნალობას (დაკორექტირებული საშუალო მაჩვენებელი 24,32 ექვს კვირაზე). 12-დან 18-ე კვირამდე სამ ჯგუფში აღინიშნა სიმპტომის დისტრესის ზრდა, კერძოდ შინ მკურნალობის შემთხვევაში (დაკორექტირებული საშუალო მაჩვენებელი გაიზარდა 1,43-ით, ინტერვენციული პაციენტების შემთხვევაში 1,19-ის და სტანდარტული ამბულატორიული მკურნალობის შემთხვევაში 0,09-ის საპირისპიროდ).

Greer 1986-ში ინტერვენციულ პაციენტებს სავარაუდოდ აღენიშნებოდათ ნაკლები სიმპტომები სტანდარტული მკურნალობის მიმღებ პაციენტებთან შედარებით სიკვდილამდე ერთი კვირის განმავლობაში (MelzackMcGill კითხვარის მიხედვით შედგენილი სიმპტომების სიმწვავის შკალა; შვიდი სიმპტომი; 0-დან 7-მდე შკალა, 7=ყველაზე ცუდი).

Greer-დან შეტყობინებულია, რომ სტატისტიკურად საგულისხმო სხვაობები გრძელდებოდა მიღებისას მიუხედავად სიმპტომის დონისა და არ აღინიშნებოდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა სათემო და ჰოსპიტალურ ინტერვენციულ ჯგუფებს შორის (დაკორექტირებული საშუალო მნიშვნელობის ქულები 3,05 და 2,78, შესაბამისად; 3,38 სტანდარტული მკურნალობის მიმღები პაციენტებისათვის), თუმცა, სიკვდილამდე სამი კვირით ადრე პირველ ჯგუფში გამოვლინდა უფრო მეტი სიმპტომი მეორე ჯგუფთან შედარებით (დაკორექტირებული საშუალო მნიშვნელობა 2,89 და 2,46, შესაბამისად; 2,97 სტანდარტული მკურნალობის მიმღები

პაციენტებისათვის). ამასთან, აღსანიშნავია, რომ მზრუნველობის ლიმიტირებული ვადა (3-6 თვე ან სხვა) ზემოაღნიშნული კვლევების დროს არ წარმოადგენდა ბარიერს.

Bakitas 2009-ში (მკურნალობის საშუალო ეფექტი 27,8, სტანდარტული ცდომილება (SE)=15; P მნიშვნელობა = 0,06; სიმპტომის შეფასების ედმონტონის შკალა; ცხრა სიმპტომი; 0-დან 900-მდე შკალა, 900=ყველაზე ცუდი) ინტერვენციის გასამართლებელი მინიმალურად მნიშვნელოვანი ეფექტი აღმოჩენილი იქნა კვლევაში ჩართვიდან 13 თვის შემდეგ განმეორებითი შეფასების ანალიზის საშუალებით.

Bakitas-დან შეტყობინებულია, რომ ამ სხვაობამ ვერ მიაღწია სტატისტიკურ მნიშვნელობას, როდესაც მოხდა მონაცემების გაანალიზება სიკვდილიდან უკუმიმარ-თულებით (ე.ი. შეფასების დროდ აღებული იქნა პაციენტის გარდაცვალების თარიღი; P=მნიშვნელობა=0,24).

სიმპტომის ინტენსივობა გაიზარდა ორივე ჯგუფში სიკვდილამდე ბოლო სამი შეფასებისას (სამ თვიანი ინტერვალით). აღსანიშნავია, რომ კვლევაში განმეორებითი შეფასება ტარდებოდა სწორედ მზრუნველობიდან სწორედ 13-ე თვის შემდეგ და კვლევაში მონაწილობას ღებულობდნენ პალიატიური მაციენტები ინკურაბელური სტატუსით.

ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევაში, სადაც სადავო იყო მტკიცებულება სტანდარტულ მკურნალობასთან შედარებით შინ პალიატიური მზრუნველობის ზეგავლენის შესახებ პაციენტებზე, რომლებიც განიცდიდნენ ტკივილს, სუნთქვის უკმარისობას და ძილის, აღნიშნული სამი სიმპტომის გარდა გამოვლინდა ზომიერი მტკიცებულება, რომელიც ადასტურებდა სტატისტიკურად არა-მნიშვნელოვან გავლენას გულისრევაზე/ღებინებაზე (სამი RCT), ყაბზობაზე (ორი RCT) და დიარეაზე (ორი RCT). ზომიერი მტკიცებულება იქნა მოწოდებული ასევე Jordhøy 2000 -დან, რომლის მიხედვით სტატისტიკურად არა-მნიშვნელოვანი ზეგავლენა დაფიქსირდა დაღლილობაზე და მადის დაქვეითებაზე.

არც ერთ კვლევაში არ დაფიქსირებულა სტატისტიკურად მნიშვნელოავნი ზეგავლენა ამ ხუთივე სიმპტომზე. ტკივილის რვა კვლევაში (ოთხი მაღალი ხარისხის) და ერთ CBA-ში (სულ 2735 პაციენტის გამაერთიანებელი შვიდი კვლევა) შესწავლილი

იქნა შინ პალიატიური მზრუნველობის ეფექტურობა სტანდარტულ მკურნალობასთან შედარებით ტკივილის შემსუბუქების თვალსაზრისით.

ორმა RCT (ორივე მათგანი ჩატარდა გაერთიანებულ სამეფოში, ერთი მათგანი იყო მაღალი ხარისხის) და Greer 1986-მა აღმოაჩინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა; გარდა ამისა, მინიმალურად მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქნა აღმოჩენილი 83 პაციენტში McKegney 1981 -ში სიკვდილამდე ბოლო თვის განმავლობაში (P მნიშვნელობა=0,06); ტკივილის შეფასების ქულები იგივე დარჩა ინტერვენციული პაციენტებისათვის, მაშინ როდესაც ტკივილი განაგრძობდა მატებას სიკვდილამდე საკონტროლო ჯგუფის პაციენტებში.

წყაროებზე დაყრდნობით, ექვს კვლევაში გამოსავლის შეფასებების (მხოლოდ McGill-Melzack ტკივილის კითხვარი გამოყენებული იყო ერთზე მეტად) და შედარებების დროის მაღალმა ცვალებადობამ (მერყეობდა კვლევაში ჩართვიდან ერთი კვირიდან სიკვდილამდე ერთ კვირამდე) განაპირობა მეტა ანალიზის ჩატარება.

Higginson 2009-ის მიერ მოწოდებულია ტკივილის შეფასების ქულების 0,46 პუნქტიანი საშუალო შემცირება (პალიატიური მზრუნველობის გამოსავლის შკალის ტკივილის პუნქტი; 0-დან 4-მდე შკალა, 4 =ყველაზე ცუდი) კვლევის დაწყებიდან მეთორმეტე კვირამდე 26 ინტერვენციული პაციენტისათვის, მაშინ როდესაც 24 საკონტროლო პაციენტისათვის ტკივილმა მოიმატა 0,30 პუნქტით.

სხვაობა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი იყო მეთორმეტე კვირაზე (P მნიშვნელობა = 0,03) და გამოვლინდა უკვე მეექვსე კვირაზე, თუმცა იმ დროისათვის ვერ მიაღწია სტატისტიკურად საგულისხმო მნიშვნელობას. Grande 1999-ში ასევე აღმოჩენილი იქნა, რომ ორი კვირის მანძილზე ტკივილის შეფასების საშუალო ქულები 107 ინტერვენციული პაციენტისათვის იყო 0,48 პუნქტით ნაკლები 21 საკონტროლო პაციენტთან შედარებით მათი მომვლელების მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით (საშუალო 2,52 და 3,00, შესაბამისად; P მნიშვნელობა <0,05, გაზომილი იქნა კარტრაიტისა და ედინგტონ-ჰოლის მიმოხილვების ოთხ-ქულიანი პუნქტით, უმაღლესი ქულები = ყველაზე ცუდი). თუმცა კვლევაში არ იყო გათვალისწინებული ტკივილის მართვაში არსებული ბარიერები, ხელმისაწვდომობის პრობლემები ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატების მიმართ და ცხადია, არ

ფიგურირებს კლინიკური ჯგუფის აუცილებლობა ქრონიკული, ძლიერი ტკივილის საჭიროების დადასტურების მიზნით.

Greer 1986-ში აღმოჩენილი იქნა, რომ მომვლელების ანგარიშების მიხედვით სიკვდილამდე სამი კვირით ადრე (P მნიშვნელობა <0,01) და სიკვდილამდე ერთი კვირის მანძილზე (P მნიშვნელობა <0,001) მნიშვნელოვნად დაბალი იყო მუდმივი ტკივილის მქონე პაციენტების პროპორცია პაციენტებში, რომლებიც იღებდნენ ჰოსპიტალურ ინტერვენციას ზოგადი პროფილის ინტერვენციის და სტანდარტული მკურნალობის მიმღებ პაციენტებთან შედარებით (3%, 7% და 14%, შესაბამისად სიკვდილამდე სამი კვირით ადრე და 4%, 13% და 22%, შესაბამისად სიკვდილამდე ერთი კვირით ადრე). ამ სხვაობამ ვერ მიაღწია სტატისტიკურ მნიშვნელობას კვლავში ჩართვის შემდეგ მონაცემთა გაანალიზების დროისათვის, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები არ აღინიშნებოდა ტკივილის ინდექსის ქულებში და პაციენტების პროპორციებში, რომელთაც არ აღენიშნებოდათ ტკივილი.

პაციენტების მიერ მოწოდებულმა ანგარიშებმა არ დაადასტურა მიგნებები, თუმცა, ავტორებმა აღნიშნეს, რომ სიკვდილამდე ერთი კვირის მანძილზე პაციენტების 80% არ შეეძლო შეტყობინების მოწოდება. როგორც Jordhøy 2000 (მაღალი ხარისხის კვლევა), ასევე Grande 1999-მ სუნთვის უკმარისობა მიიჩნია სტატისტიკურად არამნიშვნელოვან სხვაობად შინ პალიატიურ მზრუნველობასა და სტანდარტულ მკურნალობას შორის (კვლევაში ჩართვიდან ერთიდან ექვს თვემდე და ბოლო ორი კვირა, შესაბამისად).

ამის საპირისპიროდ, Rabow 2004-ში (მაღალი ხარისხის კვლევა) აღმოჩნდა, რომ კვლევის დაწყებისას სუნთვის უკმარისობის არსებობის კონტროლირების შემდეგ, სუნთქვის უკმარისობის შეტყობინების შანსი მეთორმეტე თვეზე უფრო მაღალი იყო 40 საკონტროლო პაციენტში 50 ინტერვენციულ პაციენტთან შედარებით „ყოვლისმომცველი სამკურნალო ბრიგადის“ მომსახურების პირობებში (OR 6.07, 95% CI 1,04-დან 35,56-მდე), თუმცა შეინიშნებოდა ძალიან ფართო CI-ები.

ინტერვენციული პაციენტების მიერ ასევე შეტყობინებული იყო სუნთქვის უკმარისობის ნაკლები შემთხვევები, რომელიც ხელს უშლიდა ყოველდღიურ აქტივობაში, რიგი კვლევების დიზაინში, სადაც საკონტროლო ჯგუფთან შედარებით

(დაკორექტირებული საშუალო მაჩვენებელი 32,6 და 40,3 შესაბამისად, ექვს თვეზე; დაკორექტირებული საშუალო მაჩვენებელი 25,4 და 40,6 შესაბამისად, 12 თვეზე; ჯგუფის მთავარი ეფექტი P მნიშვნელობა=0,01; გაზომილი იქნა კალიფორნიის, სან-დიეგოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული სუნთქვის უკმარისობის კითხვარის მიხედვით; 0-დან 105-მდე შკალა, 105=ყველაზე ცუდი) და ასევე იყო დროის ინტერაქციის ჯგუფი, სადაც შეინიშნებოდა სუნთქვის უკმარისობით გამოწვეული აქტივობის შემცირებული შეზღუდვა ინტერვენციული პაციენტებისათვის და მომატებული შეზღუდვა დროთა განმავლობაში საკონტროლო პაციენტებისათვის (P მნიშვნელობა =0,01).

სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ იქნა აღმოჩენილი Jordhøy 2000 -ში ძილის დარღვევის სხვადასხვა პერიოდებში ანალიზით ინტერვენციული და საკონტროლო პაციენტებისათვის კვლევაში ჩართვიდან ერთიდან ოთხი თვის შემდეგ. ამის საპირისპიროდ, ინტერვენციული პაციენტებს Rabow 2004 -ში აღენიშნებოდათ ძილის უკეთესი ხარისხი საკონტროლო პაციენტებთან შედარებით კვლევაში ჩართვიდან ექვსიდან 12 თვის შემდეგ (P მნიშვნელობა=0,05), კვლევის დაწყების დროს დაფიქსირებული სხვაობების კონტროლის შემდეგ. Rabow-დან შეტყობინებულია სხვაობა ექვს თვეზე 1,9 საშუალო ქულებსა და 12 თვეზე 1,5 საშუალო ქულებს შორის (ძილის ხარისხის ქულები სამედიცინო გამოსავლების კვლევიდან; 6-და 24-მდე შკალა, 6= ყველაზე ცუდი), სტატისტიკურად მნიშვნელოვანი ჯგუფის გარეშე დროის ინტერაქციით (ქულები ოდნავ გაუმჯობესდა ექვიდან 12 თვემდე ორივე ჯგუფში) ან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ძილის ხანგრძლივობაში.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ არც ზემოაღნიშნულ კვლევებში იქნა ლიმიტირებული მზრუნველობის საკითხი და პალიატიური მზრუნველობის საჭიროება არც აქ არის შემოფარგლული 3-6 თვის პირობით, არამედ, საწინააღმდეგოდ, მკურნალობის და სიმპტომების ეფექტური შეფასება მიმდინარეობდა მზრუნველობიდან 12 თვეზე და ა.შ.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, კვლევათა ნაწილის ზომიერად დამაჯერებელი მტკიცებულება აჩვენებდა, რომ არ არსებობს შინ პალიატიური მკურ-ნალობის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა სტანდარტულ მკურნალობასთან

შედარებით ავადმყოფის ინტერესების წარმოდგენაზე მინდობილობის გაფორმებისას (ორი RCT).

კვლევებმა გამოავლინა მკურნალობის წინასწარ დაგეგმვის სხვა ფორმებზე გავლენა. 42 პაციენტის ანალიზმა, რომელთაც არ ჰქონდათ დაგეგმილი დაკრძალვა Rabow 2004 კვლევის დაწყებისას (მაღალი ხარისხის კვლევა), აჩვენა, რომ ინტერვენციულ ჯგუფის 8/23-ს (35 %) და საკონტროლო ჯგუფის 1/19-ს (5%) უკვე დაგეგმილი ჰქონდა აღნიშნული პროცედურა12 თვის შემდეგ (P მნიშვნელობა = 0,03). გარდა ამისა, Aiken 2006-ში ინტერვენციულ პაციენტებს ოთხჯერ უფრო მეტ შემთხვევაში ჰქონდათ გაფორმებული სიცოცხლის ანდერძი ან მითითება სამედიცინო მომსახურებების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შესახებ საკონტროლო პაციენტებთან შედარებით კვლევაში ჩართვიდან სამი თვის შემდეგ (OR 4.47, 95% CI 1.10 -დან 18.18-მდე); სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის აღმოჩენილი სამი თვის შემდეგ.

საკუთრების განკარგვის გეგმების შესრულებისა (Rabow 2004) და სამართლებრივი დოკუმენტების ოჯახთან/მეგობრებთან და მკურნალობაზე პასუხისმგებელ ექიმთან განხილვის (Aiken 2006) სხვაობები არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

მკვლევართა აზრით, სადავო იყო მტკიცებულება სტანდარტულ მკურნალობასთან შედარებით შინ პალიატიური მკურნალობის გავლენის შესახებ პალიატიური მზრუნველობის საერთო გამოსავალზე პაციენტებისათვის და მათი ოჯახებისათვის.

Higginson 2009-ში არ გამოვლენილა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ინტერვენციულ და საკონტროლო პაციენტებს შორის კვლევის დაწყების შემდეგ საერთო ქულებში პალიატიური მზრუნველობის გამოსავლის შკალის მიხედვით (POS-8) კვლევაში ჩართვიდან ექვსი და თორმეტი კვირის შემდეგ. აღნიშნულის საპირისპიროდ, Greer 1986-ში 880 პაციენტის ქვე-ანალიზში, სიკვდილის ხარისხის შეფასების ქულები (სიკვდილის შემდეგ 90-120 დღის შემდეგ მომვლელების მიერ გაკეთებული 13 პუნქტის კვლევაზე დაფუძნებული შეფასება, რომელშიც მოცემულია სიკვდილამდე ბოლო სამი დღის მდგომარეობა).

უფრო მაღალი იყო ორ ინტერვენციულ ჯგუფში, ვიდრე საკონტროლო ჯგუფში (P მნიშვნელობა = 0,03), ამასთან სხვაობა აღწევდა დამატებით მნიშვნელობას სამი პრედიქტული ფაქტორის კორექტირებისას: ასაკი, ოჯახის შემოსავალი და დაავადების გავრცელების მასშტაბი დიაგნოზის დასმის დროისათვის (P მნიშვნელობა <0,001), Greer 1986-დან შეტყობინებულია, რომ სხვაობა ორ ინტერვენციულ ჯგუფს შორის (სათემო და ჰოსპიტალზე დაფუძნებული სახლში ჰოსპისური მზრუნველობა) არ არის მნიშვნელოვანი.

Gómez-Batiste 2010 შეაფასა 105 პალიატიური მზრუნველობის ბგუნდის კლინიკური ეფექტურობა (შინ პალიატიური მზრუნველობის 62 მოწოდებული შემთხვევა) ქვეყნის 19 ავტონომიურ ქვეყანაში. ავტორებმა შეისწავლეს 265 პაციენტის კლინიკური გამოსავალი და დაასკვნეს, რომ ყველა გაანალიზებული სიმპტომი (პერიოდული ფონური ტკივილი, ანორექსია, გულისრევა/ ღებინება, ყაბზობა, უძილობა, სუნთქვის უკმარისობა დასვენებულ მდგომარეობაში და მოძრაობის დროს, შფოთვა და დეპრესია, რომელიც შეფასდა ციფრული შეფასების შკალით) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა კვლევის დაწყების შემდეგ მეშვიდე დღისათვის და მეთოთხმეტე დღისათვის, პალიატიური მზრუნველობის გუნდების სხვადასხვა ტიპებს შორის სხვაობის გარეშე.

აღსანიშნავია, რომ McMillan 2007-ში მოწოდებულია ლიმიტირებული მტკიცებულება, რომელიც აჩვენებს, რომ შინ პალიატიური მზრუნველობის სპეციალისტისათვის მომვლელის დახმარების კომპონენტის დამატებას გააჩნია სასარგებლო ეფექტი პაციენტების სიმპტომების სიმწვავეზე ჩართვიდან თვის შემდეგ; მიუხედავად ამისა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა არ არის გამოვლენილი ტკივილის, სუნთქვის უკმარისობის, ყაბზობის და სიცოცხლის ხარისხის თვალსაზრისით. ასევე არსებობდა მწირი მტკიცებულება, რომელმაც აჩვენა, რომ არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა ფიზიკურ ფუნქციაზე ჩართვიდან რვა კვირის და ხუთი თვის შემდეგ (Harding 2004) და არადამაჯერებელი მიგნებები გადარჩენის შესახებ.

ზემოთ განხილული კვლევები ჩატარდა მაღალი შემოსავლის მქონე ქვეყნებში. თერთმეტი მათგანი იყო აშშ-დან და ხუთი გაერთიანებული სამეფოდან.

ინტერვენციების უმეტესობა ემსახურებოდა ქალაქის და გარეუბნის მოსახლეობას. ადამიანთა უმეტესობას ჰქონდა კიბო, საშუალოდ ასაკი მერყეობდა 53-დან 77 წლამდე.

მიუხედავად იმისა, რომ უფრო მძიმე მდგომარეობაში მყოფი პაციენტები სავარაუდოდ იქნებოდნენ გარიცხულნი ან დისკვალიფიცირებული (მხოლოდ ორ კვლევაში იყო შესაძლებელი ყველა გაანალიზებული გამოსავალის ≥ 80% მეთვალ-ყურეობა) და მოქმედი პრაქტიკა განსხვავდება ქვეყნების მიხედვით (მაგ. თუ როდის ხდება პაციენტის წარდგენა პალიატიურ მზრუნველობაზე და მომსახურებების ფორმატი), ეს მახასიათებლები უხეშად ესადაგება პაციენტების პროფილს, რომლებიც იღებენ შინ პალიატიურ მზრუნველობას / ჰოსპისის მომსახურებებს გაერთიანებულ სამეფოში და აშშ-ში (NHPCO 2012; NCPC 2012).

პაციენტები, რომლებიც იღებენ ჰოსპისის მზურველობას აშშ-ში შედარებით მოხუცები არიან და ხშირ შემთხვევაში არ აღენიშნებათ ავთვისებიანი დაავადებები. ამიტომ, არსებობს მაღალი სარწმუნოობის მაჩვენებელი, რომ გარე ვალიდობა მისაღებია ამ რეგიონებისათვის.

მიუხედავად ამისა, მტკიცებულებამ ვერ მოიცვა საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნები, სადაც მეტია გვიანი სტადიის დაავადების მქონე ადამიანების შინ მოვლის დაუკმაყოფილებელი საჭიროებები. თუმცა, კონტექსტუალური და კულტურული ფაქტორები, ასევე ჯანდაცვის სისტემის მახასიათებლები სავარაუდოდ ცვალებადია.

პალიატიური მზრუნველობის მიწოდება უნდა იყოს უნივერსალური: ყველა ადამიანს, რომელსაც ესაჭიროება პალიატიური მზრუნველობა, მიუხედავად ასაკისა, სქესისა, მრსწამსისა, სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა (შემოსავლებისა), უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ეროვნული პოლიტიკით განსაზღვულ საბაზისო ჯანდაცვის პაკეტზე, რომელიც აუცილებლად მოიცავს პალიატიურ მზრუნველობასაც.

ქვეყნის ფინანსური და სოციალური დაცვის სისტემები უნდა ითვალისწინებდეს პალიატიურ მზრუნველობას, როგორც ადამიანის ბაზისურ უფლებას და უზრუნველყოფდეს მის ხელმისაწვდომობას მოსახლეობის ღარიბი და მარგინალური ჯგუფებისთვის (Rhymes JA., 1996; World Health Organization., 2007).

მაგალითად, ლიტერატურული წყარეობის მიხედვით, ცენტრალურ აფრიკაში, ხარისხიანი მკურნალობის შენარჩუნებისათვის საჭირო რესურსები და კლინიკური ზედამხედველობა მოიკოჭლებს და მომართვიანობა და მისი მართვა წარმოადგენს სერიოზულ პრობლემას, თუმცა მომსახურებები და კვლევები ვითარდება და პალია-ტიური მზრუნველობის ინტეგრირება შინ მოვლის კარგად დაფუძნებულ მოდელში HIV/AIDS-ის შემთხვევაში იმედისმომცემია (Harding 2005; Downing 2010).

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კვლევების უმეტესობა ჩატარებულია 10 წელზე მეტი ხნის წინ, 1970-იან და 1980-იან წლებში. მიუხედავად ამისა, პალიატიური მზრუნველობის და შინ პალიატიური მზრუნველობის მომსახურების მიზნები ვირტუალურად რჩება უცვლელი (Saunders 2000), მომსახურების მიწოდების ასპექტები შეიცვალა წლების მანძილზე, მოერგო ჯანდაცვის სისტემების რეორგანიზაციებს, გავრცელდა დაავადების უფრო ადრეულ სტადიებზე და გაუმჯობესდა სიმპტომის მართვის პრაქტიკა მკურნალობის უკეთესი საშუალებების აღმოჩენასთან ერთად. ამით შეიძლება აიხსნას უახლესი კვლევების შედარებით დადებითი მიგნებები (Brumley 2007; Bakitas 2009; Higginson 2009).

გარდა ამისა, პაციენტებისა და მომვლელების პროფილები შეიცვალა და მომავალში მოსალოდნელია მათი დამატებითი ცვლილება.

ზემოხსენებული კვლევები და ლიტერატურული მონაცემები წარდგენილია საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც სავარაუდოდ უფრო რელევანტური გახდება პალიატიური მკურნალობისადმი ასაკოვანი პოპულაციების კონტექსტში. კერძოდ, 10 კვლევაში გამორიცხული იქნა ადამიანები, რომელთაც არ ჰყავთ მომვლელი და პაციენტების მცირე ნაწილი (12%-დან 43%-მდე) ცხოვრობდა მარტო.

შინ სიკვდილის დაბალი, საშუალო და მაღალი კოეფიციენტის მქონე პოპულაციებზე მიღებული შედეგების NNTB-ში გამოსახვა მიზნად ისახავს უფრო მარტივად ინტერპრეტირებადი სტატისტიკური მონაცემების შექმნას და მტკიცებულების პრაქტიკაში და მომსახურების დაგეგმვაში გამოყენების ხელშეწყობას. ამასთან აღსანიშნავია, რომ შედეგები მიღებულია საკვლევ პოპულაციაში შინ გარდაცვალების საშუალო კოეფიციენტით (307 შინ სიკვდილი/1000 სიკვდილზე) საკონტროლო ჯგუფებში, რომლებიც იღებდნენ სტანდარტულ

მკურნალობას. შინ პალიატიური მზრუნველობის შემაფასებელ კვლევაში მონაწილეობაზე დათანხმებისას მნიშვნელოვანია პრეფერენციების ხარისხი და შინ მოვლის შეთავაზების მიღება და ამან შესაძლოა გავლენა იქონიოს კოეფიციენტის დადგენაზე (*Gomes B., 2013; Michael I Bennett.,2010).*

გაერთიანებულ სამეფოსა და სხვა ქვეყნებში სიკვდილამდე მიღებული მზრუნ-ველობის კვლევის სფეროში არსებული გამოწვევებს, არსებული კვლევების შედეგების გაანალიზების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ ჯანდაცვის პოლიტიკამ დაიწყო მზრუნველობის გაუმჯობესებაზე ფოკუსირება. კვლევები მოიცავს ტერმინოლოგიის პრობლემებს გამოკითხვის სფეროში და პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო ასპექტებთან დაკავშირებულ კლინიკურ კვლევებზე ყურადღების ნაკლებობას, მათ შორის ტკივილისა და სხვა სიმპტომების კვლევას.

პალიატიური და სიკვდილამდე მზრუნველობის მომსახურების შემუშავებისა და შეფასების „საუკეთესო პრაქტიკა“: MORE Care პროექტის კვლევის მეთოდების მეტა სინთეზში წარმოდგენილია სხვა პრიორიტეტებიც, მათ შორის კვლევის უნარიანობა, არსებული ინფორმაციის უკეთესად გამოყენება და შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა კვლევის სტაბილური პროგრამების ნაწილის სახით. *(Catherine J Evans., 2013).*

ლიტერატურულ წყაროებზე დაყრდნობით, გაუმჯობესებული და რენტაბე-ლური პალიატიური და სიკვდილამდე მზრუნველობა წარმოადგენს საერთაშორისო პოლიტიკის მოთხოვნას. განვითარების შეფერხებას იწვევს სუსტი და ხშირ შემთხვევაში არა-თანამიმდევრული მტკიცებულებათა ბაზა.

აღნიშნული კვლევის მიზანი შესაძლებელია იყოს: ძირითადი მეთოდოლოგიური გამოწვევების და შეზღუდვების შესწავლა პალიატიური და სიკვდილამდე მზრუნველობის მომსახურების განვითარებისა და შეფასებისათვის და კვლევის ამ სფეროს გაფართოების მოთხოვნები.

პალიატიური მზრუნველობა (მის საწყის ეტაპზე) შეიძლება ხორციელდებოდეს ოჯახის (ზოგადი პრაქტიკის) ექიმის ან სხვა სპეციალობის ექიმების მიერ, რომელთაც ათვისებული აქვთ პალიატიური მზრუნველობის საბაზისო კურსი.

გაღრმავებულ პალიატიურ მზრუნველობას კი ახორციელებს მულტიდისციპლინური გუნდი (მედიკოსები, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი,

სულიერი მრჩეველი - პალიატიური მზრუნველობის ექიმ-სპეციალისტის ხელმძღვანელობით. გუნდის წევრებად ითვლებიან ის ოჯახის წევრებიცა და მოხალისეებიც, რომლებიც მონაწილეობენ პაციენტის მოვლაში.

იმის გამო, რომ პალიატიური მზრუნველობა აუმჯობესებს სიცოცხლის ხარისხს და უზრუნველყოფს ბოლომდე ღირსეულ ცხოვრებას, მისი მიწოდება არა-მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ვალდებულებაა, არამედ, უნდა ეთიკურ მოვალეობაც (World Health Organization., 2011).

მეტად საყურადღებოა პალიატიურ მზრუნველობაში ჩართვისა და მომსახუ-რეობის ხარისხის კრიტერიუმების შესაბამისი გვიანი სტადიის დაავადების მქონე პაციენტების და/ან მომვლელებისათვის პალიატიური მზრუნველობის მომსახურებების ეფექტურობის შემფასებელ კვლევებში გამოყენებული კვლევის მეთოდების სისტემატური მიმოხილვიდან მიღებული მტკიცებულების სისტემატური შეფასების მეტა ანალიზი.

კვლევებიდან შეტყობინებული მეთოდოლოგიური საკითების მიმოხილვების შესახებ წარმოდგენილი მონაცემების აღწერა გაანალიზებულია NVivo-ში. აღნიშნულ კვლევაში მთლიანობაში განხილული იქნა 27 სისტემატური მიმოხილვა პალიატიური მზრუნველობის მომსახურების ეფექტურობის შესახებ, რაც მოიცავდა კიბოს მქონე პაციენტებს, გვიანი სტადიის დაავადებას და შერეულ პოპულაციებს მზრუნველობის სქემების მიხედვით. ძირითად მეთოდოლოგიურ გამოწვევას წარმოადგენდა განხორციელება, როგორც ერთი მთლიანობა, კადრების აქტიური ზუსტი შერჩევა, რანდომიზაციის მოგვარება და ეკონომიკური შეფასება ხარჯების დაზოგვის გარდა.

კვლევის საფუძველზე აღმოჩნდა, რომ პალიატიური და სიკვდილამდე მზრუნველობის მომსახურების მიწოდების და შეფასების კომპლექსურობა მოითხოვს სხვადასხვა წყაროებიდან ცოდნის დაგროვებას ინტერვენციის აქტიური კომპონენტების შესასწავლად იმისათვის, რომ პაციენტმა მიიღოს სარგებელი და შემოწმებული იქნას შეფასების მეთოდები ცვლილების აღმოჩენის და პროცესების გამოსავლენად კონკრეტული კვლევის დაწყებამდე.

მტკიცებულების პრაქტიკაში დანერგვა უნდა წარმოადგენდეს ერთ მთლიანობას, რაც მოიცავს შეფასების ეტაპებს და ემსახურება ინტერვენციის მიწოდების პროცესის, კონტექსტის და მოსალოდნელი გამოსავლის გაგების გამოვლინებას.

ონკოლოგიურ პაციენტთა პალიატიური მკურნალობის რანდომიზებულ კონტ-როლირებულ კვლევებში (RCT) ხშირად თავს იჩენს მეთოდოლოგიური პრობლემები. ხშირად ავტორთა ყურადღებას იპყრობს ის ძირითადი პრობლემები, მათ შორის შერჩევა, პაციენტების გაცხრილვა, და შესაბამისობა, რომელიც წამოჭრილია RCT-დან, რომელშიც შედარებულია ყოვლისმომცველი პალიატიური მზრუნველობა და სტანდარტული მკურნალობა.

ხშირად, აღნიშნული რანდომული კვლევების ჩართვის მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენს უკურნებელი ავთვისებიანი დაავადება და მოსალოდნელი 2-დან 9 თვემდე სიცოცხლის გადარჩენა. პაციენტის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სიცოცხლის ხარისხი (HRQL), რომელიც ფასდება თავად პაციენტის მიერ მრავალპუნქტიანი კითხვარით, ხშირად წარმოადგენს საბოლოო მიზანს.

მსგავს კვლევებში, მიუხედავა პაციენტების რაოდენობის წარმატებით შერჩევისა და ჩართვისა, მოგვიანებით, დაავადების მიმდინარეობისას პრობლემას წარმოადგენს მათი მოკლევადიანი მეთვალყურეობა.

საერთაშორისო გამოცდილების მიხედვით, ანალოგიური კვლევის დაგეგმვის რეკომენდაციების განხილვისას, მკვლევართ მიერ შემოთავაზებულია პროცედურები პაციენტების შერჩევის გაუმჯობესებისათვის, ამასთან აქცენტი ხშირად კეთდება ლო-კალური მონაცემების მართვის საჭიროებაზე, ინფორმაციის წყაროებში განმეორებით ინფორმაციაზე, ინტენსიურ სკრინინგზე პოტენციურად შესაბამისი პაციენტების გამოსავლენად და მარტივ რეფერარულ პროცედურებზე. სათანადო სამეთვალყურეო პერიოდის უზრუნველყოფის მიზნით, მკვლევარების რეკომენდაციებით გამო-ყენებული უნდა იყოს კვლევაში ჩართვის ზუსტი კრიტერიუმები რაც მოიცავს ექიმის მიერ სიცოცხლის ხანგრძლივობის შეფასების გარდა პროგნოზირების სხვა ფაქ-ტორებს.

HRQL-ის შეფასებისათვის მრავალ-პუნქტიანი კითხვარების წარმოსადგენად შესაძლებელია საუკეთესო შესაბამისობის მიღწევა პაციენტის გარდაცვალებამდე

ერთი თვის განმავლობაში, თუმცა სიცოცხლის უკანასკნელი კვირის შეფასებისათვის რეკომენდირებულია უფრო მარტივი მეთოდების გამოყენება. *(M S Jordhøy., 1999)*.

2007 წელს ავტორთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილმა სისტემატიურმა მიმოხილვამ გამოავლინა პალიატიური მზრუნველობის გამოსავალთან და პროცესებთან დაკავშირებული მთელი რიგი ხარისხის მაჩვენებლები. ძალიან მწირად იყო წარმოდგენილი ფსიქოსოციალური და სულიერი ასპექტები.

მრავალი ინიციატივისა და შემდგომი განვითარების მოლოდინის იმედით, ამდაგვარი განახლების ფარგლებში განიხილებოდა პალიატიური მზრუნველობის გამოქვეყნებული ხარისხის მაჩვენებლების მიმოხილვა და განისაზღვრებოდა ახალი მიმართულებებით 2007 წლის შემდეგ, რაც შეეხებოდა მაჩვენებლის რაოდენობასა და ტიპს, ასევე გამოყენებულ მეთოდოლოგიას.

მეცნიერთა ნაწილის მიერ 2011 წლის ოქტომბრამდე სათანადო პუბლიკაციების გამოსავლენად გამოყენებულ იქნა 2007 წლის მიმოხილვისას მოძიებული ლიტერატურა. მიმომხილველებმა დამოუკიდებლად შეარჩიეს პალიატიური მზრუნველობის განვითარების პროცესების ან ხარისხის მაჩვენებლების მახასიათებლების აღმწერი პუბლიკაციები. ლიტერატურის ძიებისას მოძიებულ იქნა 435 სტატია. შერჩეულ 16 პუბლიკაციასთან ერთად ცამეტი ახალი პუბლიკაცია იქნა შერჩეული, რომელშიც აღწერილი იყო 326 მაჩვენებლის შემცველი ხარისხის მაჩვენებლების 17 ვარიანტი.

ეს მოიცავდა აშშ-ს ეროვნული კონსენსუსის პროექტის მიერ დადგენილ პალიატიური მზრუნველობის ყველა ძირიტად ასპექტს. მაჩვენებლების ძირითადი ნაწილი შეეხებოდა მზრუნველობის პროცესს ან გამოსავალს.

მეთოდოლოგიური მახასიათებლების აღწერის მასშტაბი ფართო იყო. ხარისხის მაჩვენებლის გამოყენებით პალიატიური მზრუნველობის ხარისხის შეფასებაში უახლესი შემუშავებული მეთოდები ძირითადად რაოდენობრივი ხასიათის იყო და მოიცავდა ახალი მაჩვენებლების არსებით ოდენობას. მიუხედავად ამისა, შემუშავების პროცესის ხარისხი მნიშვნელოვანად იცვლებოდა სქემების მიხედვით.

ამ მაჩვენებლების შემდგომი განვითარება და პალიატიური მზრუნველობის ხარისხის გაუმჯობესებული შეფასება მოითხოვდა უფრო თანამიმდევრობის

იდენტიფიკატორებით მიმდევრულ და დეტალურ მეთოდოლოგიურ აღწერას. (***Maaike L., 2013,).***

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ასევე მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია მრავალი ორგანიზაციის მიერ წამოჭრილი პრობლემა სიმპტომური და პალიატიური ონკოლოგიის ლიტერატურაში ტერმინოლოგიის სტანდარტული განსაზღვრებების ნაკლებობის შესახებ, რაც ეხება: 1) სიმპტომური და პალიატიური ონკოლოგიის ლიტერატურაში ხშირად გამოყენებული 10 ტერმინის სიხშირეს, 2) კვლევების შეფასდებაა, რომელშიც მოცემულია თითოეული ტერმინის განსაზღვრება და 3) თითოეული ტერმინის განმარტება.

MEDLINE, PubMed, PsycINFO, the Cochrane Library, Embase, ISI Web of Science, და Cumulative Index to Nursing and Allied Health Literature გამოცემებში, სადაც მკვლევარებო სისტემატიურად ეძიებდნენ პალიატიურ მზრუნველობასთან და კიბოსთან დაკავშირებულ პირველად კვლევებს, მიმოხილვებს და სისტემატიურ განხილვებს 2004 წლის და 2009 წლის პირველი ექვსი თვის მანძილზე.

ავტორთა ჯგუფმა შეაფასა „პალიატიური მზრუნველობის“, „სიმპტომური მკურნალობის“, „ოპტიმალური სიმპტომური მკურნალობის“, „ჰოსპისის მზრუნვე-ლობის“, „ტერმინალური მოვლის“, „სიკვდილამდე“, „ტერმინალური ავადმყოფის“, „მზრუნველობის მიზნების“, „აქტიურად მომაკვდავის“ და „მზრუნველობის ადაპტა-ციის“ შემთხვევების რაოდენობა თითოეულ სტატიაში, განხილულ იქნენ ისინი განსაზღვრებების შემცველობის კუთხით და აღრიცხულ იქნა რიგი მახასიათებლები. მოძიებული 1213 სტატიიდან, მკვლევართა მიერ შეჯამებულ იქნა, რომ 678 (56%) გამოქვეყნებული იყო 2009 წელს. აღმოჩნდა, რომ ყველაზე ხშირად გამოყენებული იყო ტერმინები „პალიატიური მზრუნველობა“ და „სიკვდილამდე“.

„პალიატიური მზრუნველობა“, „სიკვდილამდე“ და „სტერმინალური ავადმყოფი“ აღმოჩნდა ყველაზე ხშირად გამოყენებული პალიატიური მზრუნველობის გამოცემებში, მაშინ როდესაც ონკოლოგიური ჟურნალებში გამოყენებული იყო „სიმპტომური მკურნალობა“ და „ოპტიმალური სიმპტომური მკურნალობა“ ($P<0.001$). პალიატიური მზრუნველობის შესახებ 601 სტატიიდან 35 სტატიაში მოცემული იყო 16 სხვადასხვა ვარიაცია (35- სტადიიდან 21 სტატიაში

გამოყენებული იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განსაზღვრებები). „ჰოსპისის მზრუნველობას“ ჰქონდა 13 განსაზღვრება 151 სტატიიდან 13 სტატიაში (9%). „სიმპტომურ მზრუნველობას“ და სხვა ტერმინები იშვიათად იყო განმარტებული (განმარტება მოცემული იყო იმ სტატიების 5%-ზე ნაკლებში, სადაც გამოყენებული იყო ეს ტერმინი).

აღნიშნული მიგნენები ხაზს უსვამს სიმპტომური და პალიატიური ონკოლოგიის ლიტერატურაში მრავალი მნიშვნელოვანი ტერმინის განმარტების ნაკლებობას. ადმინისტრაციული, კლინიკური და კვლევითი ოპერაციებისათვის აუცილებელი სტანდარტული განსაზღვრებების აუცილებლობას *(David Hui., 2012).*

როგორც ლიტერატურულ წყაროებში, ასევე კლინიკურ პრაქტიკაში, პალიატიური მზრუნველობის პაციენტების ზუსტი განსაზღვრებების ნაკლებობა აფერხებს სხვადასხვა კვლევების შედეგების შედარებას და ხელს უშლის ყოველდღიურ პრაქტიკაში კველევის შედეგების დანერგვას.

მეჩლენის კვლევის მიზანს კის წორედ პალიატიური მზრუნველობის პაციენტების განმსაზღვრელი მინიმალური მახასიათებლების შემოთავაზება აღმჩნდა.

კვლევის გეგმა მოიცავდა სამედიცინო ლიტერატურაში მოძიებული მასალების, პალიატიური მზრუნველობის სფეროში რანდომიზებული კონტროლირებული კვლევების (RCT) სისტემატიურ განხილვას მათში ჩართული პალიატიური მზრუნველობის პაციენტების ზუსტად აღწერის მიზნით.

მის მისერ ინიცირებულ კვლევაში კი სისტემატიურად აღწერილ იქნა 60 სათანადო RCT-ის საკვლევი პოპულაციების რელევანტური მახასიათებლები. გამოყენებული პირველწყაროები იყო MEDLINE, EMBASE, CINAHL, და PSYCHINFO, რაც მოიცავდა არა-კიბოს RCT-ს (1 იანვარი 1995–4 მარტი 2010) და კიბოს უახლესი RCT-ების შესაბამის რაოდენობას (1 იანვარი 2003–4 მარტი 2010).

არა-კიბოს კვლევების ნახევარი გამოირიცხა, რადგან არ იყო დაკავშირებული პალიატიურ მზრუნველობასთან. მისი ჯგუფის მიერ დადასტურებულ იქნა, რომ გამოქვეყნებულ RCT-ში არ არის მოცემული პალიატიური მზრუნველობის პაციენტების ზუსტი განსაზღვრებები და მოიცავს ამ პაციენტის რამდენიმე განსაზღვრებას, კარგად ჩანს კონსენსუსის ნაკლებობა იმ დაავადებების

განსაზღვრისას, რომელიც საჭიროებს პალიატიურ მზრუნველობას და არის ზედსართავის „პალიატიური“ გაზვიადებული გამოყენება.

კვლევის ჯგუფის მიერ შეთავაზებული მოდელი გულისხმობს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ელემენტების (მაგ. პროგრესული, სიცოცხლისათვის საშიში დაავადება რემისიის ან სტაბილიზაციის ალბათობის გარეშე, ან დაავადების მიმდინარეობის ცვლილება) და პაციენტებისათვის შეთავაზებული მზრუნველობის (მაგ, გლობალური ინტერდისციპლინური მიდგომას, რომელიც ფოკუსირებულია სიკვდილამდე სიცოცხლის ხარისხის შენარჩუნებაზე) შეტანას პალიატიური მზრუნველობის პაციენტის განსაზღვრებაში.

ავტორთა აზრით, ასევე გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტის მზაობა მიიღოს პალიატიური მზრუნველობა და პალიატიურ მზრუნველობაზე პაციენტის და ყველა მომვლელის შეხედულება უნდა წარმოადგენდეს ამ განსაზღვრების მნიშვნელოვან ელემენტს (*Wouter Van Mechelen., 2013).*

მრავალი ქვეყანა და ჯანდაცის სისტემა აწყდებიან უამრავ პრობლემას მოქალაქეებისათვის მაღალი ხარისხის სიკვდილამდე მზრუნველობის მიწოდებაში და ამ გამოწვევებს აძლიერებს ხანში შესული პოპულაციები, რომელთაც აღენიშნებათ პროგრესული დაავადებების გახანგრძლივებული ტრაექტორია და აქვთ მზრუნ-ველობის მნიშვნელოვანი საჭიროებები.

ვინაიდან, მეცნიერები იწყებენ ამ გამოწვევებთან გამკლავებას, მნიშვნელოვანი იქნება მათი რეაქციების ეფექტურობის დადგენა, თუმცა ეროვნული მონაცემების შეგროვების არსებული პრინციპი არის შემთხვევითი და ხშირ შემთხვევაში მონაცემების შეგროვება ხდება მხოლოდ იმ პაციენტებისათვის, რომელთაც მიიღეს მზრუნველობა გარკვეული დაფინანსების პროგრამით ან პროვაიდერი ორგანიზაციების ან მზრუნველობის შერჩეული ცენტრების დახმარებით.

შესაბამისად, მთავრობებისათვის უცნობია, იღებენ თუ არა მათი მოქალაქეები ადექვატურ მზრუნველობას, უმჯობესდება თუ არა მზრუნველობა მიმდინარე პროგრამების ფარგლებში ან როგორია მათი გამოსავალი სხვა ქვეყნებთან შედარებით.

დავიდ კასარეტის და მისი კვლევის ჯგუფის კვლევაში აღწერილია მინიმალური ეროვნული მონაცემთა ბაზების განვითარების მნიშვნელობა, რაც შესაძლოა

გამოყენებული იქნას სიკვდილამდე მზრუნველობის ხარისხის შეფასებისათვის, რომელსაც იღებენ მოხუცები და რეკომენდირებულია ძირითადი ცვლადი სიდიდეები, რომელსაც ეს მონაცემები შესაძლოა მოიცავდეს (*David J. Casarett., 2006),* თუმცა აქცენტი არ არის გაკეთებული ონკოლოგიურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის შესახებ და მათი საჭიროებების შესახებ.

მიუხედავად ამისა, კვლევაში განხილული და შეფასებულია ტერმინალური პაციენტის სიცოცხლის ბოლო კვირის მდგომარეობა, სადაც სტრესს იწვევს რამდენიმე სიმპტომი (მაგ. ტკივილი, დაღლილობა, დისპნოე, გაღიზიანება, შფოთვა, გულისრევა, გონების არევა). პალიატიური მზრუნველობის ძირითად მიზანს წარმოადგენს ამ სიმპტომების შემსუბუქება.

თუმცა, სიმპტომების შემსუბუქება დაკავშირებულია მთელ რიგ გამოწვევებთან: ბევრ პაციენტს არენიშნება რამდენიმე სიმპტომი, რომლებიც ურთიერთქმედებენ და ვლინდება კლასტერებად, ვითარდება ახალი სიმპტომები და წარსულში შემსუბუქებული სიმპტომები იცვლის ხასიათს. მაგალითად, ტკივილმა შესაძლოა გამოიწვიოს შფოთვა ან პირიქით. თითოეული სიმპტომით გამოწვეულმა სტრესი შესაძლოა გრძელდებოდეს დღეები ან საათებიც კი.

გარდა ამისა, სიმპტომების გამოვლინება შესაძლოა სხვადასხვა სახით სხვადასხვა ადამიანში. მაგალითად, ერთი ადამიანისათვის შფოთვა შესაძლოა ასოცირდებოდეს ტკივილთან, მეორესთვის კი სუნთვის უკმარისობასთან. სიმპტომების ნიმუშებს შორის სხვაობის და მათი შემსუბუქების გზების შესწავლის ნაცვლად, 8 უახლესმა კვლევამ ფოკუსირება გააკეთა სიმპტომის უპირატესობის, ამტანობის და სიმწვავის შეფასების საშუალო მაჩვენებელზე.

თუმცა, ამ მიდგომით შეუძლებელია სიმპტომის შემსუბუქების განსხვავება სიმპტომის არარსებობისგან ან სიკვდილამდე ადამიანის მიერ განცდილი სიმპტომის შემსუბუქების მოდელებს შორის სხვაობის გამოვლინება. ამასთან, პალიატიური მზრუნველობის მიწოდების ხარისხს მნიშვნელოვნად განაპირობებს ქვეყანაში არსებული მისი მოდელები და სტანდარტები.

რაც უფრო მოქნილია ისინი და რაც მეტად შეესაბამება ქვეყნის საჭიროებებს, მით უფრო მაღალია მისი ეფექტურობა და მით უფრო უზრუნველყოფილია

„ბოლომდე ღირსეული ცხოვრება“ (National Consensus Project for Quality Palliative Care., 2004).

2. პალიატიური მზრუნველობა საქართველოში, სერვისები და მათი ხელმისაწვდომობა

საქართველოში პალიატიური მზრუნველობის პირველადი სისტემის განვითარება დაიწყო 2000 წლიდან, როდესაც საქართველოში დაიწყო საგანმანათლებლო პროცესი და მოიცავდა 2000-2004 წწ პერიოდს.

2004 წლიდან ამოქმედდა პირველი ამბულატორიული პროგრამა რომელიც მოიცავდა მხოლოდ ქ. თბილისში მცხოვრებ 150-მდე ონკოინკურაბელურ პაციენტს და 2005 წლიდან კი ფუნქციონირება დაიწყო პირვემა ჰოსპისმა, რომელიც თავდაპირველად ემსახურეობდა 6 პალიატიურ პციენტს.

2004 წლიდან დღემდე, პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული ასოციაციის აქტიური თანამშრომლობით, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო კონსლუტანთებან თუ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად:

- შეიქმნა პალიატიური მზრუნველობის, როგორც ჯანდაცვის სისტემის განუყოფელი ნაწილის, განვითარების საფუძვლები;
- გამოიცა სახელმძღვანელოები ექიმებისა და სამედიცინო სპეციალობის სტუდენტებისათვის, პირველადი ჯანდაცვის ქსელის ექიმებისა თუ ექთნებისათვის (Kordzaia D., et al 2015);
- თსუ სახელმწიფო უნივერსიტეტში ამოქმედდა პალიატიური მზრუნველობის საგანმანათლებლო კურსები სამედიცინო განათლების სხვადასხვა საფეხურის პროგრამების როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით ნაწილებში (www. http://www.palliativecare.org.ge),
- შეტანილი იქნა ცვლილებები პალიატიური მზრუნველობისა და წამლის ხელმისაწვდომობის მარეგულირებელ საკანონმდებლო-ნორმატიულ ბაზაში;
- 2007 წლის 8 აპრილს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები საქართველოს 4 კანონში, რომლის თანახმადაც პალიატიური მზრუნველობა აღიარებულ იქნა როგორც უწყვეტი სამედიცინო დახმარების განუყოფელი

ნაწილი, ხოლო მის განვითარების ხელშეწყობა აღიარებულ იქნა სახელმწიფოს მოვალეობად (https://matsne.gov.ge/ka/document/view/21154);

- 2008 წლის 10 ივლისს, საქართველოს შრომის, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდა „პალიატიური მზრუნველობის ინსტრუქცია ქრონიკული ინკურაბელური პაციენტებისათვის“, რომელიც მომზადდა განახლებული კანონმდებლობის შესაბამისად და შექმნა სტანდარტი სიმპტომთა კონტროლისა და ტკივილის დაყუჩებისათვის (wwwhttps://matsne.gov.ge/ka/document/view/78646);
- ამოქმედდა პალიატიური მზრუნველობის სერვისები, როგორც სტაციონარში, ისე ბინაზე;
- სან დიგოს პალიატიური მედიცინის ინსტიტუტში მომზადდა 2 საერთაშორისო ექსპერტი პალიატიურ მზრუნველობაში;
- პალიატიური მზრუნველობის ეროვნული ასოციაციის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისა და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით შეიქმნა სტრატეგიული დოკუმენტი „პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული პროგრამა (სამოქმედო გეგმა 2011- 2015 წწ.)“ (Kordzaia D, Dalakishvili S., et al., 2010);
- 2008-2010 წლიდან მოხდა პროგრამებისა და სერვისების გაფართოება რეგიონული მასშტაბით (მოცვა თელავის, ქუთაისის, ზუგდიდის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტებში),
- შემუშავდა და დამტკიცდა ტკივილის მართვის ეროვნული გაიდლაინი (ძოწენიძე ფ; 2012);
- მომზადდა, დამტკიცდა და ამოქმედდა პალიატიური მზრუნველობის სუბსპეციალობის პროგრამა თსუ უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე.
- ყოველივე აღნიშნულის შედეგად, საექსპერტო შეფასებით, ჰოსპისისა და პალიატიური მზრუნველობის მომსახურების განვითარების ხარისხის მსოფლიო კლასიფიკატორის ოთხსაფეხურიან იერარქიაში საქართველო მესამე საფეხურზე განთავსდა (Alliance, Worldwide Palliative., 2011; Lynch T., et al., 2013).

მიუხედავად ზემოხსენებული მიღწევებისა, საქართველოში პალიატიური მზრუნველობა ჯერ-ჯერობით ვერ იქცა ქვეყნის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სისტემის განუყოფელ ნაწილად.

დღემდე ვერ მოხერხდა პროგრამული უზრუნველყოფის საქართველოს მასშტბით დაფარვა, ასევე ვერ ხერხდება პალიატიური მზრუნველობის სრულყოფილი სერვისის განხორციელება, დღემდე არ ხდება ჯანდაცვის ორგანიზატორთა მხრიდან პალიატიური მზრუნველობის, როგორც მულტიდისცილინური სერვისის აღქმა და ფინანსური უზრუნველყოფა.

პროგრამათა მოცვა ემყარება ემპირიულ, არასრულფასოვან, მხოლოდ სამედიცინო მომსაზურეობას, არ არის უზრუნველყოფილი ჯანმოს ესენციური მედიკამენტებით უზრუნველყოფის უწყვეტობა შენარჩუნებული (კორძაია დ. 2010) დასახვეწია და გასაფართოებელია პალიატიური მზრუნველობის საბაზისო სტანდარტი (ღვამიჩავა რ. 2013);

2012-2013 წლებში ჯანდაცვის სისტემაში განხორციელებული რესტრუქტური-ზაციისა და სადამსჯელო მოქმედებების შედეგად, პრაქტიკულად განადგურებული ბინაზე პალიატიური მზრუნველობის სამსახური და პალიატიური მზრუნველობის სერვისის ძირითადი იდეა (სპეციალურად მომზადებული სამედიცინო პერსონალის მიერ კვალიფიციური სამედიცინო მომსახურეობის გაწევა მულტიდისციპლინური გუნდით), ასევე არაკვალიფიციურ ჩარჩოში მოექცა პაციენტების პროგრამით უზრუნ-ველოყოფის ჩართვის კრიტერიუმი (ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფი პაციენ-ტების სამედიცინო მომსახურეობა მაქსიმუმ 6 თვის მანძილზე ცხოვრებაში), ინიცი-რების სტადიაშია ბავშვთა პალიატიური მზრუნველობის სტაციონარული და ამბულა-ტორიული სერვისი და არ არსებობს გერიატრიული პალიატიური მზრუნველობა.

მიუხედავად ზემოხსენებული პრობლემებისა დღეისათვის პალიატიური მრუნველობის შენიღბული სახელის ქვეშ საქართველოს მასშტაბით 13 ორგანიზაციის მიერ ხორციელდება ამბულატორიული პალიატიური პროგრამა და ქვეყანას აკმაყოფილებს ბიუროკრატიულ კრიტერიუმს აღნიშნული სამსახურების ფიქტიურად არსებობით (Rukhadze., 2015).

ამდენად, სახეზეა არსებული კვალიფიციური პალიატიური მზრუნველობის ნაცვლად 2000 წლიდან დღემდე სისტემის მკვეთრ უარყოფით დინამიკასთან, რაც კიდევ ერთხელ საჭიროებს არსებული მდგომარეობის შეფასებასა და გაანალიზებას, გაწეული მომსახურეობის შეფასებას და გაუმჯობესების გზების დასახვას.

3. ინკურაბელურ პაციენტთა ქრონიკული ტკივილის მართვა და მასთან დაკავშირებული სირთულეები საქართველოში

პალიატიური მზრუნველობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ქრონიკული ტკივილის ადეკვატური მართვა. ტკივილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა ქრონიკულ ინკურაბელურ, განსაკუთერბით კი – ონკოლოგიურ პაციენტებში, სადაც მისი სიხშირე 55-95% -ს შეადგენს.

აშშ-ის და საფრანგეთის მიერ წარმოებულმა მულტიცენტრულმა კვლევებმა უჩვენა, რომ კიბოსთან დაკავშირებული ტკივილის კონტროლი ხშირად არაადეკვატურია. ამის გამო მილიონობით ადამიანი იტანჯება და სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში განიცდის მკვეთრ დისკომფორტს.

ქრონიკული ტკივილი იწვევს ფსიქოლოგიურ, ემოციურ, აფექტურ და უარყოფით ეკონომიკურ ზემოქმედებას არა მხოლოდ პაციენტზე, არამედ მათი ოჯახის წევრებზეც (Kordzaia., et all, 2010).

ქრონიკული ტკივილის მართვის პრობლემა კი წარმოადგენს არა მხოლოდ სამედიცინო, არამდ სრულიად საზოგადოების პრობლემას, სადაც ბარიერები წარმოდგენილია: სამედიცინო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ დონეზე, საგანმანათლებლო ბაზის დეფიციტითა საზოგადოებაში ჯერ კიდევ გარკვეული სტიგმის არსებობით.

ამ მიმართულებით ბარიერთა სიმრავლეს ნათლად ასახავა პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული განვითარევის გეგმაში ავტორთა ჯგუფის (Kordzaia., et all, 2010) მიერ წარმოგნელი დიაგრამაზე (იხ. დიაგრამა #1).

დიაგრამა #1

პალიატიური მზრუნველობის საქართველოს ეროვნული განვითარების გეგმის მიხედვით



(Kordzaia., et all, 2010).

დიაგრამიდან ნათლად სჩანს, რომ რობლემათა ნუსხა მოიცავს:

3.1 საკანონმდებლო პრობლემებს და საჭირო ცვლილებების სწორ და დროულ იმპლემენტაციას;

3.2 ჯანდაცვის პროფესიონალების განათლებას;

3.3 ტკივილგამაყუჩებელ წამალთა (ოპიოიდთა) ფორმების მრავალფეროვნებისა და მათი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;

3.4 პაციენტებისა და მათი ოჯახის წევრების განათლება და ადეკვატური ინფორმირებას (მათ შორის საზოგადოების განათლებასა და ინფორმირებას);

ამასთან, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება, რომ ტკივილი არამარტო სამედიცინო-ბიოლოგიური და/ან პაციენტის პრობლემაა, არამედ ის წარმოადგენს ეთიკურ და სოციალურ პრობლემას, ამიტომაც მისი მოგვარება მთელი საზოგადოების ამოცანაა.

ოპიოიდები მიეკუთვნებიან კონტროლს დაქვემდებარებულ ნივთიერებებს, რომლებიც რეგულირდება გაეროს 1961 წლის "ერთიანი კონვენციით" – ნარკოტიკული საშუალებების შესახებ (1972 წლის პროტოკოლის ცვლილებებით), რომელიც ძალაშია 1964 წლიდან.

"ერთიანი კონვენციის" არსია: ადამიანთა კეთილდღეობისთვის, სამედიცინო მიზნებისათვის აუცილებელია ნარკოტიკული საშუალებების ადექვატური მარაგის შექმნა; კონვენცია ასევე აღიარებს, რომ წამალზე დამოკიდებულება წარმოადგენს სოციალურ და ეკონომიურ საფრთხეს მსოფლიო მაშტაბით; 1961 წლის კონვენციის მიზანია, რომ ნარკოტიკების მოხმარება შემოიფარგლოს სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებით უზრუნველყოფილ იყოს კანონიერი გამოყენების ხელმისაწვდომობა, ამასთანავე, ხორციელდებოდეს მისი არამიზნობრივი გამოყენების და დივერსიის მკაცრი კონტროლი და აღკვეთა (Kordzaia., et all, 2010).

კონვენციის თანახმად 17-2ა ქვეყნების მთავრობები უნდა ითვალისწინებდნენ ამ კონვენციის რეკომენდაციებს, რომელსაც 2005 წლისთვის მსოფლიოს 210 ქვეყნიდან 181 შეუერთდა, მათ შორის საქართველოც.

ნარკოტიკული საშუალებების საერთაშორისო კონტროლის კომპეტენცია ორ საერთაშორისო ორგანიზაციას გააჩნია: ნარკოტიკული საშუალებების კომისია (CND) და ნარკოტოკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტი (INCB). ნარკოტიკული საშუალებების კომისია - შეიმუშავებს რეკომენდაციებს ნარკოტიკული საშუალებების ლეგალური ბრუნვის თაობაზე (ჯანმო-ს რეკომენდაციების გათვალისწინებით);

INCB წარმოადგენს მაკონტროლირებელ ორგანოს, რომელიც 1968 წლიდან ნერგავს გაეროს კონვენციას, ამოწმებს თუ რამდენად ადექვატურია ამა თუ იმ ქვეყნის მომარაგება ნარკოტიკული საშუალებებით სამედიცინო და სამეცნიერო მიზნებისთვის და აკონტროლებს, რომ არ მოხდეს კანონიერი ბრუნვის ფარგლებიდან წამლის დივერსია არაკანონიერ ბრუნვაში. 17-2ბ ნარკოტიკულ საშუალებებზე 1961 წლის ერთიანი კონვენციის მიერ მოწოდებულია და ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოიყენება ტკივილგაყუჩებისათვის საჭირო ოპიოიდების რაოდენობის გამოთვლის შემდეგი მეთოდები:

1) პოპულაციაზე დაფუძნებული – ეყრდნობა მოსახლეობაში გავრცელებული ძირითადი დაავადებების ეპიდემიოლოგიურ მაჩვენებლებს;

2) მომსახურეობაზე დაფუძნებული – ემყარება ჯანდაცვის სისტემაში არსებული მომსახურეობის სახეებს და რესურსებს;

3) ხარჯვაზე დაფუძნებული – ემყარება წინა წლების მოხმარების მაჩვენებელს. (ეს მეთოდი გამართლებულია იმ ქვეყნებისათვის, სადაც ხარჯვის მაჩვენებელი ემყარება რეალურ მოთხოვნებს).

4) ხარჯვაზე დაფუძნებულ გამოთვლებს ემატება მოხმარების ზრდის მოხმარების ზრდის კოეფიციენტი.

საქართველოში ნარკოტიკულ საშუალებებზე მოთხოვნის დადგენა ხდება პოპულაციაზე დაფუძნებული მეთოდით, ანუ ავადობის სტრუქტურის მიხედვით, ხოლო ამ საშუალებების შესყიდვა ემყარება წინა წლების მოხმარების მაჩვენებელს, ანუ ხარჯვაზე დაფუძნებულ მეთოდს.

ადამიანის ფუნდამეტურ უფლებას წარმოადგენს, რომ იყოს ტკივილისგან თავისუფალი. ეს უფლებაა და არა მოთხოვნა, იმის გამო, რომ ტკივილი არის დაყუჩებადი (კონტროლირებადი) ფენომენი.

ეს უფლება აღიარებულია ეკოსოკოს (გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კოლტურული უფლებების კომიტეტის (UN Committee on Economic, Social and Cultural Rights (ECOSOC)) მიერ და წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას. ეს უფლება რაც ხშირად ირღვევა იმ მთელი რიგი კომპლექსური მიზეზების გამო, რომელიც უკავშირდება ოპიოიდების ლეგალურ ბრუნვას, მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს, განათლების ნაკლებობას და სტიგმას, რომლითაც გარემოცულია დღევანდელი სამედიცინო თუ ფართო საზოგადოებაში.

საქართველოს რეალობაში საბჭოთა სისტემის კოლაფსის შემდეგ ქვეყანაში ოპიოიდების რეგულირება 2008 წლამდე ხორციელდებოდა იმდროინდელი მარეგულირებელი დოკუმენტებით, რაც პაციენტს საშუალებას აძლევდა ექიმის მიერ შესაბამისი რეცეპტით გამოწერილი ოპიოიდის გარკვეული დღიური დოზა მიეღო მხოლოდ შემდეგი 3 დღისათვის (ჯანმრთელობის დაცვის მინისტირისა და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება- #32/ო).

ამდენად, რეგულაციების მიხედვით ოპიოიდების გაცემა ხდებოდა კვირაში 2-ჯერ. რაც შეეხება დოზირებას, მიუხედავად იმისა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტებში მიუხედავად ოპიოიდების დოზირების მალიმიტირებელი ჩანაწერი

არ მოიძებნებოდა, არსებობდა გარკვეული სიტყიერი შეთანხმება, რომ ოპოიდების დანიშვნა მომხდარიყო გარკვეული ლიმიტირებული დოზით - ტკივილის ინტენსივობისა და მუდმივობის გათვალისწინების მიუხედავად.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში ამ დროისათვის არ არსებობდა ძლიერი ოპიოიდების ტაბლეტირებული ფორმების უწყვეტობა და სამედიცინო პერსონალის შესაბამისი საგანმანათლებლო ბაზა ფართო საზოგადოების სტიგმასთან ერთად.

2008 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულია ცვლილებები და დამატებები საქართველოს ოთხ კანონში (კანონები: " ჯანდაცვის შესაებ", "საექიმო საქმიანობის შესახებ", "პაციენტის უფლებების შესახებ" და "ნარკოტიკების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორების და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ"), რომლიც ხელს უწყობს საქართველოში პალიატიური მზრუნველობის განვითარებასა და მის ინტეგრაციას ეროვნული ჯანდაცვის სისტემაში;

მათ შორის:

კანონი `ჯანმრთელობის დაცვის შესახებ~

მუხლი 1. `ჯანმრთელობის დაცვის შესახებ~ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N#47-48, 31.12.1997, გვ. 126) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-3 მუხლის:

ა) `ტ~ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`ტ) პირველადი ჯანმრთელობის დაცვა – ჯანმრთელობის დაცვის სისტემასთან ცალკეული პირისა და ოჯახის პირველი შეხება; უწყვეტი, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული, უპირველესად საოჯახო მედიცინის სისტემაზე დაფუძნებული, საზოგადოების თითოეული წევრისათვის ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურება, რომელიც მოიცავს ჯანმრთელობის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის, ფართოდ გავრცელებული დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებებს, მათ შორის, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობაზე ზრუნვას, ოჯახის

დაგეგმვას, პალიატიურ მზრუნველობას, აუცილებელი მედიკამენტებით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;~;

ბ) `ტ3~ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის `ტ4~ და `ტ5~ ქვეპუნქტები:

`ტ4) პალიატიური მზრუნველობა – აქტიური, მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა. იგი ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება მკურნალობას აღარ ექვემდებარება; ასეთი მზრუნველობით შესაძლებელია ავადმყოფებისა და მათი ოჯახების ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება;

გ) `ყ~ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`ყ) სამედიცინო დახმარების უწყვეტობა – პროფილაქტიკური, დიაგნოსტიკური, სამკურნალო, სარეაბილიტაციო და პალიატიური მზრუნველობის ღონისძიებების შეუფერხებელი განხორციელება;~;

დ) `ჩ1~ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`ჩ1) სამედიცინო საქმიანობა – საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია დაავადებათა პროფილაქტიკასთან, დიაგნოსტიკასთან, მკურნალობასთან, რეაბილიტაციასთან, პალიატიურ მზრუნველობასთან და შეესაბამება ქვეყანაში აღიარებულ სამედიცინო მომსახურების პროფესიულ და ეთიკურ სტანდარტებს;~;

ე) `ც~ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

`ც) სამედიცინო ჩარევა – ნებისმიერი მანიპულაცია, პროცედურა, რომელსაც ატარებს ექიმი ან სხვა სამედიცინო პერსონალი დიაგნოსტიკის, მკურნალობის, პროფილაქტიკის, რეაბილიტაციისა და პალიატიური მზრუნველობის მიზნით;~. . . . . .

7. კანონს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1542 მუხლი:

`მუხლი 1542

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2007 წლის 1 ოქტომბრამდე შეიმუშაოს და დაამტკიცოს `ინსტრუქცია ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ.~.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი, 2007 წლის 8 მაისი.

კანონი `ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ~

მუხლი 1. `ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ~ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N33, 23.12.2002, მუხ. 162) მე-8 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 11 პუნქტი:

`11. სახელმწიფო უზრუნველყოფს ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების ხელმისაწვდომობას საჭირო რაოდენობითა და ფორმით, სამედიცინო, სამეცნიერო და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა მიზნებისათვის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.~.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი

თბილისი, 2007 წლის 8 მაისი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრმა 2008 წლის 10 ივლისს # 157/ნ ბრძანებით დაამტკიცა პალიატიური მზრუნველობის ინსტრუქცია., აღიარებულია, რომ სისტემის გამართული მუშაობა მისი ყველაზე სუსტი რგოლის მდგომარეობაზეა დამოკიდებული.

საკანონმდებოლო ბაზის ცლილებისა, მარეგულირებელ დოკუმენტებში ზემოხსენებული ცლვილებების და ოპიოიდების სარეცეპტო ფორმის განახლების შემდეგ შესაძლებელი გახდა პაციენტისათვის სამედიცინო მიზნებისათვის საჭირო ოპიოიდების შესაბამისი ფორმების გამოწერა მოხდეს კვირაში 1-ჯერ, ექიმისა და არა სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ (ონკოლოგიური პაციენტებისათვის), რამაც მკვეთრად გააუმჯობესა ოპიოიდების ადმისტრირების საკითხი, თუმცა არსებული სიტუაცია შორს არის სრულყოფილისაგან:

- ✓ დღემდე სირთულეს წარმოადგენს მარეგულირებელ დოკუმენტებში ურთიერთგამომრიცხავი და ორმაგი მნიშვნელობის დებულებების არსებობა;
- ✓ ოპიოიდების მარაგის გაცემა 1 კვირის ვადით;

- ✓ მიუხედავად რეცეპტის ვალუდურობა კანონით განისაზღვრება 5 სამუშო დღით, მისი პრაქტიკული ვალუდურობა კვლავ შეზღუგულია;
- ✓ ოპიოიდების დანიშვნა მოითხოვს ინკურაბელურობის განსაზღვრას და კლინიკური ჯგუფის დადგენას პაციენტისათვის; ანდენად, ქრონიკული, ძიერი ტკივილის მართვისათვის პაციენტი უნდა აკმაყოფილებდეს მე-4 კლინიკურ ჯგუფს და სხვა კლინიკური ჯგუფის შემთხვევაში კანონი ძლიერი ოპიოდის დანიშვნას თუნდაც სამედიცონო მიზნებისათვის კრძალავს;
- ✓ მიუხედავად რეცეპტში გათვალისწინებულია 2 სხვადასხვა ფორმის ან/და დასახელების ოპიოიდის ერთ რეცეპტში გამოწერა სამედიცინო საწიროებების დროს, პრაქტიკულად მისი გამოყენება კვლავ არ ხდება;
- ✓ კვლავ მწირია სამედიცინო პერსონალის განათლების დონე და არსებობს გარკვეული შიში სამედიიცნო პერსონალის მარეგულებელ ორგანოებთან ოპიოიდების არარაციონალური გამოყენების მიმართ, რაც უარყოფითად აისახება პაციენტების ჯანმრთელობასა და მდგომარეობაზე;
- ✓ შეზღუდულია ოპიოიდების ნუსხა და ხელმისაწოვდომობა ქვეყანაში (არ სრულდება ჯანმოს ესენციური მედიკამენტების არსებობის ვალდებულება); ამასთან დარღვეულია ტაბლეტირებული ფორმების არსებობის უწყვეტობა;
- ✓ ქვეყანაში არ არსებობს ტაბლეტირებული ფორმების ხელმისაწვდომობა არა აბნულატორორიულ პირობებში (სტაციონარში), რაც ოპიოიდების სახელმწიფო პროგრამასა და სატენდერო პირობებს უკავშირდება;
- ✓ ოპიოდების გაცემა დღემდე ხორციელდება ოლიციის შენობიდა, რაც ასევე ქვეყანაში სააფთიაქო ქსელის სრულად გასხვისებისა და პრივატიზაციას, ასვე სახელმწიფოს მიერ კერძო სააფთიაქო ქსელის მიმართ მარეგულირებელი ბერკეტების არ არსებობით აიხსნება;
- ✓ მცირეა სამედიცინო პერსონალის მოტივაცია მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ;
- ✓ ზემოხსენებულ პრობლემებს ხელს უწყობს საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებული სტიგმა ოპიოიდების გამოყენების შესახებ.

ამასთან, გასათვალისწინებელია ჯანმოს რეკომენდაციები ქვეყანაში ქრონიკული ტკივილის მართვისათვის გამოყენებული მედიკამნეტების პროპორციულობის შესახებ.

ჯანმო-ს ექსპერტების რეკომენდაციით, რომელიც საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზეა შემუშავებული პაციენტების ტკივილის მართვა გაადვილდება თუ ქვეყანა უზრუნველყოფს ისეთი მომარაგებას, რომელის 30%-ს სწრაფად მომქმედი (სწრაფად ხსნადი) დატაბლეტებული მორფინი შეადგენს, 60%-ს ნელი მოქმედების (ნელა ხსნადი) დატაბლეტებული მორფინი, 5%-ს პარენტერალური მორფინი, ხოლო 5%-ს სხვა ოპიოიდები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღეისათვის ყველაზე იაფია მორფინის დასალევი ხსნარის ფორმა.

ასევე აღიარებულია რომ, ნარკოტიკების კონტროლის საერთაშორისო კომიტეტიდან (INCB) ქვეყნისათვის ოპიოიდების კვოტის (მისი გაზრდის) მოთხოვნა უნდა მოხდეს ბევრად უფრო ადრე, ვიდრე ის გახდება საჭირო. მოთხოვნა უნდა დასაბუთდეს გასული წლების ფაქტობრივი მოხმარებითა და მომავალი წლის მოხმარების ზრდის არგუმენტირებული შეფასებით.

გასათვალისწინებელია, რომ ნარკოტიკული ნივთიერებების კონტროლის საერთაშორისო კომისია მიუთითებს ოპიოიდების საჭიროებისა და მოხმარების შეუსაბამობაზე: განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას აქვს ოპიოიდების მაღალი საჭიროება და მოხმარების დაბალი მაჩვენებლები, ხოლო განვითარებული ქვეყნების გარკვეული ნაწილი მარაგის უდიდეს წილს მოიხმარს. საჭიროა ზემოაღნიშნულის გათვალისწინება პრაქტიკულ საქმიანობაში.

ვითარების გამოსწორებისათვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობებმა დაიცვან გაერო-ს შეთანხმების სპეციალური პირობები, რომლიც არეგულირებს ოპიოიდების მოხმარებას: 1961 წლის ერთიანი კონვენცია ნარკოტიკული ნივთიერებების თაობაზე, 1972 წლის პროტოკოლის მიხედვით შეტანილი შესწორებებით. ოპიოიდური ტკივილგამაყუჩებლების გამოყენების ნებადართულობისა და სათანადო ხელმისაწვდომის უზრუნველყოფის ხელშეწყობისაკენ მიმართული ნებისმიერი მცდელობა უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სისტემას, რომლის შემადგენელი ნაწილებიც, ასევე უნდა ახორციელებდეს და პასუხობდეს პაციენტებზე ზრუნვასთან დაკავშირებულ ამოცანებს:

• სახელმწიფოს მიერ კონტროლირებული ნარკოტიკული ნივთიერებების მართვის პოლიტიკისა და გავრცელების სისტემების ცოდნა;

• სუსტი მხარეებისა და იმ შეზღუდვების გამოვლენა, რომლებიც ხელს უშლიან ოპიოიდების ხელმისაწვდომობას ლეგალური მოხმარებისათვის;

• აუცილებელი მკურნალობის დანიშვნა;

• შედეგების მონიტორინგი და საჭიროების შემთხვევაში განახლებული მკურნალობა.

4. ინკურაბელურ პაციენტთა (ონკო-ინკურაბელურ პაციენტთა) სტატუსის განსაზღვრა საქართველოში

საქართველოში ონკოლოგიურ დაავადებათა ახალი შემთხვევების რიცხვი ყოველწლიურად 7 000-დან 8 000-მდე მერყეობს და მოსახლეობის სიკვდილობის მაჩვენებელთა შორის რიგით მეორე მიზეზს წარმოადგენს (Rukhadze T., An Overview of the Healthcare System in Georgia; Healthcare Overview: New Perspectives Chapter · July 2012 with 17 Reads; DOI 10.1007/978-94-007-4602-2_8; ISSN 2211-3495; (pp.133-152;Rukhadze T., Challenges and Prospects in Cancer Care in Georgia - Cancer care in countries and societies in transition: Individualized care in focus, Chapter · January 2016 with 6 Reads;).). წლების განმავლობაში ქვეყანასა და ჯანდაცვის სისტემაში მიმდინარე სოციალურმა სიდუხჭირემ, სტრუქტურულმა ცვლილებებმა, სამედიცინო მომსახურეობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა მკვეთრად შეაფერხა ონკოლოგიურ დაავადებათა გამოვლენის შესაძლებლობა მათი განვითარების ადრეულ ეტაპებზე ქვეყანის ჯანდაცვის სისტემაში გატარებულმა რეფორმებმა, სკრინინგ-პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდამ, სიმსივნური დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენამ და ქვეყანაში პოპულაციური რეესტრის ამოქმედებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების ადეკვატურად შეფასებაში, დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის შედეგების მკვეთრ გაუმჯობესებაში ((World Health Organization, Geneva, Switzerland -Program on Cancer Control (C.S., A.M., A.U.) and Essential Drugs and Medicines Policy (T.Y.), Journal of Pain and Symptom Management Vol. 24 No. 2 August 2002; Rukhadze T., An Overview of the Healthcare System in Georgia; Healthcare Overview: New Perspectives Chapter · July 2012 with 17 Reads; DOI 10.1007/978-94-007-4602-2_8; ISSN 2211-3495; (pp.133-152); Rukhadze T., Challenges and Prospects in Cancer Care in Georgia - Cancer care in countries and societies in transition: Individualized care in focus, Chapter · January 2016 with 6 Reads; DOI 10.1007/978-3-319-22912-6_22 (pp.349-359); World Cancer Day 2014: Myth 2—Cancer is a disease of the wealthy, elderly, and developed countries.www.worldcancerday.org/myth-2-cancer-disease-wealthy-elderlyand-developed-countries (Last accessed May 13, 2014)). მიუხედავად გატარებული რეფომებისა და მიღწეული წარმატებებისა, მოქმედი მარეგულირებელი დოკუმენტები არ შეესაბამება არსებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და აღიარებულ რეგულაციებს. ისინი გარკვეულ დახვეწას მოითხოვენ საერთაშორისო გაიდლაინების შესაბამისად და კლინიკური გამოცდილების თანახმად (Decree ## 18/n -96 of the Ministers of Labor, Health and Social Affairs and Internal Affairs, 28. 01. 2010 On amendments to the joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March, 2000 and Internal

Affairs, 15 March 2000 # 32/o, # 102 on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment. “ In accordance with article N20 of the Law of Georgia “on Normative Acts”, The joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March 2000 and Internal Affairs, 15 March 2000# 32/o # 102 (SSM III, 2000, #26, article 241) on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment“;).

პოსტ საბჭოთა სივრცის ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, წლების განმავლობაში დარგის მეცნიერთა მცდელობა მირთული იყო ონკოლოგიური დაავადებების სტატისტიკურ ანაზლიზზე, გავრცელების თავისებურებებზე, დიაგნოს-ტიკის ადრეულ მეთოდებსა და შესაძლებლობებზე, მკურნალობს ეფექტურობასა და მათი ახლო თუ შეორეული შედეგების გაუმჯობესებისაკენ. მეცნიერთა და დარგის სპეციალისტთა ყურადღება მიმართული იყო დაავადებულთა დისპანზერიზაცის გაუმჯობესებისაკენ და ამ უკანასკნელთან არის დაკავშირებული ონკოლოგიურ პრაქტიკაში დღემდე არსებული კლინიკური ჯგუფების არსებობის მცნება, რასაც ასევე ეფუძნებოდა შემდგომში პაციენტთა ინკურაბელობის განსაზღვრა (D.S. Ogay, S.N. Puzin, Yu.G. Payanidi, O.T. Bogova, E.V. Vorobjeva - Clinical groups of dispensary observation in oncogynecology - Russian Medical Academy of Postgraduate Education, Moscow - Gynecology Oncology; 2012 (2) ; Chissov V.I., Daryalova S.L. Selected lectures on clinical oncology. M., 2000. ; Bening L., Martinovich S.V. Reference edition: Therapeutic Oncology. Munich, 1998. V.I. Chissova, V.V. Starinsky - Organization of the oncological service in Russia (methodical recommendations, manuals for physicians) Part 2 / Edited by P.A. Herzen Rosmedtechnology, 2007. 663 p. ISBN 5-85502-066-5 ; Rukhadze T., An Overview of the Healthcare System in Georgia; Healthcare Overview: New Perspectives Chapter · July 2012 with 17 Reads; DOI 10.1007/978-94-007-4602-2_8; ISSN 2211-3495; (pp.133-152);)

ლიტერატურული მონაცემების, სახელმძღვანელობისა და რიგი მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად, პოსტ საჭოთა ქვეყნებისა და მათ შორის საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში ონკოლოგიურ პაციენტთა სტანდარტიზაცია არსებობდა. პაციენტების დაყოფა ხდებოდა ოთხი ძირითადი ჯგუფის მიხედვით, რომელთაც შემდგომში კლინიკრ ჯგუფებს უწოდებდნენ:

ჯგუფი (1ა) - მოიცავდა სავარაუდო ავთვისებიანი დაავადების მქონე პაციენტებს. ამ ჯგუფში ერთიანდებოდნენ ის პაციენტები, რომელთა პირველადი გამოკვლევა მიმდინარეობდა არაუმეტეს 10-14 დღის განმავლობაში და შემდგომ, ონკოლოგიური დაავადების ეჭვის არსებობის შემთხვევაში საჭიროებენ უფრო გაღრმავებულ კვლევებს და გადადიან შემდეგ ქვეჯგუფში, ან იხსნებოდნენ შემდგომი დიაგნოსტიკის გაგრძელების საჭიროების არ არსებობის გამო.

ჯგუფი (1ბ) - ამ ჯგუფში მოიაზრებოდნენ პაციენტები კიბოსწინარე დაავადებებით ან/და კეთილთვისებიანი სიმსივნეებით. ამ ჯგუფის პაციენტები ექვემდებარებოდნენ შემდგომ სამედიცინო გამოკვლევას და დისპანსერიზაციას.

მე-2 კლინიკურ ჯგუფში ერთიანდებოდნენ ავთვისებიანი დაავადებების მქონე პაციენტები, რომელთაც დაუდგინდათ ონკოლოგიური დიაგნოზი და ექვემდე¬ბარე-ბოდნენ სპეციფიურ მკურნალობას. სწორედ ამ ჯგუფში შედიოდა პირველად პაციენტთა დიდი უმრავლესობა. ლიტერატურული მონაცემების მიხედვითა და კლინიკური ჯგუფების მარეგულირებელი დოკუმენტების თანახმად ამ ჯგუფის უმრავლესობა ექვემდებარება მკურნალობის რადიკალურ მეთოდებს და მათ შორის ყველაზე ხშირად ქირურგიულ ჩარევას, ხოლო გაცილებით ნაკლებად - რადიაციულ და ქიმიოთერაპიას, რაც დღესათვის შესაძლებელია სადავო იყოს (Chissov V.I., Daryalova S.L. Selected lectures on clinical oncology. M., 2000. Bening L., Martinovich S.V. Reference edition: Therapeutic Oncology. Munich, 1998. Oncogynecology. A guide for doctors. Ed. Z.Sh. Gilyazutdinova, M.K. Mikhailov. M .: MEDpress, 2000. Frolova, OG, Kuzmicheva, RA, Yudaev, V.N. Gynecological diseases in the International Statistical Classification of the 10th revision. Akush ginekol 1999; (3): 53–5 Resolution of the V All-Russian Congress of Oncologists (Kazan, October 4–7, 2000). Russian oncological Journal 2001; (2): 52–5. Rustin G.J.S., Nelstop A.E., Bentzen S.M. et al. The Gynecologic Oncology Group experience in ovarian cancer. Ann Oncol 1999;10:1–7). ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ გარკვეული მეცნიერების აზრით, პროცენტული რაოდენობის მიხედვით, სწორედ მე-2 ჯგუფის პაციენტების სიმრავლე წარმოადგენდა სამედიცინო და დიაგნოსტიკური დაწესებულებების წარმატებული მუშაობის ობიექტურ მაჩვენებელს.

მე-3 კლინიკურ ჯგუფში წარმოდგენილი იყო პრაქტიკულად ჯანმრთელი ადამია-ნე¬ბი, რომლებსად ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც დაესვათ ონკოლოგიური დაა¬ვა-დების დიაგნოზი, ჩაუტარდათ სპეციფიური მკურნალობა და განიკურნენ. ამასთან იმყოფებოდნენ შესაბამის დისპანსერულ აღრიცხვაზე. ამ ჯგუფის პაციენტები ექვემდებარებოდნენ რეგულარულ პატრონაჟს და მდგომარეობის მუდმივ შეფასებას შემდეგი რეჟიმით: რადიკალური მკურნალობის პირველი წლის განმავლობაში - ერთხელ კვარტალში; მკურნალობის მეორე და მესამე წლის განმავლობაში - 6 თვეში

ერთხელ და შემდ¬გომ, წელიწადში ერთხელ მაინც. მესამე კლინიკური ჯგუფის დროს დისპანსერული დაკ¬ვირ¬ვება პაციენტებზე რეკომენდებული იყო არანაკლებ 5 წლის განმავლობაში, და ზო¬გიერთი ლოკალიზაციის (დაავადების) შემთხვევაში მთელი ცხოვრების მანძილზეც კი (Chissov V.I., Daryalova S.L. Selected lectures on clinical oncology. M., 2000. Bening L., Martinovich S.V. Reference edition: Therapeutic Oncology. Munich, 1998. Oncogynecology. A guide for doctors. Ed. Z.Sh. Gilyazutdinova, M.K. Mikhailov. M .: MEDpress, 2000. Frolova, OG, Kuzmicheva, RA, Yudaev, V.N. Gynecological diseases in the International Statistical Classification of the 10th revision. Akush ginekol 1999; (3): 53–5 Resolution of the V All-Russian Congress of Oncologists (Kazan, October 4–7, 2000). Russian oncological Journal 2001; (2): 52–5. Rustin G.J.S., Nelstop A.E., Bentzen S.M. et al. The Gynecologic Oncology Group experience in ovarian cancer. Ann Oncol 1999;10:1–7.).

მე-4 კლინიკურ ჯგუფში წარმოდგენილი იყო ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პაციენტები დაავადების გვიან ეტაპებზე, როდესაც რადიკალური მკურნალობა შეუძლებელი იყო და პაციენტი საჭიროებდა პალიატიურ ან სიმპტომურ თერაპიას. სწორედ მე-4 კლინიკურ ჯგუფს და ინკურაბელი სტატუის განსაზღვრასთან არის დაკავშირებული ინკურაბელ პაციენტთა ძლიერი, ქრონიკული ტკივილის მართვა და ძლიერი ოპიოიდების სამედიცინო მიზნებით გამოყენება. ამავე სტატუსს უკავშირდება პაციენტთა შეზღუდული შესაძლებლობების განსაზღვრა. მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სხვადასხვა ლიტერატურული მონაცემებისა და ნორმატიული აქტების მიხედვით, პაციენტს მე-4 კლინიკურ ჯგუფში არ ეზღუდებოდა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით რაიმე ქირურგიული ჩარევა, სხივური თუ ქიმიოთერაპიული მკურნალობა. ლიტერატურული მონაცემების მიხედვით მე-4 კლინიკური ჯგუფის პაციენტები ექვემდებარებოდნენ მუდმივ დისპანსერიზაციას. (Decree ## 18/n -96 of the Ministers of Labor, Health and Social Affairs and Internal Affairs, 28. 01. 2010 On amendments to the joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March, 2000 and Internal Affairs, 15 March 2000 # 32/o, # 102 on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment. “ In accordance with article N20 of the Law of Georgia “on Normative Acts”; The joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March 2000 and Internal Affairs, 15 March 2000# 32/o

102 (SSM III, 2000, #26, article 241) on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment“; Rukhadze T., An Overview of the Healthcare System in Georgia; Healthcare Overview: New Perspectives Chapter · July 2012 with 17 Reads; DOI 10.1007/978-94-007-4602-2_8; ISSN 2211-3495; (pp.133-152); Rukhadze T., Challenges and Prospects in Cancer Care in Georgia - Cancer care in countries and societies in transition: Individualized care in focus, Chapter · January 2016 with 6 Reads; DOI 10.1007/978-3-319-22912-6_22 (pp.349-359);

დღეისათვის საქართველოს ჯანდაცვის სისტემა არ მოიცავს დისპანსერიზაციის ზემოაღნიშნულ სქემას. ქვეყანაში ფუნქციონირებს საერთაშორისოდ აღიარებული კლინიკური გაიდლაინები და პროგრამები ონკოლოგიურ დაავადებათა სკირინინგის, ადრეული გამოვლენის და მკურნალობის შემდგომი მონიტორინგის შესახებ. მიუხედავად ამისა, დღემდე როგორც მარეგულირებელ დოკუმენტებში, ასევე კლინიკურ პრაქტიკაში არსებობს და ფართოდ გამოიყენება მე-2 და მე-4 კლინიკური ჯგუფის მცნება. (Decree ## 18/n -96 of the Ministers of Labor, Health and Social Affairs and Internal Affairs, 28. 01. 2010 On amendments to the joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March, 2000 and Internal Affairs, 15 March 2000 # 32/o, # 102 on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment. “ In accordance with article N20 of the Law of Georgia “on Normative Acts”; The joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March 2000 and Internal Affairs, 15 March 2000# 32/o # 102 (SSM III, 2000, #26, article 241) on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment“;)

ზემოაღნიშნული კლინიკური ჯგუფების მიხედვით, იმისათვის რომ ძლირი, ქორნიკული ტკივილის სამკურნალოდ პაციენტს დაენიშნოს ძლიერი ოპიოიდი, ტკივილთან ერთად მას უნდა ჰქონდეს დოკუმენტალურად დადგენილი მე-4 კლინიკური ჯგუფი. აღნიშნული დებულება ეწინააღმდეგება იმ პაციენტთა ძლიერი, ქრონიკული ტკივილის მართვას, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარებიან

მკურნალობას და განსაზღვრული აქვთ მე-2 კლინიკური ჯგუფი. თუმცა აღნიშნული მე-2 კლინიკური ჯგუფის პაციენტები შესაძლოა არსებობდეს ძლიერი ოპიოიდების მკურნალობაში გამოყენების სამედიცინო საჭიროება.

ონკოლოიურ პაციენტთათვის სამედიცინო მიზნებით ოპიოიდების დანიშვნის რეგულაციები და გამოცდილება განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოში. საკანონმდებლო ბაზისა და მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, საქართველოში მისი გამოწერის უფლება და კომპეტენცია აქვს ონკოლოგს, ქირურგს, ოჯახის ექიმს, თერაპევტს და პალიატიური მედიცინის სუბსპეციალობის მქონე დიპლომირებულ სპეციალისტს. არაონკოლოგიური პაციენტის (ე.წ. სომატური პაციენტის) შემთხვევაში კი პროცედურა გულისხმობს ამ პროცესის კომისიურად მართვას, რაც მკვეთრად გართულებულია. დასავლური გამოცდილების მიხედვით აღნიშნული კი არ არის შეზღუდული სხვადასხვა სპეციალისტისათვის (Decree ## 18/n -96 of the Ministers of Labor, Health and Social Affairs and Internal Affairs, 28. 01. 2010 On amendments to the joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March, 2000 and Internal Affairs, 15 March 2000 # 32/o, # 102 on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment. “ In accordance with article N20 of the Law of Georgia “on Normative Acts”; The joint decree by the Ministers of Health and Social Affairs, 13 March 2000 and Internal Affairs, 15 March 2000# 32/o # 102 (SSM III, 2000, #26, article 241) on “approval of the temporary rules of storing, registering, assigning, prescribing, dispensing and applying narcotic substances designed for the needs of contingent taking narcotic analgesics for symptomatic treatment“; Rustin G.J.S., Nelstop A.E., Bentzen S.M. et al. The Gynecologic Oncology Group experience in ovarian cancer. Ann Oncol 1999;10:1–7.).

პაციენტის მდგომარეობისა და დაავადების სტატუსის შესაფასებლად თანამედროვე კლინიკურ ონკოლოგიაში საერთაშორისოდ აღაიარებულია სტადიურობა; პაციენტის ზოგადი მდგომარეობის შესაფასებლად ონკოლოგები მიმართავენ ECOG ან ECOG/Karnovsky შკალებს, ცხოვრების ხარისხის შეფასება რეკომენდებულია ონკოლოგიური მკურნალობის როგორც რადიკალურ, ასევე პალიატიურ - სიმპტომური მკურნალობის ეტაპზე. (Palliative care: A peaceful, humane global campaign is needed. Lancet 2014;383:487. Connor SR, Bermedeo MCS (eds): Global Atlas of Palliative Care

at the End-of-Life. London: Worldwide Palliative Care Alliance, 2014. www.thewpca.org/latest-news/global-atlas-identifies-unmet-need-for-palliative-care/. Silbermann M, Epner D, Charalmbous H, et al: Promoting new approaches for cancer care in the Middle East. Ann Oncol 2013;23:5–10. International Agency for Research on Cancer: GLOBOCAN 2017: Estimated cancer incidence, mortality, and prevalence worldwide in 2017 http://globocan.iarc.fr/Pages/fact_sheets_cancer.aspx .) ამ დროს საყოველთაო აღიარება ჰპოვა ცხოვრების ხარისხის შეფასების სპეცილურმა კითხვარებმა (QOL), რაც უფრო დეტალურად აღწერს პაციენტის მდგომარეობას და შემდგომ საჭიროებებს. კონცეფცია ცხოვრების ხარისხის შესახებ არსებითად სუბიექტურია, თუმცა სხვადასხვა საძიებო სისტემის ბაზაში (MEDLINE, CINAHL, CANCERLIT, EMBASE, PsychINFO), დღესდღეობით არსებობს მრავალი ინფორმაცია სისტემატიზირებული მიმოხილვის შესახებ, კვლევა და მრავალი ნაშრომი პაციენტთა ცხოვრების ხარისხის შეფასების შესახებ, რომელთა შედეგებიც ხელმისაწვდომია მათ შორის სხვადასხვა დაავადებების დროს. რაც შეეხება ინკურაბელობას - აქ კი მეცნიერთა კლინიცისტთა დიდი ნაწილი ეყრდნობა ონკოლოგიურ პაციენტთა ზოგადი მდგომარეობის შეფასების შკალებს, რაც დღეისათვის ითვლება საკმარის ინსტრუმენტად, რათა შეფასდეს პაციენტის ზოგადი მდგომარეობა (ECOG, Karnovsky). (Thomas K. Caring for the dying at home. Companions on a journey. Oxford: Radcliffe Medical Press, 2003.

Ellershaw JE, Wilkinson S. Care of the dying:A pathway to excellence. Oxford: Oxford University Press, 2003. McKinley RK, Stokes T, Exley C, Field D. Care of people dying with malignant and cardiorespiratory disease in general practice. Br J Gen Pract 2004;54:909-13.) სპეციფიური მკურნალობის ეფექტურობის შეფასების იდეალურ ინსტრუმენტად გამოიყენება RECIST1.1 შეფასების სისტემა, რაც იძლევა დეტალურ ინფორმაციას დაავადების პროგრესირების სტაბილისიზაციის თუ რეგრესის შესახებ (Qualitative interview study of patients and their carers. Palliat Med 2004;18:39-45. Lynn J. Learning to care for people with chronic illness facing the end of life. JAMA 2000;284:2508-11.

World Cancer Day 2014: Myth 2—Cancer is a disease of the wealthy, elderly, and developed countries.www.worldcancerday.org/myth-2-cancer-disease-wealthy-elderlyand-developed-countries (Last accessed May 13, 2014). International Agency for Research on Cancer:

GLOBOCAN 2017: Estimated cancer incidence, mortality, and prevalence worldwide in 2017 http://globocan.iarc.fr/Pages/fact_ sheets_cancer.aspx .).

ამგვარად, დღეისათვის საქართველოში იმისათვის რომ აპციენტს დაენიშნოს ძლიერი ტკივილის გამო ადეკვატური მკურნალობა (ძლიერი ოპიოიდი), საჭიროა განესაზღვროს მე-4 კლინიკური ჯგუფი და ინკურაბელურობის სტატუსის. თუმცა არსებობს სხვა ქვეყნების განსხვავებული გამოცდილება.(Slevin ML, Stubbs L, Plant HJ, Wilson P, Gregory WM, Armes PJ. Attitudes to chemotherapy: comparing views of patients with those of doctors, nurses and general public. BMJ 1990;300:1458-60.Buetow S, Coster G. Do general practice patients with heart failure understand its nature and seriousness, and want improved information? Patient Educ Couns 2001;45:181-5. Murray SA, Kendall M, Boyd K,Worth A, Benton TF. Exploring the spiritual needs of people dying of lung cancer or heart failure: a prospective). დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებითა და შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტაციის მიხედვით ოპიოიდის დანიშვნის და მათ სამედიცინო მიზნებისათვის გამოყენების საჭიროების განმსაზღვრელია პაციენტის მიერ გადმოცემული ძლიერი, ქრონიკული ტკივილი ან შესაბამისი სამედიცინო საჭიროება (მათ შორის დისპნეა და ა.შ.) სპეციფიური QOL კითხვარები, რაც საშუალებას იძლევა მოხდეს ცხოვრების ხარისხის დეტალური შეფასება,(Williams R, Zyzanski SJ, Wright A. Life events and daily hassles and uplifts as predictors of hospitalisation and out patient visitation. Soc Sci Med 1992;34:763-8. Higgs R. The diagnosis of dying. J R Coll Physicians Lond 1999;33:110-2. Asbring P, Narvanen AL. Patient power and control: a study of women with uncertain illness trajectories. Qual Health Res 2004;14:226-40. Burke SO, Kauffmann E, LaSalle J, Harrison MB,Wong C. Parents' perceptions of chronic illness trajectories. Canadian J Nurs 2000;32: 19-36. Higginson IJ: Health care needs assessment: Palliative care and terminal care. In: Stevens A, Raftery J (eds): Health Care Needs Assessment. Oxford: Oxford Radcliffe Medical Press, 1997, pp. 1–28. Fink RM, Oman KS, Youngwerth J, Bryant LL: A palliative care needs assessment of rural hospitals. J Palliat Med 2013;16:638–644.) ხოლო სპეციფიური მკურნალობის ეფექტურობის შეფასება კი ხორციელდება RECIST1.1. ამდენად, არ საჭიროებს დასავლური გამოცდილებისათვის უცხოა პაციენტითა კლინიკურ ჯგუფებად დაყოფა და ზემოხსენებული სისტემები საშუალებას იძლევიან მოახდინონ პაციენტთა არა მხოლოდ ინკურაბელურობის

განსაზღვრა, არამედ შეაფასონ მათი ცხოვრების ხარისხი და ზოგადი მდგომარეობა, რასაც მოკლებული კლინიკური ჯგუფების სისტემა. რაც შეეხება ძლიერი, ქრონიკული ტკივილის მართვას, მრავალწლიანი კვლევებისა და კლინიკური გამოცდილების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ პაციენტს ადეკვატური ტკივილგამაყუჩებელი თერაპია ესაჭიროება მკურნალობის ნებისმიერ ეტაპზე კლინიკური ჯგუფის მიუხედავად. (Boseley S: Global cancer surge fueled by alcohol, smoking, and obesity predicted by WHO. The Guardian February 3, 2014. www.theguardian.com/society/2014/feb/03/alcoholsugar-smoking-fuel-cancer-surge (Last accessed May 13, 2014). International Agency for Research on Cancer: GLOBOCAN 2017: Estimated cancer incidence, mortality, and prevalence worldwide in 2017 http://globocan.iarc.fr/Pages/fact_ sheets_cancer.aspx . Higginson IJ: Health care needs assessment: Palliative care and terminal care. In: Stevens A, Raftery J (eds): Health Care Needs Assessment. Oxford: Oxford Radcliffe Medical Press, 1997, pp. 1–28. Thomas DR: A general inductive approach for analyzing qualitative evaluation data. Am J Eval 2006;27:237–246. Silbermann M, Jaloudi MA: Setting a higher standard in cancer care: Isn't it time to bring about a change in cancer palliation? J Palliat Care Med 2014;4:e128. Silbermann M, Hassan E: Cultural perspectives in cancer care: Impact of Islamic traditions and practices in Middle Eastern countries. J Pediat Hematol Oncol 2011;33:S81–S86. Silbermann M (ed): Palliative Care to the Cancer Patient: The Middle East as a Model to Emerging Countries. Hauppauge, NY: Nova Science Publishers, 2014.)

ამასთან, კლინიკურ ჯგუფი არ იძლევა ინფორმაციას პაციენტის ცხოვრების ხარისხის შესახებ. ონკოლოგიური დიაგნოზის დადგენისა და მკურნალობის დროს ხშირად იქმნება ორგანიზაციული ბარიერი, რის გამოც ვერ ხორციელდება პაციენტის სამედიცინო საჭიროებების სრულად და დროულად მოცვა.(Shelty P: The parlous state of palliative care in the developing world. Lancet 2010; 376:1453–1454. Magrath I, Steliarova-Foucher E, Epelman S, et al: Pediatric cancer in low-income and middle-income countries. Lancet Oncol 2013;14:e104–116. Hajjar RR, Atli T, Al-Mandhari Z, et al: Prevalence of aging population in the Middle East and its implications on cancer incidence and care. Ann Oncol 2013;24:11–24. Silbermann M, Al-Hadad S, Ashraf S, et al: MECC regional initiative in pediatric palliative care. J Pediat Hematol Oncol 2012;34:S1–S11.) დაავადების სპეციფიური მკურნალობის ტოქსიურობა, თუნდაც რადიკალური მკურნალობის მიმდინარეობისას

შექმნილი მიზეზები არ უნდა ხდებოდეს პაციენტისათვის ბიუროკრატიული ბარიერი ხარისხიანი სამედიცინო სერვისის მისაღებად. სამედიცინო ქმედება მიზნად უნდა ისახავდეს პაციენტის ცხოვრების ხარისხის შენარჩუნებას მკურნალობის კველა ეტაპზე. (Global, Regional, and National Opioid Consumption Statistics. Pain & Policy Studies Group, University of Wisconsin Carbone Cancer Center, 2014. www.painpolicy.wisc.edu/opioid-consumption-data (Last accessed May 13, 2014). Duthey B, Scholten W: Adequacy of opioid analgesic consumption at country, global, and regional levels in 2010, its relationship with development level and changes compared with 2006. J Pain Symptom Manage 2013;47:283–297. Cleary J, Silbermann M, Scholten W, Radbruch L, Torode, J, Cherny NI: Formulary availability and regulatory barriers to accessibility of opioids for cancer pain in the Middle East: A report from the Global Opioid Policy Initiative (GOPI). Ann Oncol 2013;24:51–59. Ben Arie E, Ali-Shtayeh MS, Nejmi M, Schiff E, Hassan E, Mutafoglu K, Afifi F, Jamuos RM, Lev E, Silbermann M: Integrative oncology in the Middle East: Weaving traditional and complementary medicine in supportive care. Support Care Cancer 2012;20:557–564. Namukwaya E, Leng M, Downing J, Katabira E: Cancer pain management in resource-limited settings: A practice review. Pain Res Treat 2011;393–404.) შეზღუდული მარეგულირებელი დოკუმენტევის ფონზე კი ხშირად ყურადღების მიღმა რჩება პაციენტის ცხოვრების ხარისხი და მასზე ზრუნვა მაშინ, როდესაც არსებობს მრავალი ქვეყნის გამოცდილება პაციენტზე ორიენტირებული სამედიცინო მომსახურეობის, პაციენტთა ცხოვრების ხარისხის შეფასების მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ. (Higginson I,.Sen-Gupta GJA. Place of care in advanced cancer. J Palliat Med 2004;3:287-300.Hardin SB, Yusufaly YA. Difficult end-of-life treatment decisions: do other factors trump advance directives? Arch Intern Med 2004;164:1531-3. Kite S, Jones K, Tookman A. Specialist palliative care and patients with non-cancer diagnosis: the experience of a service. Palliat Med 2001;15:413-8. Silbermann M, Shevchenko K, Eaton V: Palliative care training gains ground in Middle Eastern countries. J Palliat Care Med 2013;S3:e001.

5. ინკურაბელურ პაციენტთთა პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო სერვისი საქართველოში

საქართველოში პალიატიური მზრუნველობის განვითარება სრულად უკავშირდება სამოქალაქო სექტორს. პროცესის ინიციატორი და უპირობო ლიდერი იყო ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“. სწორედ მისი ორგანიზებით მოეწყო თბილისში 2000-2001 წლებში პირველი საერთაშორისო შეხვედრები („ვორქშოფები“) და სემინარები, სადაც გამოიკვეთა ქვეყანაში პალიატიური მზრუნველობის არსებობის აუცილებლობა. მაშინ გამოჩნდა პირველი ლიდერი ორგანიზაციები - ასოციაცია „ჰუმანისტთა კავშირი“ (ასოციაციის პრეზიდენტი, პროფ. დ. კორძაია) და კავშირი „ონკოპრევენციის ცენტრი“ (თავმჯდომარე, პროფ. რ. ღვამიჩავა), რომლებმაც პირველებმა იკისრეს სამედიცინო სერვისების უზრუნველყოფა და საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაცია (ღვამიჩავა, 2013).

პალიატიური მზრუნველობა, როგორც მიმართულება საქართველოში ლეგალური გახდა 2007 წლიდან, როდესაც საქართველოს 4 კანონში (მათ შორის კანონში "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ") შევიდა შესაბამისი დამატებები და ცვლილებები. "ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონის" მე-2 მუხლის ტ (4) პუნქტის თანახმად, პალიატიური მზრუნველობა განიმარტა როგორც აქტიური, მრავალპროფილური მზრუნველობა, რომლის უპირველესი ამოცანაა ტკივილისა და სხვა პათოლოგიური სიმპტომების მოხსნა, ავადმყოფთა სოციალური და ფსიქოლოგიური დახმარება, სულიერი თანადგომა და იგი ვრცელდება იმ პაციენტებზე, რომელთა დაავადება განკურნებას აღარ ექვემდებარება.

საქართველო შეუერთდა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ 2003 წ. 12 ნოემბერს 860-ე სხდომაზე მიღებული რეკომენდაციებს "პალიატიური მზრუნველობის ორგანიზებისათვის" (შემდგომში "ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია"). ევროსაბჭოს აღნიშნული რეკომენდაციებისა და კანონში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე ჯანდაცვის სამინისტრომ "ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში" დამოუკიდებელ კომპონენტად ჩართო ინკურაბელურ პაციენტთა როგორც ამბულატორიული, ისე სტაციონარული

პალიატიური მზრუნველობა. ამჟამად პროგრმა ხორციელდება თბილისში და საქართველოს 5 მუნიციპალიტეტში.

საქართველოში 2004 წლიდან საფუძველი ჩაეყარა პრაქტიკულ სამედიცინო მომსახურეობას - პალიატიური მზრუნველობის განვითარებას როგორც სტაციონა-რულ პირობებში, ასევე ამბულატორიულ რეჟიმში (ბინაზე):

სტაციონარული პალიატიური მზრუნველობის სამსახური – ჰოსპისი საქართველოში დაარსდა 2004 წელს - კავშირ "ონკოპრევენციის ცენტრის" მიერ 8 საწოლზე. რმეც შემდგომ გაიზარდა 18 საწოლამდე; პარალელურ რეჟიმში ასევე დაიწყო ფუნქციონირება საქართველოს საპატრიარქოს ფერიცვალების მონასტრის ჰოსპისმა, რომელიც ამ დროისათვის ფუნქციონირებდა 3 საწოლზე და ახორციელებდა მზრუნველობას ძირითადად მრევლის პაციენტებზე.

2008 წელს საქართველოს ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში გაიხსნა პალიატიური მზრუველობის განყოფილება 20 საწოლზე, ხოლო მისივე ბაზაზე 2009 წლიდან ქ-ზუგდიდში ფუნციონირება დაიწყო სტაციონარულმა სამედიცინო სერვისმა 2 საწოლზე.

2013 წელს რესტრუქტურიზაციის გამო ონკოლოგიის ნაციონალურმა ცენტრმა შეიცვალა სახელი და დაიწყო ფუნციონირება უნივერსალური სამედიცინო ცენტრის სახელით. იმდენად, რამდენადაც ეს უკანასკნელი წარმოადგენდა სახელმწიფო სტრუქტურას, განახლებული ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით გამოიკვეთა ინტერესთა კონფლიქტი ერთი და იმავე ტერიტორიაზე ანალოგიური სერვისის განმახორციელებელი სტრუქტურის არსებობის გამო (კავშირი "ონკოპრევენციის ცენტრის" მიერ ორგანიზებული - ჰოსპისი) და განხორვციელდა ერთ-ერთი „შეთავაზება" - შემოერთება უნივერსალური სამედიცინო ცენტრის შესაბამის სამსახურთან, ჰოსპისის ტერიტორიის ათვისებით, რამაც გმაოიწვია რიგი უარყოფითი ძვრები: განახევრდა საწოლთა რადენობა (საწოლთა ფონდი), შემცირდა ადამიანური რესურსი (მოხდა კვალიფიციური შრომითი რესურსის გადინება) და შეიკვეცა სერვისის მოცვა - დარჩა მხოლოდ სტაციონარული სამსახური (საქართველოში ერთადერთ სრულყოფილი პალიატიური მზრუნვეობის სერვისის განხორციელება

2008-2013 წლებში ხდებოდა ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პალიატიური მზრუნველობის სამსახურის მიერ და მოიცავდა - სტაცინარულ, ამბულატორიულ სერვისს და საკონსულტაციო სამსახურს; თუმცა ამ უკანასკნელის განვითრების მცდელობები ადრეც არსებობდა არასამთავრობო სექტორის პროექტის ანგარიშის მიხედვით, თუმცა ცენტრის არქივში ვერ მოიძევნა ვერც ერთი რეალური კვალი ან ერთეული პრაქტიკული კონსულტაციის ჩანაწერი).

დღეისათვის საქართელოში ათეულზე მეტი პალიატიური მზრუნველობის სტაციონარული სამსახურია, რომელთა საწოლთა ფონდი საერთო ჯამში 100-ს აღემატება, თუმცა დღეისათვის უცნობია განხორციელებული სერვისის ხარისხი. აღნიშნული განყოფილებები ემსახურება როგორც ონკოინკურაბელურ პაციენტებს, ისე აივ/შიდსით დაავადებულებასა და სხვა ქრონიკული ინკურაბელური არაგადამდები დაავადებებით შეპყრობილ ადამიანებს.

გასათვალისწინებელია, რომ ევროპული გამოცდილებით, ყოველ ერთ მილიონ მოსახლეზე უნდა ფუნქციონირებდეს 50 სტაციონარული პალიატიური მზრუნ-ველობის/ჰოსპისის საწოლი (მათ შორის ბავშვთა ჰოსპისი).

აქედან გამომდინარე, არსებული საწოლების რაოდენობა დაახლოებით 3-4–ჯერ ჩამოუვარდება საჭირო სტანდარტს, რაც ვერ უზრუნველყოფს სათანადო ხელმისაწვდომობას. პრობლემა უფრო მწვავედ დგას რეგიონებში, სადაც მსგავსი სამედიცინო მომსახურეობის მკვეთრი ნაკლებობაა.

ასევე აღსანიშნავია, რომ სტაციონარული პალიატიური სამედიცინო სერვისისათვის განკუთვნილი ფონდი ერთ საწოლ დღეზე გათვლილია - 75 ლარზე. ის 2005 წლიდან დღემდე არ შეცვლილა სამედიცინო სფეროში და ზოგადად სახელმ-წიფოში მრავალი გარდამავალი პერიოდისა და ქვეყანაში არსებული ინფილაციის მიუხედავად უკანასკნელი 13 წლის მანძილზე.

ზემოაღნიშნული რიგ შემთხვევაში წარმოუდგენელს ხდის ხარისხიანი პალიატიური მზრუნველობის განხორციელებას და ეჭვის ქვეშ აყემებს მის ძირითადი პრინციპის სრულფასოვნად განხორციელებას - მულტიდისცილინურობის შესახებ (ვერ ხერხდება პაციენტების კვებით უზრუნველყოფა, ვერ ხერხდება სრულფასოვანი

მულტიდისციპლინური გუნდის - ექიმი, ექთანი, კლინიკური ფარმაცევტი, სოციალური მუშაკი, ფსიქოლოგი/ფსიქიატრი და მოძღვარი განხორციელება), რის გამოც პალიატიური სერვისები შემოიფარგლება მხოლოდ სამედიცინო ასპექტებით, მით უფრო, რომ სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, თანაგადახდის პრინციპის ამოქმედება აკრძალულია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ სამწუხაროდ, საქართველოში პალიატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობის დინამიკა, ბოლო წლებში, არ არის შესწავლილი.

ამბულატორიული პალიატიური მზრუნველობის სამსახური საქართველოში დაარსდა ასოციაცია "ჰუმანისტთა კავშირი"– ს ეგიდით, 2004 წელს თავდაპირველად როგორც პილოტური პროექტის სახით, ხოლო პროექტის 1 წლიანი შედეგების განხილვის შემდეგ, 2005 წლიდან სახელმწიფო დაფინანსების ხარგლებში, გარკვეული ზრდის ტენდენციით. 2008 წლიდან რეგიონებში გადამზადებული პილოტური ჯგუფების დაკომპლექტების საფუძველზე თანამიმდევრული ზრდის ტენდენციით (2006 წერლს დაემატა ქუთაისი, 2008 წლიდან თელავი, 2011 წლიდან ზუგდიდი და ოზურგეთი). თუმცა აღსანიშნავია, რომ 2011 წლამდე ზემოაღნიშნული პროგრამა ხორციელდებოდა პრაქტიკულად პილოტირების რეჟიმში (შეზღუდულად, სახელმ-წიფო ტენდერის საფუძველზე), ხოლო 2011 წლიდან კი თბილისსა და ზემოაღნიშნულ რეგიონებში პროგრამის განხორციელება გაფართოვდა, რასაც მოჰყვა მრავალი, მათ შორის ნაკლებ და არაკომპეტენტური განმხორციელების გამოჩენა.

სწორედ ამ უკანასკნელს უკავშირდება (განსაკუთრებით თბილისში) პალიატიური მზრუნველობის ძირითადი პრინციპების უგულვენებლყოფა და რიგი არაკეთილსინდისიერი მოქმედება განსაკუთრებით ახალბედა პროვაიდერების მხიდან და პროგრამის რეალური კოლაფსი (Rukhadze, 2014).

ზემოაღნიშნული პალიატიური მზრუნველობის ამბულატორიული პროგრამა გულისხმობდა ბინაზე მყოფი უკურნებელი დაავადებით შეპყრობილი პაციენტების და მათი ოჯახების დახმარებას, რაც შემდეგი დიზაინით წარმოებდა: გუნდის მიერ პაციენტთან ხორციელდებოდა კვირაში 4 ვიზიტი: ექიმის ერთი და ექთნის სამი. აღნიშნული რეგულარობა საშუალებას იძლეოდა პაციენტები ყოფილიყვნენ

პერმანენტული მეთვალყურეობის ქვეშ, რაც მკვეთრად ამცირებდა ჰოსპიტალიზაციის შემთხვევებს. 2011 წლიდან ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემოღებულ იქნა ე.წ. არამატერიალიზებული ვაუჩერის სისტემა, რაც საშუალებას იძლეოდა ამბულა-ტორიული პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამაში ჩართულიყო საქართველოს ყველა მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებდა პროგრამით გაწერილ კრიტერიუმებს პროგრამის ხელმისაწვდომობა იზღუდებოდა მხოლოდ გეოგრაფიუ-ლი პრინციპით: იგი ხელმისაწვდომი იყო თბილისისა და საქართველოს 5 მუნიციპალიტეტისათვის (ზუგდიდი, ოზურგეთი, ქუთაისი, გორი, თელავი). პროგრამის მიხედვით ანაზღაურების ერთეული იყო ვიზიტი, რომელიც შეფასებული იყო 11 ლარად. გამომდინარე იქიდან, რომ ამბულატორიული სერვისების მიმწო-დებლებს შორის საქართველოს კანონმდებლობა არ თხოვს შესაბამისი სერტიფიკატის არსობობას, პროგრამის პროვაიდერად დაფიქსირება შეეძლო ნებისმიერ სამედიცინო დაწესებულებას. ამან განაპირობა ის, რომ 2012 წლიდან პროგრამის მიმწოდებლად დარეგისტრირდა არაერთი ამბულატორია, რომელთაც არ გააჩნდათ პალიატიური მზრუნველობის გამოცდილება და უნარ/ჩვევები. აღნიშნულმა პროცესმა გამოიწვია სახელმწიფო პროგრამაში ჩართულ პაციენტთა უკონტროლო ზრდა და პროგრამის ბიუჯეტის გარღვევა (ღვამიჩავა, 2014).

ვითარება კიდევ უფრო გაართულა 2013 წლის სახელმწიფო პროგრამის შეცვლილმა დიზაინმა; 2012 წლის პროგრამასთან შედარებით ერთეული პოზიტიური ცვლილებების ფონზე, განხორციელდა ისეთი ცვლილებებიც, რომელმაც მკვეთრად შეზღუდა პალიატიური მზრუნველობის ხელმისაწვდომობა, კერძოდ:

o ქრონიკულ ინკურაბელურ ავადმყოფთან ფინანსდება მხოლოდ ექიმის ვიზიტი, ხოლო გუნდის სხვა წევრების (განსაკუთრებით ექთნის, რომელიც პალია-ტიურ მზრუნველობაში წამყვანი ფიგურაა) პაციენტთან/ოჯახთან დამოუკიდებელ მუშაობას არალეგიტიმურად მიიჩნევს და, შესაბამისად, არ ანაზღაურებს.

o „მომსახურების მოცულობა მოიცავს თვეში არაუმეტეს 8 ვიზიტს პაციენტთან. ვიზიტები დაფიქსირებული და დასაბუთებული უნდა იყოს სამედიცინო დოკუმენტაციაში ექიმის შესაბამისი ჩანაწერით“. აღნიშნული ჩანაწერი არა მარტო

ზღუდავს ვიზიტების რაოდენობას, რაც, ერთი მხრივ, ზღუდავს ხარისხიანი პალიატიური მზრუნველობის მიწოდების მოცულობას, მეორე მხრივ აკანონებს ექიმის დომინანტურ როლს, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება პალიატიური მზრუნველობის მულტიდისციპლინური გუნდის მუშაობის ფუნდამენტურ პრინციპს – ყველა წევრის თანასწორობას.

ο „მოსარგებლეს მე3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მომსახურება მიეწოდება არაუმეტეს 6 თვის ვადით. პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამაში ჩართვისათვის ოპტიმალურ დროს განსაზღვრავს პალიატიური მზრუნველობის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება“. აღნიშნულ პუნქტში ორი თეზაა.

1-ლი, სავარაუდოდ ეფუძნება პალიატიური მზრუნველობის კონტინგენტის შერჩევის ერთ–ერთ გავრცელებულ კრიტერიუმს: „პაციენტის სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა უნდა იყოს 6 თვე ან ნაკლები“ (კორძაია და თანავტ, 2008; ღვამიჩავა, 2014; რუხაძე 2015).

ეს კრიტერიუმი აშშ–ს სახელმწიფო სადაზღვევო კომპანია “medicare”–ის რეგულაციებიდან გავრცელდა მსოფლიოს ბევრი ქვეყნის პალიატიური მზრუნველობის პროგრამებში (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სადაზღვევო კომპანიების მიერ დაფინანსებულში).

ამასთანავე, თავად “medicare”–ის მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო, ახსნა–განმარტებით წერილში, რომელიც მიზნად ისახავს პაციენტებისა და სამედიცინო პერსონალის დაცვას ზედმეტად მკაცრი მარეგულირებლებისაგან, ვკითხულობთ:

„არასწორად გავრცელებული წარმოდგენა, რომ ჰოსპისური მზრუნველობა რაიმე ფორმით გარანტირებულად ადასტურებს, რომ პაციენტს დარჩენილი აქვს 6 თვეზე ნაკლები სიცოცხლე. ამ საკითხთან მიმართებაში შემაჯამებელი პასუხი არის – არა. კომპლექსური პასუხი კი შემდეგია: “ჰოსპისური მზრუნველობა ფარავს დროის შერჩეულ, სპეციფიკურ პერიოდებს, რომელიც ცნობილია, როგორც არჩევის პერიოდები. თავიდან ექიმი არჩევს პაციენტს, რომელთა პროგნოზი ტერმინალურია, ჰოსპისური ზრუნვისათვის ორი პირველადი 90-დღიანი არჩევის პერიოდით,

რომელსაც შეიძლება მოსდევდეს შეუზღუდავი რაოდენობით 60-დღიანი არჩევის პერიოდები. აღიარებს რა, რომ პროგნოზი არ შეიძლება იყოს ზუსტი და შესაძლოა შეიცვალოს, Medicare თვლის, რომ ჰოსპისური ზრუნვა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მუდმივად, სანამ პაციენტის პროგნოზი ეხმიანება ტესტს: "სიცოცხლის ხანგრძლივობის 6 თვე და ნაკლები" (ღვამიჩავა, 2014; რუხაძე 2015).

ამასთან, ფრაზა - „პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და პროგრამის მოთხოვნათა გათვალისწინებით, პროგრამაში ჩართვისათვის ოპტიმალურ დროს განსაზღვრავს პალიატიური მზრუნველობის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება" ცხადია, გასათვალისწინებელია ამასთანავე, გამოცდილება გვიჩვენა, რომ შემოწმებისას აბსოლუტურად არ ხდება პაციენტის/ოჯახის წევრთა ინტერესები სა და სერვისების მიმწოდებლების არგუმენტების გათვალისწინება მაშინ, როცა ხდება „პროგრამის" ზოგიერთი ჩანაწერის ცალსახა ინტერპრეტაცია. აღნიშნული არც თუ იშვიათად ხორციელდება შემდეგი სცენარით - სერვისის განმხორციელებელი ცდილობს რაც შეიძლება გვიან ჩართოს პაციენტები სახელმწიფო მომსახურეობის პროგრამაში, როდესაც არა ტერმინალური დაავადება, არამედ პრაქტიკულად პაციენტის ტერმინალური სტადია (პრეკომა, კომა, ტერმინალური მდგომარეობა). შესაბამისად, მართალია, მკვეთრად შემცირდება სერვისის მიწოდების ხანგრძლივობა და სახელმწიფო პროგრამის ხარჯი, მაგრამ კიდევ უფრო შემცირდება პროგრამის ხელმისაწვდომობა, ეფექტურობა და პალიატიური მზრუნველობის ძირითადი მიზნების (რაც შეიძლება დიდხანს უზრუნველყოს ავადმყოფის აქტიური ცხოვრების წესი, უზრუნველყოს პაციენტის სიცოცხლის მაქსიმალურად მისაღწევი ხარისხი და, ამასთანავე, გარკვეულწილად დადებითად იმოქმედოს ავადმყოფობის მიმდინარეობაზე) მიუღწეველი დარჩება. (არადა, ეს მიზნებიც სწორედ იმ დოკუმენტშია მოცემული, რომლითაც ზემოაღნიშნული „6 თვე" დაკანონდა) (ღვამიჩავა, 2014).

6. <u>ინკურაბელურ პაციენტთა სამედიცინო საჭიროებებისა და სერვისების მნიშვნელობის თაობაზე პალიატიური მზრუნველობის პროგრამების გაუმჯობესებისათვის</u>

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზისა და მარეგულირებელი დოკუ-მენტების მიხედვით, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ტ'' ქვეპუნქტის თანახმად, პალიატიური მზრუნველობა არის პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ნაწილი. ამავე მუხლის „ყ'' ქვეპუნქტი პალიატიური მზრუნ-ველობის ღონისძიებების შეუფერხებელ განხორციელებას მოიაზრებას სამედიცინო დახმარების უწყვეტობის ნაწილად, ხოლო „ჩ1'' ქვეპუნქტის თანახმად, პალიატიურ მზრუნველობასთან დაკავშირებული საქმიანობა წარმოადგენს სამედიცინო საქმიანო-ბას (სამედიცინო მომსახურებას) და ხორციელდება დადგენილი წესით.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N 157/ნ (2008 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი)-ის მიხედვით დადგენილია - ,,ინსტრუქცია ქრონიკული ინკურაბელური დაავადებით შეპყრობილი პირების პალიატიური მზრუნველობით უზრუნველყოფის შესახებ", რომლის თანახმადაც (მუხლი 2). პალიატიური მზრუნველობის არსი და ამოცანები განსაზღვრულია და მოიცავს: „პალიატიური მზრუნველობა გამოყენებულ უნდა იქნას ნებისმიერი ქრონიკული (საბოლოო ანგარიშით) უკურნებელი დაავადების შემთხვევაში. პალიატიური მზრუნველობის მნიშვნელოვანი ამოცანაა ტკივილის მოხსნა''.

ამასთან, პალიატიური მზრუნველობის არსი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით მოიცავს: "ა) ამკვიდრებს ბოლომდე ღირსეული სიცოცხლის ფილოსოფიას, ამასთანავე ნორმალურ კანონზომიერ პროცესად მიიჩნევს სიკვდილს; ბ) ისწრაფვის, რაც შეიძლება დიდხანს უზრუნველყოს ავადმყოფის აქტიური ცხოვრების წესი; გ)სთავაზობს დახმარებას პაციენტის ოჯახს ავადმყოფობის მძიმე პერიოდში და ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას უცხადებს ახლობელი ადამიანის დაკარგვის გამო; მიმართავს მრავალმხრივ პროფესიონალურ (ინტერ-დისციპლინურ) მიდგომას პაციენტისა და მისი ოჯახის ყველა მოთხოვნილების დასაკმა-ყოფილებლად; დ) ახდენს ადეკვატურ გაუტკივარებას და სხვა ფიზიკური სიმპტომების მოხსნას; აუმჯობესებს პაციენტის ცხოვრების ხარისხს და, ამასთანავე, გარკვეულწილად დადებითად მოქმედებს ავადმყოფობის მიმდინარეობაზე''.

იგივე მარეგულირებელი დოკუმენტით განისაზღვრება პაციენტის სახელმწიფოში არსებული სამედიცინო სერვისებით სარგებლობა. დოკუმენტის მიხედვით: ავადმყოფს პალიატიური მზრუნველობა უნდა გაეწიოს უკურნებელი დაავადების დიაგნოზის დასმისთანავე. რაც უფრო ადრე და სწორად იქნება ორგანიზებული და გაწეული ეს დახმარება, მით მეტია ალბათობა, რომ განვახორციელებთ დასახულ ამოცანას _ მივაღწევთ ავადმყოფისა და მისი ოჯახის ცხოვრების ხარისხის მაქსიმალურად შესაძლებელ გაუმჯობესებას. ამასთან, იგივე დოკუმენტის იგივე მუხლის შემდეგ პუნქტში მითითებულია, რომ პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე შესაძლებელია იყოს - ავადმყოფების სამი ძირითადი ჯგუფი, რომელთაც სიცოცხლის დასასრულს სპეციალიზებული პალიატიური მზრუნველობა ესაჭიროებათ:

ა) მე-4 სტადიის ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულნი;

ბ) ტერმინალურ სტადიაში მყოფი შიდსით დაავადებულნი;

გ) არაონკოლოგიური ქრონიკული მოპროგრესე სენით დაავადებულნი ტერმინალურ სტადიაში (გულის, ფილტვების დეკომპენსაციის, ღვიძლისა და თირკმლების უკმარისობის სტადიები, გაფანტული სკლეროზი, თავის ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევების მძიმე შედეგები და სხვ.).

ამავე დოკუემენტში ასევე განსაზღვრულია პალიატიური მზრუნველობისათვის პაციენტთა შერჩევის კრიტერიუმები:

ა) სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობა არა უმეტეს 3-6 თვისა;

ბ) შემდგომი მკურნალობის ნებისმიერი მცდელობის მიზანშეუწონლობა (სპეციალისტების მტკიცე რწმენის გათვალისწინებით, რომ დიაგნოზი სწორადაა დასმული);

გ) ავადმყოფის ისეთი ჩივილები და სიმპტომები, რომლებიც სიმპტომური თერაპიისა და მოვლისათვის სპეციალურ ცოდნასა და უნარს საჭიროებს.

სამწუხაროდ, ამავე დოკუმენტში ასევე მოწოდებულია, რომ IV კლინიკური ჯგუფის ონკოლოგიური ავადმყოფებისათვის ტკივილის დაუყოვნებელი მოხსნის აუცილებლობა ნაკარნახებია სამედიცინო და დეონტოლოგიური მოსაზრებებით: თუ ავადმყოფის სიცოცხლის გადარჩენა ყოველთვის არაა შესაძლებელი, ტკივილის მოხსნა, ტანჯვის შემსუბუქება ყოველთვის შეიძლება და უნდა განხორციელდეს, ნათქვამია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში N 157/ნ (2008 წლის 10 ივლისი ქ. თბილისი) - მუხლი 12.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, სხვადასხვა ქვეყნების მაგალითების გათვალისწინებით ჰოსპისურ მომსახურებაზე ბენეფიციართა ჩართვის კრიტერიუმები თვისობრივად შეიძლება ითქვას ანალოგიურია, თუმცა ასევე შეინიშნება მცირედი განსხვავებები, რომელიც სპეციფიურია კლინიკური კუთხით.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც პაციენტი საჭიროებს პალიატიურ მზრუნველობას/ჰოსპისურ მომსახურებას ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ბენეფიციარი უნდა იყოს დიაგნოსტიებული როგორც ტერმინალური მდგომარეობის პაციენტი, რომელიც პროგნოზირებს 6 თვეზე ნაკლებ მოსალოდნელ სიცოცხლის ხანგრძლივობას.

საერთაშორისო პრაქტიკაში ადაპტირებულია სპეციალური გზამკვლევები, რომელიც განსაზღვრავს საჭიროების დადგენის და მომსახურების მიწოდების სქემას არსებობს ოთხ კატეგორიად დაყოფილი შეფასების კრიტერიუმი, რომელიც განსაზღვრავს პედიატრიულ პრაქტიკაში პალიატიური ან/და ჰოსპისური მომსახურების მიწოდების სქემას.

დიაგრამა #2

(ლებანიძე და თანავტ., 2015).

მომსახურების მიწოდების გზამკვლევში ასევე წარმოდგენილია სამდონიანი/-ეტაპიანი სტანდარტი, რომელიც აყალიბებს საფეხურეობრივ მიდგომას პალიატიური მზრუნველობის განხორციელებისათვის:

დიაგრამა #3



(ლებანიძე და თანავტ., 2015).

ზემოაღნიშნულში, პირველი სტანდარტი ქარმოდგენილია - მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაზიარებით - ოჯახის ყველა წევრმა სრულყოფილად უნდა მიიღოს ინფორმაცია პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ასევე სრულყოფილად უნდა ფლობდნენ ინფორმაციას რისკების და სიცოცხლის მოსალოდნელი პროგნოზის შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება სასურველია განხორციელდეს პირისპირ კომუნიკაციის მეშვეობით და ინფორმაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს პატივისცემის, ღირსების, გულწრფელობის და მგრძნობელობის კრიტერიუმების დაცვით.

მეორე სტანდარტი მოიცავს - ინფორმაციის გაზიარებას - პაციენტის ოჯახის წევრებთან შეთანხმებული უნდა იყოს ინფორმაციის გაზიარების/ცირკულირების

საკითხი, რომელიც იწარმოებს სამედიცინო დაწესებულებებს შორის რეფერალის ან/და სხვა კლინიკური საჭიროების შემთხვევაში;

მესამე სტანდარტში წარმოდგენილია -მულტიდისციპლინური შეფასების საჭიროება - ოჯახის წევრებს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რომ პაციენტისათვის მიწოდებული იქნება ყველა აუცილებელი, მულტიდისციპლინური სერვისები შესაძლებლად მოკლე ვადებში, მას შემდეგ რაც დიაგნოზი და მომსახურების მიწოდების საჭიროება დადგენილია;

მეოთხე სტანდარტი წარმოდგენილია - ზრუნვის გეგმით, რაც გულისხმობს მულტიდისციპლინურ მიდგომაზე დაყრდნობით ყველა ტიპის სერვისის მიწოდებასა და ორგანიზებას, როგორც პაციენტისათვის ასევე მისი ოჯახის ყველა წევრისათვის, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ოჯახის წევრთა და პაციენტის სამედიცინო და არასამედიცინო საჭიროებები.

მეხუთე სტანდარტი წარმოდაგენს სიცოცხლის დასასრულის ზრუნვის გეგმას - გულისხმობს გარდაცვალების პროცესისადმი ოჯახის წევრების მზადებას და მათ მხარდაჭერას გარდაცვალებამდე და მის შემდეგ, რომელიც ასევე ითვალისწინებს პაციენტის ოჯახის წევრებთან კომუნიკაციის გაგრძელებას და გარდაცვლილი პაციენტის სხეულზე ზრუნვას.

მეექვსე სტანდარტში კი მოცემულია გლოვის მხარდაჭერა - გულისხმობს გარდაცვალების შემდეგ პაციენტის ოჯახის წევრებთან, და განსაკუთღებით მშობლებთან კომუნიკაციის გაგრძელებას დროის გარკვეულ პერიოდში (Hospice Admission Criteria For Cancer and Non-Cancer Diagnoses - https://www.hospicegso.org).

გრინსბორის ჰოსპისისა და პალიატიური ზრუნვის ცენტრი განსაზღვრავს ჰოსპისში პაციენტის ჩართვის კრიტერიუმებს, რომელიც დაჯგუფებულია სიმსივნური და არასიმსივნური დიაგნოზებით. ჰოსპისში მოთავსების კრიტერიუმები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

1. ტერმინალური მდგომარეობის დიაგნოზი ან მასთან დაკავშირებული მდგომარეობა, სხვა მნიშვნელოვანი ავადობა და სამედიცინო ჩვენება;

2. ახლო წარსულში ხშირი მიმართვიანობა ჰოსპიტალში და ახალი სიმპტომების გამოვლენა და ცვლილება ჯანმრთელობის მდგომარეობაში;

3. ფუნქციური შეფასება: ფუნქციური შეფასების შკალა (იხილეთ ცხრილი);

a. დამოუკიდებელი სიცოცხლის/ცხოვრების ხარისხი და ცვლილება;

b. გასული კვირის ან/და თვეების განმავლობაში ფუნქციების დაკარგვა;

c. რიგიდობა, სისუსტე, დაცემა (ლოკალური ან ზოგადი);

d. მეტყველების ცვლილება;

e. დისფაგია:

f. დიეტა (კვებითი ხელშეწყობა)

g. ასპირაციის ნიშნები ან სალივაცია/ჰიპერსალივაცია;

4. სტრუქტურული შეფასება:

a. დეკუბიტური (წყლულები და მისი ხარისხი);

b. კონტრაქტურა და რიგიდობა;

c. კახექსია,

d. განლების სინდრომი

e. გადაადგილების შეზღუდულობა

5. კოგნიტური (შემეცნებითი) შეფასება

a. საერთო ფსიქიკური ფუნქცია;

b. მეხსიერების,

c. ემოციური ან აღქმის ფუნქციები,

d. მოტორული ან სენსორული აფაზია / ან ინტეგრაციული მეტუველების ფუნქციები

e. მეტყველების ფუნქცია

6. კვებითი/ნუტრიციული შეფასება

a. წონა და წონის ცვლილება ბოლო კვირის / თვის განმავლობაში, ბუნებრივი გზით მიღებული საკვების %,

b. დისფაგიით გამოწვეული კალორაჟის ცვლილება დღის რაციონში

c. ალბუმინი ან პრეალბუმინი, რომელიც განპირობებულია კალორიულობით

7. გარემოზე ცვლილება

a. სხვა/ახალი დამხმარე საშუალებების გამოყენება (DME)

8. მკურნალობის გეგმა

a. TPN პარენტერალური კვება

b. კვება ზონდით

c. VAC სისტემა

d. პეროლალური ან ინტრავენული ქიმიოთერაპია;

e. სხივური თერაპია (განხორციელებული X რაოდენობით)

f. თორაკოცენტეზი;

g. პარაცენტეზი

h. ქირურგიული მანიპულაციები/პროცედურები;

i. სისხლის და სისხლის კომპონენტების ტრანსფუზია;

j. კვლევები, როგორიცაა MRI, CT, PET და სხვა მაღალტექნოლოგიური კვლევები

9. არაკონტროლირებადი/უნებლიე სიმპტომები, რომლის გამოც აუცილებელია დაუყოვნებლივი კლინიკური ან/და მედიკამენტოზური ჩარევაა.

Providence Hospice and Palliative Care პუბლიკაციაში მოცემულია პალიატიური მომსახურების მიწოდების შეფასების შკალის (PPS) განახლებული მეორე ვერსია (Tools and Guidelines for determining eligibility for hospice - http://www2.providence.org/Pages/default.aspx).

ცხრილი 1

PPS ხარისხი	დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი	აქტივობა ან დაავადების გამოვლინება	თვითზრუნვა	კვება	ცნობიერება/ადექვატურობა
70%	შეზღუდული	ნორმალური აქტივობის / მუშაობის შეზღუდვა	სრულად	ნორმალური ან შეზღუდული	ცნობიერება ნათელი
60%	შეზღუდული	საშინაო საქმეების შეუძლებლობა, გამოხატული ავადობა	პერიოდული დახმარების საჭიროება	ნორმალური ან შეზღუდული	ცნობიერება ნათელი ან დაბინდული (არეული)
50%	ძირითადად მჯდომარე ან მწოლიარე მდგომარეობაში	ნებისმიერი სახის სამუშაოს შესრულების შეუძლებლობა, მკვეთრად გამოხატული ავადობა	საჭიროებს მნიშვნელოვან დახმარებას	ნორმალური ან შეზღუდული	ცნობიერება ნათელი ან დაბინდული (არეული)
40%	მჯდომარე ან მწოლიარე მდგომარეობაში	ზოგიერთი აქტივობის შეუძლებლობა, გამოხატული ავადობა	ძირითადად ან უმთავრესად საჭიროებს დახმარებას	ნორმალური ან შეზღუდული	ცნობიერების დონე დაქვეითებული ან ძილიანობა +/- დაბინდულობა
30%	საწოლს მიჯაჭვული	ნებისმიერი აქტივობის შეუძლებლობა, გამოხატული ავადობა	სრული ზრუნვის საჭიროება	ნორმალური ან შეზღუდული	ცნობიერება: ნათელი ან დაქვეითებული (ძილიანია) +/- არეული
20%	საწოლს მიჯაჭვული	ნებისმიერი აქტივობის შეუძლებლობა, გამოხატული ავადობა	სრული ზრუნვის საჭიროება	კვება მინიმალური ან მხოლოდ ყლუპების საშუალებით	ცნობიერება: ნათელი ან დაქვეითებული (ძილიანია) +/- არეული
10%	საწოლს მიჯაჭვული	ნებისმიერი აქტივობის შეუძლებლობა, გამოხატული ავადობა	სრული ზრუნვის საჭიროება	პირის ღრუს მოვლა	ცნობიერება: დაქვეითებული (ძილიანი) ან კომა = +/- არეული
0%	გარდაცვალება				

Providence Hospice and Palliative Care პუბლიკაციაში დეტალურად მოცემულია ჰოსპისურ მომსახურებაზე პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები. აღნიშნული გზამკვლევი განსაზღრავს ისეთ საბაზისო სპეციფიურ ჩართვის კრიტერიუმებს /გზამკვლევს, რომელიც არ არის სპეციფიურად მიბმული რომელიმე კონკრეტულ

ავადობაზე (Tools and Guidelines for determining eligibility for hospice www.providence.org) .

1. ფიზიოლოგიური სისუსტე ან ფუნქციური სტატუსის ფიზიოლოგიური დარღვევა რომელიც გამოხატულია:

a. პალიატიური მომსახურების მიწოდების შკალა (PPS) <70% (გასათვალისწინებელია, რომ აივ/ინფექცია შიდსის, ინსულტის ან კომის გზამკვლევი გამოხატულია ნაკლები PPS შკალით)

2. ყოველდღიური ცხოვრების 2 ან მეტ აქტიობაზე დახმარების საჭიროება:

a. დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი

b. ფიზიოლოგიური შეუკავებლობა - (უნებლიე ურინაცია და დეფეკაცია) კონტროლი (შარდ სასქესო და კუჭის მოქმედების ფუნქციებზე);

c. მოძრაობა,

d. ჩაცმა

e. კვება

f. დაბანა (ჰიგიენური პროცედურები)

3. თანმხლევი დაავადებები- რომლებიც მართალია არ წარმოადგენენ ჰოსპისში მომართვის პირველად დიაგნოზს, თუმცა მათი არსებობა და სიმძიმის ხარისხი განაპირობებს სოცოცხლის ხანგრძლივობის შეზღუდვას 6 თვით ან ნაკლებით:

a. ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადებები

b. გულის უკმარისობა

c. გულის იშემიური დაავადება

d. დიაბეტი

e. ნევროლოგიური ავადმყოფობები

f. თირკმლის უკმარისობა

g. ღვიძლის დაავადებები

h. სიმსივნეები/ნეოპლაზია/ახალწარმონაქმნები

i. აივ/ინფექცია შიდსი

j. დემენცია

k. აუტოიმუნური დაავადებები (მგლურა და რევმატული ართრიტი)

l. მკურნალობას რეფრაქტორული/დაუქვემდებარებელი

ავადობის პროგრესირება ასევე შეიძლება განპირობებული იყოს:

1. კლინიკური მდგომარეობა:

o მორეციდივე ინფექციები (მაგ: პნევმონია, სეფსისი, პიელონეფრიტი)

o პროგრესირებადი შეუკავებლობით

 6 თვეზე ნაკლებ პერიოდში სხეულის მასის >/=10% -ზე მეტით დაკარგავ/ დაკლება

 პროგრესირებადი სისუსტე

 ანთროფომორფულიზომები (მაგალითად: წინა მხრის, წელის და გულმკერდის გარშემოწირულობა

 ტურგორის დაქვეითება, კანის ნაოჭები, დაკვირვება სხეულის ზომებზე (ჩამოკიდებული ტანსაცმელი),

 შრატში ალბუმინის და ქოლესტეროლის დაბალი დონე

 ყლაპვის გაძნელება, რომელიც განაპირობებს გამნეორებით გადაცდენებს და საკვების არასაკამრის მიღებას ბუნებრივი კვების გზით

2. სიმპტომების გაუარესება

o ტკივილი, რომელიც საჭიროებს ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი საშუალებების დოზის ზრდას ხანგრძლივი დროით.

o გულისრევა/ ღებინება, რომლებიც ნაკლებად ემორჩილება ღებინებას;

o უწყვეტი, ძნელად სამკურნალო დიარეა

o დისპნეა, სუნთქვის სიხშირის მომატებით;

o არაკონტროლირებადი ხველა

3. ნიშნები

o ჰიპოტენზია (<90mmHg და ორთოსტატიკური) ჰიპოტენზია;

o პერიკარდიალური ან პლევრალური გამონაჟონი;

o ადგილობრივი პროგრესირებით ან მეტასტაზური დაზიანებით გამოწვეული ვენური, არტერიული ან ლიმფური ობსტრუქცია/ზეწოლა;

o შეშუპება და ასციტი;

o სისუსტე, ცნობიერების დონის შეცვლა;

4. ლაბორატორიული კვლევები

o ალბუმინის დონის შემცირება;

o ნატრიუმის დონის პროგრესული ზრდა ან კლება პლაზმაში +-;

o პლაზმაში კალიუმის გაზრდა;

o გაზრდილი კალციუმის, კრეატინინის და ღვიძლის ფუნცია;

o გაზრდილი pc02, P02 შემცირება, ან Sa02 შემცირება;

o სიმსივნური მარკერების მომატება

5. ცვლილება ფუნქციურ სტატუსში

o PPS ქულის/შკალის შემცირება; დემენციის ფუნქციური შეფასების შკალის (FAST) პროგრესული შემცირება (7A დან - FAST); დეკუბიტური წყლულების პროგრესირება 3-4 სტადიაზე/ხარისხზე); ჰოსპისში მიმართვამდე, ჰოსპისში პირველად დასმულ დიაგნოზთან დაკავშირებული, (ასოცირებული) გახშირებული ექიმის ვიზიტები, ჰოსპიტალიზაცია, გადაუდებელი სასწრაფო მომსახურეობა.

ამ ინსტრუქციის მიხედვით, შესაბამისი სამედიცინო მომსახურეობის მისაღებად მოსარგებლეთა ჩართვის კრიტერიუმები წარმოდგენილია ონკოინკურაბელური პაციენტებისათვის, რომელშიც ასევე გათვალისწინებულია პირველადი და მეორეული კრიტერიუმები, რომელიც მნიშვნელოვანია პაციენტის ჰოსპისურ სერვისებზე მოსარგებლედ შეფასების მიზნებისათვის.

ცხრილი #2

სიმსივნური დიაგნოზები	
პირველადი კრიტერიუმები	პაციენტები ითვლებიან დაავადების ტერმინალურ სტადიაში თუ მათ აღენიშნებათ: 1. შორეული მეტასტაზები 2. დაავადების ადრეული სტადიიდან პროგრესირება მეტასტაზურ დაავადებამდე: ა. მდგომარეობის უწყვეტი (მუდმივი) გაურესება მკურნალობის მიუხედავად ბ. პაციენტი უარს ამბობს დავადებისთვის სპეციფიურ (მიზამმიმართულ) მკურნალობაზე
მეორეული კრიტერიუმები	შენიშვნა: ზოგიერთი სიმსივნური დაავადებისათვის, რომელთაც ახასიათებთ ცუდი გამოსავალი/პროგნოზი (მაგ: წვრილუჯრედოვანი ფილტვის სიმსივნე, ტვინის სიმსივნე და პანკრეასის სიმსივნე) იყვნენ ჰოსპისის პროგრამით მოსარგებლენი, მიუხედავად იმისა რომ შეიძლება ვერ აკმაყოფილებდნენ ამ სექციაში მოყვანილ ჩართვის კრიტერიუმებს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული საერთაშორისო კვლევების, მსოფლიოში დაგროვილი პალიატიური მზრუნველობის სხვადასხვა მოდელისა და სტანდარტის ანალიზის დიდი გამოცდილებისა, ვერ ხერხდება ისეთი უნიფიკაციური მიდგომის (თეორიის) გამოყოფა, რომელიც სტანდარტულად იქნებოდა გამოყენებული

პაცინეტთა მდგომარეობის შეფასების, მათი საჭიროებების განსაზღვრის და უნიფიცირებული ხარისხიანი სამედიცინო მომსახურეიბოს შეფასებისათვის, რასაც დაეფუძნებოდა პალიატიური მზრუნველობის სრულყოფილი სამედიცინო მომსახურეობის დაგეგმვა (შესაბამისი ინტერვენციების დიზაინი) პაციენტთათვის და მათი ოჯახის წევრებისთვის, და ასევე, მათი განხორციელების შეფასება.

პალიატიური მზრუნველობის თავისებურებათა ამ თვალსაზრისით გაანალიზება მიუთითებს, რომ მისი საბოლოო მიზანი - ბოლომდე ღირსეული ცხოვრება - სხვა არაფერია, თუ არა პაციენტის თვითაქტუალიზაციისა და ტრანსცენდენტულობის უზრუნველყოფის ხელშეწყობა სიცოცხლის მიწურულს.

ამასთან, პალიატიური მზრუნველობა ამას ახერხებს (ანხორციელებს) პაციენტის სხვადასხვა დონის მოთხოვნილებათა და საჭიროებათა თანმიმდევრული დაკმაყოფილებით შესაძლებლობის ფარგლებში: დაავადების მტანჯველი სიმპტომების მოხსნით და ძირითადი ფიზიოლოგიური ფუნქციების შესრულების უზრუნველყოფით, ტკივილის ტოტალური ხასიათის - ფიზიკური, სოციალური, ემოციური და სულიერი - გააზრებით (აღიარებით) და მართვით, აქტიური კომუნიკაციით, სიკვდილის დე-ტაბუირებით, სულიერი და ფსიქოლოგიური მხარდაჭერით (ჩიხლაძე, 2016).

როგორც ადრეც აღინიშნა, პალიატიური მზრუნველობის მთავარ მიზანს წარმოადგენს არა მხოლოდ მტანჯველი სიმპტომების მართვა და ტკივილის დაყუჩება, არამედ პაციენტების ფსიქოლოგიური, მორალური და სულიერი მხარდაჭერა.

სამწუხაროდ, ხშირად, პალიატიური მზრუნველობა შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური სიმპტომების კონტროლითდა ნაკლებად ითვალისწინებს პაციენტის რეალური სურვილებსა და დამოკიდებულებებს.

ამდენად, აღმოჩნდება, რომ მზრუნველობა მიმართულია მხოლოდ ადამიანის ბაზისური საჭიროებების და არა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ. ეს, ერთი მხრივ, გამოწვეულია პაციენტსა და ექიმს შორის არასათანადო კომუნიკაციით (ექიმი არ ახდენს, ან ვერ ახერხებს, პაციენტის სურვილებისა და მოთოვნილებების ზუსტად გაანალიზებას), ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოდ, სიცოცხლის მიწურულს პაციენტთა საჭიროებების და მოთხოვნილებების არასათანადოდ შესწავლასა და კვლევასთან, გარკვევა, რაც ხელს უშლის პაციენტთა სურვილების დაკმაყოფილებას და მათთვის მაქსიმალურად შესაძლო კომფორტული გარემოს შექმნის მიღწევას (Care P., 1999; Heyland DK., et al 2006).

<u>მასალა და მეთოდები</u>

ნაშრომში წარმოადგენს პროსპექტულ კვლევას, რომლებშიც გამოყენებულია ანკეტური გამოკითხვა, სამედიცინო დოკუმენტაციისა და ისტორიების ანალიზი.

მეთოდების ასეთი კომპლექსის გამოყენება მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ჩვენს მიერ იდენტიფიცირებული ორი განსხვავებული მოდების წერტილის მქონე ამოცანის გადაწყვეტისათვის.

კვლევის მასალა წრამოდგენილია პალიატიური მზრუნველობის სახელმწიფო პროგრამის ბენეფიცირებით, რომლებიც შესაბამის (როგორც სტაციონარულ, ასევე ამბულატორიულ) სამედიცინო სერვისს იღებდნენ ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის პალიატიური მზურნველობის სამსახურში, ასევე საქართველოს პალიატიუ-რი მზრუნველობის ეროვნულ აკადემიაში - საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პრაქტიკულ ცენტრში 2011- 2013 წლებში.

განვიხილოთ საკვლევი მასალა და კვლევის მეთოდები ამოცანების მიხედვით:

<u>ამოცანა 1:</u>

ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილ პაციენტთა ამბულატორიული მომსხურეობის დროს მათი ჩივილების, პრობლემებისა და სამედიცინო საჭიროებების გამოკვლევა, შეფასება და ანალიზი;

<u>ამოცანა 2:</u>

პაციენტთა შესაბამისი სამედიცინო სერვისების, მომსახურეობის მოცულობის, ხანგრძლივობის ანალიზი და ადეკვატური მკურნალობის ხელმისაწვდომობის შეფასება მათთვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების საფუძველზე;

კვლევაში ჩართვისა და ამორთვის კრიტერიუმები ორივე საკითხის განხილვისათვის იყო იგივე.

<u>კვლევაში ჩართვის კრიტერიუმები:</u>

1. ინკურაბელური პაციენტები ონკოლოგიური დიაგნოზით (სოლიდური და ჰემატოლოგიური დიაგნოზებით), რომელთა ინკურაბელობა შეფასებულ და დადასტურებულ იქნა ონკოლოგის მიერ (დადგენილ იქნა მე-4 კლინიკური ჯგუფი);

2. ინკურაბელური პაციენტები ონკოლოგიური დიაგნოზით, რომელთაც მიმართაც ხორციელდებოდა პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო სერვისი ამბოლატორიულ პირობებში.

<u>კვლევიდან ამორიცხვის კრიტერიუმები:</u>

1. ინკურაბელური პაციენტები არაონკოლოგიური დიაგნოზებით;
2. ინკურაბლური პაციენტები, რომელთა მიმართაც ხორციელდებოდა პალიატიური მზრუნველობა ამბულატორიულ რეჟიმში და არ იყო შეფასებული არასამედიცინო პრობლემები თუ მათი საჭიროებები;
3. ინკურაბელური პაციენტები რომელთა მიმართაც ხორციელდებოდა პალიატიური მზრუნველობა ამბულატორიულ რეჟიმში და ხანგრძლივობა აღემატებოდა 12 თვეს.

პაციენტთა დემოგრაფიული, სამედიცინო და სხვა დამატებითი მონაცემები შეკრებილ იქნა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციის (ამბულატორიული ბარათები და სამედიცინო ჩავაწერები), ასევე პალიატიური მზრუნველობის სერვისის მიღებამდე და მიმდინარეობისას წარმოდგენილი ფორმა N100- ის საფუძველზე.

<u>კვლევის ინსტრუმენტი</u>

კვლევის ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე შეირჩა 161 პალიატიური პაციენტი, რომელთაგან 86 (53,4%) იყო ქალი და 75 (46,6%) კაცი. პაციენტთა 119 (73,9%) პაციენტს აღენიშნებოდა სოლიდური სიმსივნეების დიაგნოზი, 27 (16,8 %) ონკო ჰემატოლოგიური დაავადებები, ხოლო 15 (9,3%) ცენტრალური ნერვული სისტემის პირველადი სიმსივნეების დიაგნოზი.

პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები როგორც აღინიშნა ფასდებოდა პაციენტთა ხელთ არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით (ფორმა #100), რაც იძლეოდა ინფორმაციას პაციენტის დიაგნოზის (სტადიურობის, კლინიკური ჯგუფის), დაავადების მიმდინარეობის, ჩატარებული მკურნალობოს შესახებ. არც თუ იშვიათად პაციენტის ხელთ არსებული დოკუმენტიაციის ხანდაზმულობის გამო

მასში აღწერილი პაციენტის მდგომარეობა არ შეესაბამებოდა პაციენტის მიმდინარე ჩივილებს, პრობლემებსა და მდგომარეობას და იყო უფრო მეტად მძიმე.

პაციენტთა არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის და პალიატიური მზრუნველობის პროგრამაში ჩართვის შემდეგ ამბულატორიული თუ სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის, პაციენტთა დამატებითი გამოკითხვისა და შემუ-შავებული კითხვარის მიხედვით შექმნილ იქნა მოცემთა ბაზა, რომელშიც შეტანილ იქნა: პაციენტთა 41 ჩივილი და 6 სხვადასხვა მდგომარეობა.

შეფასებულ იქნა პაციენტთა ჩივილები მზრუნველობის დაწყებამდე (ჩართვის დროს) და მზრუნველობის განმავლობაში. ასევე შეფასდა მზუნველობის ხანგრძივობა. ჩატარდა ჯვარედინ სექციური კვლევა (Cross-Sectional study).

მონაცემთა ბაზაში სამედიცინო პრობლემებთან ერთად შეფასებული და შეტანილ იქნა პაციენტთა სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები, მზუნველ პირებთან დაკავშირებული პრობლემები და სიძნელეები კლინიკურ ჯგუფთან მიმართებაში, გარკვეული პრობლემები ოპიოიდების დანიშვნისას, გამოწერისას, ოპიოიდების ტაბლეტირებული ფორმების ხელმიმსაწვდომობასთან დაკავშირებით.

კვლავის ამოცანებისა და მიზნების მისაღწევად პაციენტების მიმართ გაწეული სამედიცინო მომსახურეობის ხანგრძლივობის მიხედვით გამოყოფილი იქნა 3 ჯგუფი:

- პირველ ჯგუფში გაერთიანებულ იქნენ ის პაციენტები, რომელთა მზრუნველობა გაგრძელდა 1 დან 3 თვემდე;
- მე-2 ჯგუფში 3-დან 6 თვემდე;
- ხოლო მე-3 ჯგუფში კი მოხვდნენ ის პაციენტები, რომლებიც პალიატიურ სამედიცინო ამბულატორიულ მომსახურეობას იღებდნენ 6 თვეზე ხანგრძლივად, თუცა მზრუნველობის ხანგრძლობა არ აღემატებოდა 12 თვეს.

თითოეულ ჯგუფში შესწავლილ იქნა ის ჩივილები და მდგომარეობები, რაც პაციენტებს აღენიშნებოდათ მომსახურეობის მიმდინარეობის დროს. პაციენტთა ჩართვის კრიტერიუმები ფასდებოდა ბენეფიციართა ხელთ არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით (ფორმა #100), რაც იძლეოდა ინფორმაციას პაციენტის დიაგნოზის (სტადიურობის, კლინიკური ჯგუფის), დაავადების მიმდინარეობის, ჩატარებული მკურნალობის შესახებ. არც თუ იშვიათად პაციენტის ხელთ არსებული

დოკუმენტაციის ხანდაზმულობის გამო მასში აღწერილი ავადმყოფის მდგომარეობა არ შეესაბამებოდა მიმდინარე ჩივილებს, პრობლემებსა და მდგომარეობას და იყო უფრო მეტად მძიმე.

არსებული სამედიცინო დოკუმენტაციის და პალიატიური მზრუნველობის პროგრამაში ჩართვის შემდეგ ამბულატორიული თუ სტაციონარული სამედიცინო დოკუმენტაციის, დამატებითი გამოკითხვისა და შემუშავებული კითხვარის მიხედ-ვით შექმნილ იქნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც შეტანილ იქნა: პაციენტთა 41 ჩივილი და 6 სხვადასხვა სამედიცინო მდგომარეობა.

შეფასებულ იქნა მათი ჩივილები მზრუნველობის დაწყებამდე (სამედიცინო სერვისის მიღებამდე) და მზრუნველობის განმავლობაში. ასევე შეფასდა მზუნველობის ხანგრძლივობა; გამოკვლეულ იქნა სამედიცინო და არასამედიცინო საჭიროებები და მზრუნველობასთან დაკავშირებული სირთულეები. ცალკე შესწავლილ იქნა ყველაზე ხშირი ჩივილი - ქრონიკული ტკივილი და მასთან ასოცირებული პრობლემები (იხ. ცხრილი# 2).

ცხრილი #3

კვლევაში ჩართული პაციენტების სამედიცინო საჭიროებები, ჩივილები და მათი პროცენტული მაჩვენებელი.

ჩივილის, სიმპტომის, მდგომარეობის დასახელება	**რაოდენობა გამოკვლეული 161 პაციენტიდან**	**%**
ძლიერი, შერეული ხასიათის, ქროკივილი ტკივილი 7-8 (10)	128	79.5
სუნთქვის უკმარისობა	59	36.6
პროდუქტიული ან/და ჰემორაგიული ხველა	26	16.1
ქოშინი	53	32.9
შფოთვა	81	50.3
პლევრიტი	46	28.5
ანემია	68	42.2
ძლიერი ზოგადი საერთო სისუსტე	157	97.5

ადინამია, მოძრაობის შეზღუდვა	92	57.1
უმადობა	49	30.4
ანორექსია	46	28.5
გულისრევა-ღებინება	61	37.8
მუკოზიტი	24	14.9
გულძმარვა ან სხვა დისკომფორტი ეპიგასტრიუმში	123	76.3
სლოკინი, ბოყინი	62	38.5
დისფაგია	24	14.9
დიარეა	24	14.9
მეტეორიზმი,	33	20.4
ყაბზობა	105	65.2
ნაწლავთა გაუვალობა	21	13.0
სიყვითლე	20	12.4
მელენა	12	7.4
ასციტი	41	25.4
თავბრუსხვევა, კოორდინაციის დარღვევები	12	7.4
ინსომნია	70	43.4
დეპრესია	102	63.3
ენცეფალოპათია	33	20.4
დელირიუმი	47	29.1
ჰალუცინაციები	19	11.8
ჰემიპარეზი, პარაპარეზი	11	6.8
ჰემიპლეგია, ტეტრაპლეგია	27	16.7
კოორდინაციის დარღვევა	17	10.5
მეტყველების დარღვევა	39	24.2
მეხსიერების დაქვეთება	39	24.2
ეპიგულყრის ეპიზოდები	29	18.0
ლიმფოსტაზი ზ/კ ან და ქ/კ	39	24.2
ნაწოლი (დეკუბიტური წყლულები)	49	30.4
ტემპერატურული რეაქცია	36	22.3
პათოლოგიერი მოტეხილობა	15	9.3
კიდურების შეშუპება	63	39.1
სისხლმდენი წყლულები (ან დაწყლულებული სიმსივნე)	18	11.1
დიზურია	48	29.8
საშოდან პათოლოგიური გამონადენი ან ფისტულა	10	6.2
ტრაქეოსტომის არსებობა	11	6.8
მოფუნქ. ზონდის არსებობა	21	13.0

დრენაჟს არსებობა	15	9.3
სტომის არსებობა	50	31.0
პრობლემა კლ.ჯგუფთან დაკავშირებით	57	35.4
ოპიოიდენთან ხელმისწვდომობის პრობლემა	70	43.4
ტაბლეტირებულ ოპიოდების ხელმ, პრობლემა	82	50.9
ფსიქოლოგიური პრობლემა	149	92.5
სოციალური პრობლემა	98	60.8
მზრუნველი პირის პრობლემა	78	48.4
პროგრამაში ჩაერთო ჰოსპიტალიზაციის შემდეგ	74	45.96273

მონაცემთა ბაზაში სამედიცინო ჩივილებთან, სამედიცინო პრობლემებთან ერთად შეფასებული და შეტანილ იქნა პაციენტთა სოციალური და ფსიქოლოგიური პრობლემები, მზუნველ პირებთან დაკავშირებული პრობლემები და სიძნელეები კლინიკურ ჯგუფთან მიმართებაში, გარკვეული პრობლემები ოპიოიდების დანიშვნისას, დოზის შერჩევისას და ოპიოიდების ტაბლეტირებული ფორმების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

კვლევაში მონაწილე პაციენტებისა და მათი მზრუნველი პირების გამოკითხვისათვის ასევე შემუშავებულ იქნა კითხვარი, (იხ. დანართი 3), რაც შემუშავებულ იქნა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სიმპტომის - ტკივილის და მისი ადეკვატური შეფასებისა და მკურნალობის, ამასთან ადეკვატური ტკივილის მართვაში არსებული პრობლემების გამოვლენის მიზნით. კითხვარი შევსებული იქნა როგორც პაციენტების, ასევე მათი მზრუნველი პირების მიერ, სადაც გათვალისწინებულ იქნა ინკურაბელობის სტატუსის განსაზღვრის საჭიროებები და აუცილებლობები ტკივილის სწორად მართვის დროს. კითხვარში თავმოყრილი იქნა ოპიოიდების ხელმისაწვდომობის პრობლემის შესახებ ინფორმაცია და პალიატიური მზრუნველობის როგორც მულტიდისციპლინური მიდგომის საჭიროება და აუცილებლობის შესაძლებლობები.

მიღებული მასალის მიხედვით გამოყოფილ იქნა პაციენტთა სამი ჯგუფი და მოხდა მათი შედარებითი ანალიზი, რის საფუძველზე შეფასდა კვლევის შედეგების

სარწმუნოობა, სადაც p სიდიდის მაჩვენებელი მიჩნეულ იქნა სტატისტიკურად სარწმუნოდ.

<u>კვლევის შედეგები და განსჯა:</u>

<u>ამოცანა 1:</u>

ქრონიკული ინკურაბელური დაავადებებით შეპყრობილ პაციენტთა ამბულატორიული მომსხურეობის დროს მათი ჩივილების, პრობლემებისა და სამედიცინო საჭიროებების გამოკვლევა, შეფასება და ანალიზი;

კვლევის ამოცანებიდან და მიზნებიდან გამომდინარე შეირჩა 161 პალიატიური პაციენტი (ონკო- ინკურაბელური), რომელთაგან 86 (53,4%) იყო ქალი და 75 (46,6%) კაცი. პაციენტები ჯგუფების მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ (იხ. დიაგრამა#1).

დიაგრამა #4

ონკო- ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო სერვისის ხანგრძლივობა



ამასთან, 119 პაციენტს (73,9%) აღენიშნებოდა სოლიდური სიმსივნეების დიაგნოზი, 27 (16,8 %) ონკო ჰემატოლოგიური დაავადებები, ხოლო 15 (9,3%) ცენტრალური ნერვული სისტემის პირველადი სიმსივნეების დიაგნოზი.

პაციენტთა რაოდენობები ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით შემდეგნაირად: 25-40 ასაკოვან ჯგუფში მოხვდა 16 (9,9%) პაციენტი; 41-60 ასაკობრივ ჯგუფში - 35 (21,7%) პაციენტი, 60-74 ასაკობრივ ჯგუფში 66 (40,9%) პაციენტი, ხოლო 75-80 ასაკობრივ ჯგუფში კი 44 (27,3%) პაციენტი. იხ. ცხრილი #3.

ცხრილი N 4.
პაციენტთა დემოგრაფიული და სამედიცინო მონაცემები

ასაკი, სქესი, რაოდენობა	25-40		41-60		60-74		75-80		ჯამი
	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	ქალი	კაცი	
დიაგნოზი	9	7	19	16	34	32	24	20	161
სოლიდური სიმსივნეების სხვადასხვა დიაგნოზი	7	4	13	10	29	21	21	14	119

ონკო- ჰემატოლოგიური დაავადებები	2	1	5	3	4	7	2	3	27
ცენტრალური ნერვული სისტემის პირველადი სიმსივნეების დიაგნოზი	-	2	1	3	1	4	1	3	15

ჩატარებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის განხორციელებამდე სრულად იყო დაცული საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ინსტრუქცია პალიატიური პაციენტების სტატუსის განსაზღვრის შესახებ.

კვლევაში ჩართული ყველა ავადმყოფი მიეკუთვნებოდა ონკო-ინკურაბელურ პაციენტს მათ ხელთ არსებული სამედიცინო დოკუმენტაციისა და მდგომარეობის შეფასების მიხედვით. ამასთან, გამოკვლეული 161 პაციენტიდან პალიატიური მზრუნველობის სტაციონარში ჰოსპიტალიზაციის შემდეგ ამბულატორიული მზრუნველობა განემარტა, შეეთავაზა და მზრუნველობა გაეწია 71 (44.1%) მათგანს.

აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ არ ფლობს პალიატიური მზრუნველობის, ამ ტიპის მომსახურეობის შესახებ ინფორმაციას და არ ესმის მისი შესაძლებლების შესახებ. ამასთან, არსებობს სტიგმა პალიატიური მზრუნველობის შესახებ, როგორც სიცოცხლის უკანასკნელი პერიოდის მზრუნველობის შესახებ, რაც ასევე ართულებს საზოგადოებაში მისი საჭიროების და შესაძლებლობების სწორ და დროულ იმპლემენტაციას.

ამასთან, აღსანიშნავია პაციენტთა, მზრუნველ პირთა და პირველადი ჯანდაცვის პროფესიონალთა გარკვეული ნაწილი, რომელთათვისაც ტერმინი „პალიატიური მზრუნველობა“ სტიგმატიზირებული და შიშისმომგვრელია, რასაც ემატება პაციენტთა, როგორც სერვისის ბენეფიციართა „ტერმინალურ მდგომარეობაში მყოფ პაციენტთა“ სამედიცინო უზრუნველყოფა. თუმცა, აღნიშნული არ წარმოადგენდა ჩვენი კვლევის მიზანს და ის უფრო დეტალურ არ იქნა წარმოდგენილი ჩვენს კვლევაში.

გამოკვლეული პაციენტიების პირველი ჯგუფის შეფასებისას აღმოჩნდა (სამედიცინო მომსახურეობის ხანგრძლივობა 1-3 თვე), რომ მათი ჩივილების რაოდენობა მერყეობდა 7-დან 30-მდე. (იხ. დიაგრამა #2).

ამ ჯგუფში გამოხატული იყო: ჩივილების მრავალფეროვნება - ტკივილის, ძლიერი ზოგადი სისუსტე, სუნთვის პრობლემები, საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და ნევროლოგიური სიმპტომები. აღნიშნულ ჯგუფში სამედიცინო სერვისის მწირი ხანგრძლივობის გათვალისწინებით აღინიშნებოდა მათი დინამიკაში გართულებული შეფასება, რაც შესაძლოა გამოწვეულია მომსახურეობის ხანგრძლივობის სიმცირით. წარმოდგენილი ჯგუფი გამოკვლეული პაციენტებიდან წარმოადგენდა პაციენტთა ყველაზე მძიმე კონტინგენტს, სადაც ასევე თავმოყრილი იყო ასევე არასამედიცინო პრობლემების (ფსიქოლოგიური, სოციალური) და საჭიროებების არსებობა. პაციენტთა დიდი ნაწილი ასევე წარმოადგენდა იმ კონტინგენტს, რომელთა პალიატიური მზრუნველობის სერვისში ჩართვა განხორციელდა პალიატიური მზრუნველობის სტაციონარიდან.

პაციენტთა ამ ჯგუფში გამოვლენილი სიმპტომები არ განსხვავდებოდა სხვა ჯგუფში გამოვლენილი სიმპტომებისაგან.

დიაგრამა # 5

ინკურაბელურ პაციენტთა ჩივილები რომელთა მიმართ სამედიცინო სერვისი ხორციელდებოდა 1-3 თვის განმავლობაში



აღნიშნულ პაციენტებში მზუნველობის სწრაფი დასრულება გამოწვეული იყო ლეტალური გამოსავლით.

აღსანიშნავია სიმპტომების დინამიკა1-3 თვის განმავლობაში, კერძლოდ, მზრუნველობის დასაწყისისათვის მათი რიცხვი მკვეთრად განსხვავდებოდა 1-3 თვის ხანგრძლივობის განმავლობაში გამოვლენილი სიმპტომების რაოდენობას, მიუხედავად მზრუნველობის მცირე ხანგრძლივობისა (იხ. დიაგრამა #3).

დიაგრამა #6

ონკო-ინკურაბელურ პაციენტთა ჩივილების შეფასება მზრუნველობის დასაწყისში და მისი მიმდინარეობის განმავლობა პაციენტებში, რომელთა მიმართ სამედიცინო სერვისი ხორციელდებოდა 1-3 თვის განმავლობაში



დიაგრამაზე მოცემულია პაციენტთა ჩივილები პალიატიური მზრუნველობის პროგრამაში ჩართვის მომენტში, ასევე მზრუნველობის განმავლობაში და მზრუველობის ხანგრძლივობა. აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, თუ რაოდენ მრავალფეროვანი იყო სამედიცინო

დგომარეობების, ჩივილების და საჭიროებების დიაპაზონი დროის მხირე მონაკვეთში (1-3 თვე).

კვლევის მიხედვით მეორე ჯგუფის მდგომარეობის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ონკო- ინკურაბელური ავადმყოფები, რომლებიც შესაბამის მზუნველობას საჭიროებდნენ, სამედიცინო მომსახურეობის განმავლობაში აღენიშნებოდათ მინიმუმ 8 და მაქსიმუმ 22 ჩივილი. აღნიშნულ ჯგუფში პაციენტთა მზრუნველობის ხანგრძლივობა მერყეობდა 3-დან 6 თვემდე (იხ. დიაგრამა #4).

დიაგრამა #7

ინკურაბელურ პაციენტთა ჩივილები რომელთა მიმართ სამედიცინო სერვისი ხორციელდებოდა 3-6 თვის განმავლობაში



ამასთან, პაციენტთა ჩივილები და სამედიცინო მზრუნველობის საჭიროებების დიაპაზონი მერყეობდა პირველი გჯუფის მსგავსად (იხ. დიაგრამა #5)

დიაგრამა #8

ონკო-ინკურაბელურ პაციენტთა ჩივილების შეფასება მზრუნველობის დასაწყისში და მისი მიმდინარეობის განმავლობა პაციენტებში, რომელთა მიმართ სამედიცინო სერვისი ხორციელდებოდა 3-6 თვის განმავლობაში



მესამე ჯგუფის განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ მათ მიერ გაწეული მზრუნველობა აღემატებოდა 6 თვეს, ხოლო მზრუნველობის განმავლობაში ჩივილების რაოდენობა ისევ და ისევ მერყეობდა 8-დან და აღწევდა 22 (იხ. დიაგრამა #6).

დიაგრამა #9

ინკურაბელურ პაციენტთა ჩივილები რომელთა მიმართ სამედიცინო სერვისი ხორციელდებოდა > 6 თვის განმავლობაში



ამასთან, იმ პაციენტთა ჯგუფში, რომელთა მიმართაც სამედიცინო მომსახურეობა გრძელდებოდა >6 თვის განმავლობაში, ჩივილების ამპლიტუდა მცირედ განსხვავდებოდა წინა ორივე ჯგუფისაგან, რაც შესძლებელია მზრუნველობის ხანგრძლივობით აიხსნას, რადგან პაციენტები, რომლებიც უფრო ხანგრძივად იმყოფებოდნენ სამედიცინო პერსონალის მეთვალყურეობის ქვეშ, ჩივილები, გართულებები და სამედიცინო საჭიროებები დროულად იქნენ შეფასებული და შესაბამისი ზომები მიღებული.

დიაგრამა #10

ონკო-ინკურაბელურ პაციენტთა ჩივილების შეფასება მზრუნველობის დასაწყისში და მისი მიმდინარეობის განმავლობა პაციენტებში, რომელთა მიმართ სამედიცინო სერვისი ხორციელდებოდა >6 თვის განმავლობაში



უნდა აღინიშნოს, რომ თუ პირველი და მეორე ჯგუფის პაციენტებისათვის მზრუნველობის შეწყვეტის მიზეზს ყველა შემთხვევაში წარმოადგენდა ლეტალური გამოსავალი, ხოლო მე-3 ჯგუფისათვის ლეტალური გამოსავალი აღინიშნა დროის სხვადასხვა მონაკვეთში.

მათი სამედიცინო მომსახურეობის შეწყვეტის მიზეზს ხანგრძლივი სამედიცინო მომსახურეობის გაწევა და ლიმიტირებული დაფინანსება წარმოადგენდა. აღნიშნულის გამო პაციენტებს შეუწყდათ მზრუნველობა მიუხედავად თვალსაჩინოდ წარმოდგენილი საჭიროებებისა და იმ მრავალრიცხოვანი ჩივილებისა, რაც ყოველი შემთხვევისათვის იყო წარმოდგენილი.

ჩვენი კვლევის შდეგების შეფასების მიხედვით აღმოჩნდა, რომ ონკო ინკურაბელურ პაციენტთა პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო საჭიროებების

შეფასებისა და გაანალიზების დროს ტკივილი (79.5%), ძლიერი ზოგადი სისუსტე (96.2%), გულძმარვა ან დისკომფორტი ეპიგასტრიუმის მიდამოში (75.2%), ყაბზობა (65.2%), დეპრესია (62.1%), მოძრაობის შეზღუდვა (57.1%), შფოთვა (49.7%), ანემია (42.2%), სუნთქვის უკმარისობა (36.6%), ადინამია, ინსომნია (42.8%), სლოკინი-ბოყინი (38.5%), გულისრევა-ღებინება (37.3%) იყო დომინანტული სიმპტომები ქრონიკული დაავადების სიცოცხლის ბოლო ეტაპზე და წარმოდგენილ სამივე ჯგუფში. სამედიცინო მდგომარეობებიდან გამოკვლეულ პაციენტებში დომინირებდა სტომის არსებობა (31.0%).

შესწავლილ პაციენტთა სტატისტიკური ანალიზის მიხედვით, სიმპტომების საშუალო რაოდენობამ პირველ ჯგუფში შეადგინა 15,9, მეორე ჯგუფში 12,7, ხოლო მე-3 ჯგუფში კი 12,6.

კვლევის მიხედვით აღმოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რას წარმოადგენს ინკურაბელური პაციენტის საშუალო სიცოცხლის ხანგრძლივობა და მის მიმართ გაწეული პალიატიური მზრუნველობა, გრძელდება 3 თვემდე, მერყეობს 3-დან 6 თვემდე, თუ აღემატება 6 თვეს, ჩივილებისა და სამედიცინო საჭიროებების ნუსხა დიდია და საჭიროებს სპეციფიურ მზრუნველობას - სიმპტომებისა და მდგომარეობათა მართვას.

ამგვარად, ის მცირე სიცოცხლის მონაკვეთი - 1-3-6 თვე, არ შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც სამედიცინო საჭიროებების მალიმიტირებელი პერიოდი, პირიქით, ინკურაბელური პაციენტის სამედიცინო საჭიროებები შესაძლებელია მოიცავდეს >6 თვემდე პერიოდს. აღნიშნული კვლევის მიხედვით ჯგუფებს შორის სხვაობა სტატისტიკურად სარწმუნო აღმოჩნდა. სარწმუნოობა ჯგუფებს შორის განსხვავების ANOVA - ის ტესტით - P-value = 0,0000 (ცხრილი #5).

ცხრილი #5. პაციენტთა ჯგუფებში სიმპტომების გადანაწილება და მათი სტატისტიკური ანალიზი

	პაციენტთა რაოდენობა	სიმპტომების საშუალო მაჩვენებელი	Std. Deviation	Std. Error	საშუალოს 95% CI	
					ქვედა ზღვარი	ზედა ზღვარი
<=3 თვე	66	15,9	3,4	0,5	14,9	16,8
>3 - <= 6 თვე	58	12,7	3,4	0,5	11,6	13,7
> 6 თვე	37	12,6	2,5	0,3	12,0	13,2
სულ	161	13,7	3,4	0,3	13,1	14,2

ოგორც უკვე აღინიშნა, გამოკვლეული ავადმყოფების 44.1% (71 პაციენტი) შესაბამისი სამედიცინო სამსახური შეეთავაზა მიზანმიმართული ჰოსპიტალიზაციის შემდეგ, ხოლო ადეკვატური მზრუნველობის ამბულატორიულ პირობებში გაგრძელების გამო, კვლევაში ჩართული პაციენტთა რე-ჰოსპიტალიზაცია მკვეთრად შემცირებული აღმოჩნდა და არ აღემატებოდა 32,9% (53 პაციენტი) (იხ. დიაგრამა #11).

დიაგრამა #11

პაციენტთა ჰოსპიტალიზაციისა და რე-ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლები



აღნიშნული წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტს სამედიცინო სერვისების ხარჯეფექტურობის თვალსაზრისით, რაც დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს.

პალიატიური მზრუნველობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენს ქრონიკული ტკივილის ადეკვატური მართვა. ონკო- ინკურაბელური პაციენტების ყველაზე ხშირ ჩივილსა და პრობლემას სწორედ ტკივილი წარმოადგენს. შესწავლილი 161 პაციენტიდან ქრონიკული ტკივილი აღენიშნებოდა 147 (91.3%) მათ-განს. ტკივილის ინტენსივობის მიხედვით, ძლიერი ტკივილის პრობლემა აღწერილ იქნა 128 (79.5%) შემთხვევაში, რაც შესაბამისი გაიდლაინების მიხედვით საჭიროებს ძლიერი ოპიოიდების ჩართვას მკურნალობაში.

ტკივილის სტატისტიკურმა ანალიზმა სამივე ჯგუფში აჩვენა, რომ ის წარმოადგენს ყველაზე ხშირ ჩივილს სამივე ჯგუფისათვის, რაც განსაკუთრებით ხშირი პირველი ჯგუფის პაციენტებისათვის, ხოლო ხანგრძლივი მზრუნველობის და მეთვალყურეობის მქონეპაციენტების შემთხვევაში ის შესაძლებლობის ფარგლებში მინიმუმამდე იქნა შემცირებული. სტატისტიკურმა ანალიზის მიხედვით, რაც შეფასდა Chi-Square Tests-ის მიხედვით აჩვენა შედეგის სარწმუნოობის მაჩვენებელი - P-value - 0,0950 (ცხრილი #6).

ცხრილი N 6. პაციენტთა ჯგუფებში ტკივილის შეფასება და სტატისტიკური ანალიზი

		პროგრამით სარგებლობის ხანგრძლივობა (თვე)						სულ	
		<=3		>3 - <= 6		> 6			
		N	%	N	%	N	%	N	%
ძლიერი, შერეული ხასიათის, ქროკივილი ტკივილი 7-8 (10)	0	15	45.50%	15	45.50%	3	9.10%	33	100%
	1	51	39.80%	43	33.60%	34	26.60%	128	100%
სულ		66	41.00%	58	36.00%	37	23.00%	161	100%

საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მიხედვით, აღნიშნულის კანონიერად გამოყენებისათვის პაციენტი უნდა მიეკუთვნებოდეს IV კლინიკურ ჯგუფს, რაც თავის მხრივ განსაზღვრავს ინკურაბელობას.

ეს უკანასკნელი კი გამორიცხავს ძლიერი, ქრონიკული ტკივილის მქონე პაციენტთა ადეკვატურ მკურნალობას ამ კლინიკური ჯგუფის მითითების გარეშე (საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2000 წლის 13 მარტისა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 15 მარტის ერთობლივი ბრძანება №32/ო-№102 – „კომისია უფლებამოსილია დასვას დიაგნოზი, განსაზღვროს დაავადების სავარაუდო კლინიკური ჯგუფი და გადაწყვიტოს ტკივილდამაყუჩებელი საშუალებების დანიშვნის საკითხი“) და ასევე, ქმნის დამატებით ბიუროკრატიულ ბარიერს. ასეთი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა შესწავლილი პაციენტებიდან 57 მათგანი (35.4 %).

აღნიშნულის დეტალური შესწავლისათვის როგორც უკვე ზემოთ აღინშნა შემუშავბული იქნა კითხვარი პაციენტებისა და მზრუნველი პირებისათვის, რაც შევსებული იქნა 161 პაციენტიდან 84 (52.2%) პაციენტისა და 53 (32.9%) მზრუნველი პირის მიერ. კითხვარების (137 კითხვარი) სტატისტიკური დამუშავების მიხედვით აღმონდა, რომ პაციენტთა 5% მზრუნველობის დასაწყისისათვის არ ჰქონდა განაზღვრული და შეფასებული ონკოლოგიური დაავადების სტადია (8 შემთხვევა), 26%-ში (37 შემთხვევა) პაციენტების დაავადება 1- და მე-2 სტადიაში იყო აღმოჩენილი, 34%-ში (49 შემთხვევა), დაავადება მე-3 სტადიაში იყო დადგენილი, ხოლო შემთხვევაშთა 35%-ში (51 პაციენტი) დაავადების დიაგნოზის დადგენა მოხდა მე-4 სტადიაში. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ონკოლოგიური დაავადების სტადიურობის შეფასება ხდება დიაგნოზის დადგენის დროს. მიუხედავად დაავადების პროგრესირებისა სტადიის ცვლილება აღარ ხდება და ამგვარად, სტადია კნკრეტული პაცინტის ონკოლოგიური დიაგნოზის შემთხვევაში არ იცვლება (დიაგრამა # 12)

დიაგრამა #12

კვლევაში ჩართულ პაციენტთა კითხვარის შეფასების მიხედვით გამოვლენილი სტადიურობის შეფასება



კვლევაში მონაწილე პაციტთა კლინიკური ჯგუფების განხილვის - შეფასების საფუძველზე (ასევე პაციენტთა სამედიცინო დოკუმენტაციის შეფასების მიხედვით) აღმჩნდა, რომ 161 შესწავლილი პაციეტიდან მე-2 კლინიკური ჯგუფი პაციენტის ხელთ არსებული სამედიცინო დოკუმენტაციაში 78 (48.4%) პაციენტს აღენიშნებოდა, 9 პაციენტს (5.6%) სამედიცინო დოკუმენტაცია საერთოდ არ ჰქონდა და პალიატიური მზრუნველობის სამედიცინო სერვისის მისაღებად მძიმე მდგომარეობის გამო მიმართა პირველადი რგოლის ჯანდაცვის ქსელის სამედიცინო პერსონალს, პოლიკლინიკას და სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებას მძიმე მდგომარეობის შეფასებისათვის და სამედიცინო დოკუმენტაციის მოსაპოვებლად, ხოლო 74 პაციენტს (46.0%) კი მკრუნველობის მიღებამდე ჰქონდა განსაზღვრული მე-4 კლინიკური ჯგუფი.

გამოკითხული და შესწავლილი პაციენტების ტკივილის და მათ შორის ძლიერი ტკივილის შემთხვევათა მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილში და თანმხლებ დიაგრამაზე (იხ. ცხრილი 7 და დიაგრამა 13).

ცხრილი #7

კვლევაში შესწავლილი და გამოკითხული პაციენტების ტკივილის შემთხვევები, მათ შორის ძლიერი, ქრონიკული ტკივილის შემთხვევები და მათი %

	ტკივილის არსებობა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით (161 პაციენტი)	%	ძლიერი, ქრონიკული ტკივილის არსებობა სამედიცინო დოკუმენტაციის მიხედვით (161 პაციენტი)	%	ტკივილის არსებობა კითხვარის მიხედვით (137 პაციენტი)	%
1 წელზე მეტი	19	11,80124	17	10,55901	14	10,21898
6 თვიდან - 1 წლამდე	47	29,19255	43	26,70807	43	31,38686
3 - 6 თვე	51	31,67702	47	29,19255	47	34,30657
1 - 3 თვე	22	13,6646	16	9,937888	19	13,86861
<1 თვე და ნაკლები	8	4,968944	5	3,10559	3	2,189781
სულ	147		128		126	

დიაგრამა #13

კვლევაში შესწავლილი და გამოკითხული პაციენტების ტკივილის და მათ შორის ძლიერი, ქრონიკული ტკივილის შემთხვევების განაწილება



პაციენტთა და მათი მზრუველი პირების მიერშევსებული კითხვარის სტატისტიკური დამუშავების მიხედვით აღმოჩნდა, რომ მე-2 და განუსაზღვრელი კლინიკური ჯგუფის პაციენტებს მზრუნველობის დაწყების მომენტშივე აღენიშნებოდათ ძლიერი ქრონიკული ტკივილი იმისთვის, რომ ტკივილის ადეკვატური მართვა ყოფილიყო შესაძლებელი საჭირო გახდა მათი მდგომარეობის გადაფასება- ხელახალი შეფასება. ასეთი შემთვევა გამოვლინდა 137 პაციენტიდან 57 შემთხვევაში (41.6%). პაციენტები ტკივილს და მათ შორის ძლიერ, ქორნიკულ ტკივილს აღნიშნავდნენ არა მხოლოდ დაავადების მკურნალობის ინკურაბლეურ ეტაპზე, არამდედ სპეციფიური მკურნალობის პროცესში ან მისი დასრულებისთანაცე, ანუ მაშინ, როდესაც არსებული საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით მიეკუთვნებოდნენ მე-2 კლინიკურ ჯგუფს და მათთვის ძლიერი ოპიოიდების დანიშვნა ძლიერი, ქორნიკული ტკივილის სწორად მართვისათვის შეუძლებელიც კი ხდებოდა.

პაციენტთა გამოკითხვის მიხედვით ტკივილის დაწყების ეპიზოდის განაწილება მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილსა და დიაგრამაში (იხ. ცხრილი #8 და დააგრამა #14).

ცხრილი # 8

ტკივილის დაწყების ეპიზოდის განაწილება ონკოლოგიური დიაგნოზის დადგენიდან სიცოცხლის ბოლომდე პაციენტთა და მზრუნველ პირთა გამოკითხვის მიხედვით

ტკივილის დაწყების ეპიზოდის განაწილება ონკოლოგიური დიაგნოზის დადგენიდან სიცოცხლის ბოლომდე პაციენტთა და მზრუნველ პირთა გამოკითხვის მიხედვით	#	%
ტკივილის დაწყება მოხდა ძირითადი დაავადების დიაგნოსტიკის მომენტიდან ან მისი გამოვლენა ტკივილით დაიწყო	12	9,52381
ტკივილის დაწყება მოხდა ძირითადი დაავადების სპეციფიური მკურნალობის დროს (ქიმიო ან/და სხივური თერაპია, ოპერაცია, სისტემური თერაპიის პროცესში);	47	37,30159
ტკივილის დაწყება მოხდა ძირითადი დაავადების სპეციფიური მკურნალობის შემდეგ ან დაავადების პროგრესირების შემდეგ	38	30,15873
ძირითადი დაავადების სამკურნალოდ სპეციფიური მკურნალობა არ ჩატარებულა ტკივილი ისე დაიწყო და გაძლიერდა	14	11,11111
ტკივილის დაწყება მოხდა კლინიკური ჯგუფის შეცვლის პარალელურად ან/და მისი შეცვლის შემდეგ	15	11,90476

დიაგრამა # 14

ტკივილის დაწყების ეპიზოდის განაწილება სპეციფიური ონკოლოგიური დიაგნოზის დადგენიდან სიცოცხლის ბოლომდე პაციენტთა და მზრუნველ პირთა გამოკითხვის მიხედვით



აღნიშნული მეტყველებს კლინიკური ჯგუფის განსაზღვის პრობლემატურობაზე, რაც ჩვენი მოსაზრებითა და არსებულ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით შესაძლებელია გამოწვეული იყოს: 1) კლინიკური ჯგუფის არასწორად განსაზღვრით; 2) ქრონიკული ტკივილის მე-2 კლინიკური ჯგუფის პაციენტთა შორის არსებობით; 3) ქრონიკული ტკივილის ადეკვატურად მართვის დროს კლინიკური ჯგუფების განსაზღვრის არასწორი და არამართებული მიდგომის არსებობით და სხვა.

კვლევაში ჩართული პაციენტები გამოკითხვისას აღნიშნავდნენ ტკივილის საწინააღმდეგო მკურნალობის სხვადასხვა მკურნალობას მისი ინტენსივობისა და სიძლიერის მიხედვით, რაც მოცემულია ცხრილში და დიაგრამაზე (იხ. ცხრილი #9 და დიაგრამა #15).

ცხრილი #9

კვლევაში მონაწილე პაციენტების და მათი მზრუნველი პირების გამოკითხვის შედეგად ტკივილისათვის ჩატარებული მკურნალობა პალიატიური მზრუნველობის სერვისის მიღებამდე

პაციენტების და მათი მზრუნველი პირების გამოკითხვის შედეგად ტკივილისათვის ჩატარებული მკურნალობა პალიატიური მზრუნველობის სერვისის მიღებამდე	#	%
არასტეროიდული ანთების საწინააღმდეგო პრეპარატები	**51**	**40,47619**
კოანალგეტიკები	**8**	**6,349206**
ოპიოიდები (მორფინი)	**27**	**21,42857**
ოპიოდები სხვა მედიკამენტებთან ერთად	**31**	**24,60317**
უცნობი	**9**	**7,142857**

დიაგრამა #15

კვლევაში მონაწილე პაციენტების და მათი მზრუნველი პირების გამოკითხვის შედეგად ტკივილისათვის ჩატარებული მკურნალობა პალიატიური მზრუნველობის სერვისის მიღებამდე



ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ პაციენტებსა და მათ მქრუნველ პირებს არა მხოლოდ პრობლემები და დისკომფორტი ჰქონდათ არსებული ბიუროკრატიული მექანიზმის - კლინიკური ჯგუფის განსაზღვრის ან/და ცლილების გამო, არამედ ქრონიკული და ძიერი ტკივილის არსებობის დროს ის წარმოადგენდა დროში გაწელილ პროცესს, რის გამოც პაციენტებს უხდებოდათ ტკივილის არაეფექტური მართვა ან /და ტკივილში ცხოვრება, რაც მიზანმიმართულად არღვევდა მათ უფლებებს.

